არტანუჯის წყაროები

4

სერიის მთავარი რედაქტორი

ბუბა კუდავა

სერიის სარედაქციო კოლეგია

ეთერ ბაიდოშვილი
თამარ გეგია
შალვა გლოველი
ნიკო გურგენიძე
ლევან თაქთაქიშვილი
გიორგი კალანდია
ბონდო კუპატაძე
ნინო მინიშვილი
გოჩა საითიძე
ჯაბა სამუშია
თეა ქართველიშვილი
მაია შაორშაძე
თემო ჯოჯუა

ISBN 99940-11-45-6 (სერიის)
ISBN 99940-11-69-3 (წიგნი 4)

© გამომცემლობა არტანუჯი, 2005

ზაქარია გურული

მოგონება

გამომცემლობა **არტანუჯი**
თბილისი

ზ. გურული

Z. GOUROULI

მოგონება

MÉMOIRES

1903—1921

გამომცემელი
ვალიკო ჩუბინიძე.

პარიზი
1951



ზ. გურული, გრ. ფხალაძე, გ. გაფრინდაშვილი.

რედაქტორისაგან

წინამდებარე ნიგნის მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) საკმაოდ ცნობილი წარმომადგენლის ზაქარია გურულის მოგონებები, რომლებიც ეხება 1903-17 წლებს. ისინი დაწერილია ტამბოვში, სადაც იგი საბჭოთა ხელისუფლების მიერ იყო გადასახლებული. სამწუხაროდ, მოგონებათა ნაწილი დაკარგულია. აქვეა შესული აგრეთვე რამდენიმე მოგონება თვითონ ზაქარიაზე.

ზაქარია გურულმა ცხოვრების საინტერესო გზა განვლო. დაიბადა სოფელ წირქვალში (დღევანდელი ჭიათურის რაიონი), ღარიბი გლეხის ოჯახში. თავდაპირველად მოჯამაგირეობდა, შემდეგ კი ჭიათურის მაღაროებს მიაშურა – მუშაობდა მეურმედ, ეწეოდა ჩალვადრობას, მუშაობდა მაღაროებშიც. 1907-10 წლებში ცხოვრობდა ბაქოში. ცხოვრების მძიმე პირობებმა ზაქარია აიძულა რევოლუციონერი გამხდარიყო, რის გამოც არაერთი რეპრესია განიცადა. 1912 წელს ადმინისტრაციული წესით როსტოვში იქნა გადასახლებული. აქედან იგი არალეგალურად თბილისში დაბრუნდა. მალე დაატუსაღეს და კვლავ როსტოვში უკრეს თავი. მუშაობდა რამდენიმე გაზეთის კორესპონდენტად. 1914 წელს კვლავ გადაასახლეს (ისევ ადმინისტრაციული წესით), ამჯერად ნოვოჩერკასკში. 1916 წელს ზაქარია გურული გადასახლებულ იქნა ვერხოლენსკში, საიდანაც იგი თებერვლის რევოლუციის წყალობით დაბრუნდა (1917 წელს).

ზაქარია გახლდათ ეროვნული საბჭოს, შემდეგ კი დამფუძნებელი კრების წევრი, სახალხო გვარდიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი (მთავარი შტაბის წევრი). მუშაობდა აგრეთვე სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკაში, ასრულებდა მთავრობის დავალებებს.

ზაქარია გურული განხეთქილებისთანავე მემარჯვენე სოციალ-დემოკრატი (მენშევიკი) გახდა. იგი გამოირჩეოდა შედარებით ზომიერი პოზიციით, რის გამოც მკვეთრად დაუპირისპირდა ქართველ

ბოლშევიკებს. უკანასკნელებმა, ცხადია, ეს და მისი თვალსაჩინო პარტიულ-პოლიტიკური მდგომარეობა არ აპატიეს და ახალი რეჟიმის თითქმის დამყარებისთანავე (1921 წელს) დააპატიმრეს (მოთავსებულ იქნა მეტეხის ციხეში). მალე ზაქარია რუსეთში იქნა გასახლებული. უნდა ვიფიქროთ, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ გადასახლების ვადა გაუგრძელეს, ხოლო 1937-38 წლების „დიდმა საბჭოურმა ტერორმა" იგი იმსხვერპლა.

წიგნში შევიტანეთ დანართი, რომლიდანაც ვტყობილობთ ზაქარია გურულის შეშფოთებასა და წუხილს ილიას მკვლელობის საქმის გამოძიების (პარტიული) მასალების ბედ-იღბლის გამო. მისი მტკიცე შეხედულებით, დიდი ქართველი მოკლულ იქნა მეფის რუსეთის „ოხრანკა" – ჟანდარმერიის ორგანიზებით. ამ დასკვნის იქით იგი, სხვა სოციალ-დემოკრატების დარად, არ მიდიოდა.

არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ წიგნი წარმოადგენს ძვირფას საისტორიო წყაროს განსაკუთრებით 1905-07 წლების პერიოდის შესახებ, რომლის ახლებური გააზრება ქართული ისტორიოგრაფიის გადაუდებელი საქმეა.

წიგნში შესული ერთ-ერთი მოგონების ავტორი შ. აბდუშელიშვილი წერს: „თუ ჩვენ ხალხს როდისმე თავისუფლება ეღირსა, ის არ დაივიწყებს მათ სახელებს, ვისაც მისთვის ღვაწლი მიუძღვის". მართლაც, ჩვენი მოვალეობაა სათანადო პატივი მივაგოთ კერძოდ ზაქარია გურულის ხსოვნას, რომელმაც თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაფუძნებაში.

წიგნში გასწორებულია პირველი გამოცემის კორექტურული შეცდომები, მოცემულია განმარტებები, აქა-იქ დასმული გვაქვს კითხვის ნიშნები. ავტორის სტილი დაცულია.

გურამ ყორანაშვილი

აპრილი, 2005 წ.

გამომცემლის წინასიტყვაობა

უკანასკნელი დიდი ომის წინ სოციალისტური ინტერნაციონალის ბიურომ განიზრახა სოციალიზმის და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ენციკლოპედიის გამოცემა. ამ მიზნით მან მიმართა ინტერნაციონალის ყველა ეროვნულ სექციას, მიეწოდებინათ მისთვის როგორც მათი პარტიების ისტორია, ისე მათი ცნობილი ცოცხალი თუ გარდაცვლილი პარტიული მოღვაწეების ბიოგრაფიები.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთულმა ბიურომ შეადგინა სია იმ ჩვენი პარტიული მოღვაწეებისა, რომელთა ბიოგრაფიებიც უნდა გადაეგზავნა მას ინტერნაციონალისათვის ენციკლოპედიაში მოსათავსებლად. ამ სიაში სხვებთან ერთად ზაქარია გურულიც იყო.

მე დამევალა გამემართა მინერ-მოწერა ზოგ ჩვენ ამხანაგთან მათი ბიოგრაფიული მასალების მოსაგროვებლად.

ასეთი მიწერ-მოწერის შედეგად ზ. გურულისაგან მივიღე ცნობები, რომლებიც უმთავრესად ეხება მის მოღვაწეობას 1903-იდან 1917 წლამდე; მივიღე აგრეთვე მისი მოგონება – ბიქტორ კაპანაძეზე, აფრასიონ მერკვილაძესა და ქართლის შავ და წითელ რაზმებზე. საქართველოს დამოუკიდებლობის დროიდან ის მხოლოდ გაკვრით ეხება სახალხო გვარდიას. ამ დროის მისი ფრიად თვალსაჩინო მუშაობის შესახებ კი მე მისგან მერმედ არაფერი მიმიღია.

1917 წელს ციმბირიდან დაბრუნების შემდეგ ზაქარია იყო რევოლუციური ორგანოების წევრი, ჭიათურის ქალაქის ხმოსანი, საქართველოს ეროვნული საბჭოს, მერმედ დამფუძნებელი კრების წევრი, სახალხო გვარდიის ერთი ხელმძღვანელთაგანი, ვხედავთ მას ყველა საომარ შინაგან თუ საგარეო ფრონტზე, ხშირად აღჭურვილს სამხედრო სამინისტროს ნდობით და დავალებით და სხვ.

ამ ხანის მთელი მისი მუშაობა მას აღწერილი და გამზადებული ჰქონია ჩვენთვის გადმოსაგზავნად, მაგრამ ჩხრეკის დროს მისთვის

ნაურთმევიათ და დაკარგულა, მაგრამ, რაც გადარჩა და ჩვენს ხელთ არის, მას ვაქვეყნებ, მით უფრო, რომ სოციალისტურმა ინტერნაციონალმა განზრახული ენციკლოპედიის გამოცემა სხვადასხვა მიზეზის გამო ველარ შეძლო.

აქვე ვაქვეყნებთ აგრეთვე ზაქარიას ახლო მეგობრების (გრიგოლ ფხალაძის, ჭიჭიკო ასათიანისა და შალვა აბდუშელიშვილის) იმ ცნობებს, რომლებიც ზ. გურულის პიროვნებასა და მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული.

ვფიქრობთ, რომ ამ წიგნში მოთავსებული ამბები საინტერესო მასალა იქნება საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ისტორიკოსისათვის.

ვალიკო ჩუბინიძე.

1951 წ. მარტი.

I

სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დაარსება ჭიათურაში. 1903 წლის დემონსტრაცია. 1905 წელი ჭიათურის რაიონში. წითელი რაზმის შექმნა.

ერთი მთლიანი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია ჭიათურაში 1904 წლამდე არ არსებობდა, თუმცა ჯგუფები 1902 წლიდან გაჩდენ. უფრო ჩამოყალიბებული ჯგუფი ყოფილა ელსადგურში მუშა ლევარსი მიქატაძის მეთაურობით, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ ტ. წერეთლის, მაგრამ ჩვენ მათთან კავშირი არ გვქონია (მაშინ ძლიერ დიდი კონსპირაცია იყო). ჩვენ მღვიმევში დამოუკიდებლათ შევქმენით ჯგუფი მეტეხიდან ეტაპით მოყვანილ მუშა ლავ. გძელიშვილის ხელმძღვანელობით და ჩემი თავმჯდომარეობით. ათამდე კაცი იყო (ძმ. გძელიშვილები, ვ. ქამუშაძე, სხირტლაძე, ლომიძე, ღუნიშვილი (?) და სხვ.). ჯგუფს ყველა დიდ მაღაროებში ქონდა სანდო მუშების წრეები. ლავრენტის თბილისიდან დროგამოშვებით მოსდიოდა ხოლმე ლიტერატურა (ბროშიურა „ოთხი ძმა", „წერილები ძმასთან" და სხვ. აგრეთვე ფურცლები), რითაც იკვებებოდა ჯგუფი და კვებდა თავის წრეებს.

ამ ჯგუფის თაობით მოხდა 1903 წ. ივლისის დიდი დემონსტრაცია, რის საბაბი შეიქმნა 150 მტვირთავ მუშების დატუსაღება გაფიცვის გამოცხადების გამო. ამ ამბავმა ააღელვა უმისოდაც მღელვარე მუშები ყველა რაიონებში, ხოლო მღვიმევში ყველამ შეწყვიტა მუშაობა, შეიკრიბენ ჯგუფის მეთაურობით და გაემართენ ძირს ჭიათურისაკენ. მათ მიბაძა გაღმა-გამოღმა რაიონმა, დაეშვენ ძირს და შეუერთდენ მღვიმელებს პატარა ჭიქოურაში. აქ ზღვა ხალხმა უკუაქცია ბოქაულის იერიში, მიყვა უკან და აიძულა გაეღო სატუსაღო. შემდეგ, წინააღმდეგ ჯგუფის სურვილისა, გავიდა ბაქნებზე და დასწვა ყველა სასწორები, სადაც მუშა-ჩალვადრებს ატყუებდენ წონაში, გა-

მოაცხადა გაფიცვა გამარჯვებამდე და დაიშალა. სამიოდე დღის შემდეგ ამოვიდა გუბერნატორი სმაგინი ჯარით. შეიქნა მასიური ჭერა და გაფიცვა ჩაიშალა, თუმცა უშედეგოთ არ ჩაუვლია, ზოგი რამ გაუმჯობესებები მოყვა (სხვათა შორის მთავრობის კონტროლი სწორი წონის დასაცავათ). დაჭერილებიდან 50-მდე მაღაროელები ქუთაისში გადაგვაგზავნეს. აქვე ჩამოიყვანეს ელსადგურიდან ტ. წერეთელი, სიხარულიძე, გაჩეჩილაძე და ქალაქიდან კ. მოდებაძე და მაჭანიშვილი . რამდენიმე თვის შემდეგ თავმდებებში გაგვიშვეს (მე ს. წერეთელი მომეხმარა), ხოლო შემდეგ ზოგის საქმე სულ მოსპეს, 45 მუშას მიუსაჯეს 6 თვე ციხე, მაგრამ ალექსის* დაბადების მანიფესტის გამო ციხეში აღარ გაუგზავნიათ.

ამის შემდეგ ჭიათურას პარტიამ მეტი ყურადღება მიაქცია. მოვიდა ხუნხუზა (ნოე ხომერიკი) და შეუდგა მოწინავე მუშათა კადრის გაწრთვნა-მომზადებას, მაგრამ სამწუხაროთ მას არ დასცალდა საქმე ბოლომდე მიეყვანა. „ოხრანიკი" უშ. მხეიძის (ოფიციალურათ ბოქაულის მწერალი) პროვაკატორმა (ოსი მუშა იყო) გასცა ერთი მისი კრება. დაატყვევეს მასთან ერთად დათიკო მიქელაძე, ალექსანდრე ხაბულიანი და ნესტორ ჩხიკვაძე (მუშები დატოვეს პროვოკატორის დასაფარავათ). ხუნხუზასთან ერთად მუშაობდა პროპაგანდისტი გ. ჯუღელი, შემდეგ ესერი. ქუთაისში ჩაყვანისას მათ მოუწყვეს გაქცევა (გაიქცა ხუნხუზა და დათიკო, ნესტორა და ალექსანდრე კი განგებ დაჯდენ). ორგანიზაცია მაინც დარჩა ბათლომა ხელაძის მეთაურობით. ჩქარა ნესტორაც თავდებში გაუშვეს, მუშაობა გაფართოვდა. შემოდგომაზე (1904 წ.) ქუთაისიდან ამოვიდა კობა (ჯუღაშვილი) და თან მოგვიყვანა ორი პროპაგანდისტი კ. ცინცაძე და ვ. ინნკირველი. კობა ცოტა ხნით იყო ჩვენთან. ასე მივადექით 1905 წ.

პირველი დიდი ამბავი 1905 წელში იყო იანვრის საერთო გაფიცვა. გაფიცვა მოამზადა და ხელმძღვანელობდა პარტიული კომიტეტი, რომელშიდაც შედიოდნენ ნ. ჩხიკვაძე (თავმჯდომარე), პრ. ჩხიკვიშვილი, ვ. ლომთათიძე, ქრ. მელუა, ბ. ხელაძე, გ. წერეთელი, ვ. ინნკირველი, კ. ცინცაძე, მე და სხვები. გაფიცვის პროცესში შემოგვემატენ კ. მოდებაძე, ვ. ყიასაშვილი, გ. ვაშაძე და სხვ. გაფიცვა დაიწყო 23 იანვარს გრანდიოზული მიტინგით და დემონსტრაციით. მიტ-

* იგულისხმება ნიკოლოზ II-ის ვაჟი (რედ).

ინგზე ვ. ინნკირველის მიერ პირველათ საჯაროთ ითქვა სოც.-დემ. პროგრამა. ამ დემონსტრაცია-მიტინგმა გასტეხა ნელში ადგილობრივი ხელისუფლება და მოხაზა 1905 ნელი ჭიათურაში. მიტინგს იცავდა შეიარაღებული მუშათა რაზმი, სადაც 15-მდე შეიარაღებული კაცი მეც მებარა. გაფიცვა გაგრძელდა შვიდი კვირა და გათავდა გამარჯვებით ყველა კითხვებში გარდა ერთი მუხლისა – 8 საათი სამუშაო დღე. ამ მუხლში, მუშათა მასების სურვილისამებრ, მოგვიხდა 10 ს. დათანხმება. მეტის გაგრძელება შიმშილობას გვიქადდა და ამავე დროს არსებულთან შედარებით 10 საათიც დიდი შეღავათი იყო (მანამდე სამუშაო დრო განუსაზღვრელი იყო გარდა ორი უცხო ფირმისა, სადაც 12 ს. არსებობდა). სამაგიეროთ ამ მუხლის მეორე ნაწილი – ნარდი მუშაობის სრული გაუქმება სავსებით მოვიგეთ.

გაფიცვის დასასრულს მოხდა შეტაკებაც: გადაწყდა მხეიძის მოკვლა. ეს საქმე იკისრა მუშა შაქრო გიუნაშვილმა, მაგრამ მარცხი მოუვიდა და თითონვე მოკლეს მხეიძის მცველებმა. ამის შემდეგ ჩვენი რაზმი იერიშით მივიდა საბოქაულოზე, საიდანაც ბოქაულები და სტრაჟნიკები გარდა მკვლელებისა გაიქცენ, ხოლო მხეიძე და მისი ორი მცველი (რუსები) მოკლულ იქნენ. შეიარაღებულებთან ერთად იერიშში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ასეულმა მასიდანაც. შემდეგში ამ საქმეზე დაატყვევეს შაქროსთან ერთად დაჭრილი ი. კირიტაძე* და ხალხიდან ს. სანოძე, მ. ვაშაძე და 16 ნლის შ. ჯაფარიძე, რომელთაც დახჩობა მიუსაჯეს და კატორღაზე შეუცვალეს. რაზმელების ვინაობა კი სამხედრო გამომძიებელმა ვერ გამოარკვია. გიუნაშვილის გასვენება კიდევ ერთ გრანდიოზულ მსვლელობათ გადაიქცა, რასაც მუშებს გარდა დაესწრო რაიონის გლეხობაც. ვილაპარაკეთ 10-მდე კაცმა. ყველა ეს მოხდა მაზრის პოლიციის თვალწინ. ერთი კვირის შემდეგ მუშა ჭანიშვილის მიერ მოკლულ იქნა მხეიძის მარჯვენა ხელი ნოშ. ჩხეიძეც.

გაფიცვის შემდეგ სოც. დემ. პარტიის ავტორიტეტი ერთობ გაიზარდა. მისი სრული გავლენის ქვეშ გადავიდა რაიონის გლეხობაც. როგორც ქალაქათ ისე სოფლათ მოეწყო დემოკრატიული ორგანიზაციები და მთავრობის ფუნქციები გაუქმდა. საჩხერეში ჩემი ხელმძღვანელობით მოეწყო ცალკე კომიტეტი, სადაც შედიოდნენ

---

* ალბათ უნდა იყოს „კირკიტაძე" (რედ).

ი. გძელიშვილი, დ. გძელიშვილი, ვ. ნოზაძე, ი. ვეფხვაძე, გ. გაფრინდაშვილი, ს. მეტონიძე, ს. ლომიძე, ლ. ლომიძე, ვ. ქამუშაძე, პ. აბრამაშვილი და სხვ. ასევე ჭიათურაში მოეწყო სასოფლო კომიტეტი ნესტორას ხელმძღვანელობით, სადაც შედიოდენ გ. წერეთელი, გრ. ფხალაძე, გედ. გაფრინდაშვილი, ი. ბარბაქაძე და სხვები. მუშაობას ველარ ავდიოდით, თუმცა მუდმივ პროპაგანდისტთა რიცხვი უკვე ათამდე იყო (შემოგვემატენ ნ. ბრეგვაძე, გამეზარდაშვილი და სხ.). მეც ამ დროს პროფესიონალათ ვმუშაობდი და არალეგალურათ ვცხოვრობდი გაფიცვის დროს მიტინგზე გამოსვლის გამო. ასეთ დროს დაიწყო ფრაქციული ბრძოლა.

ჩვენ გავიგეთ თბილისის და ბათომის კომიტეტების ამბები და მოვითხოვეთ დისპუტი. თბილისში გავგზავნეთ ბ. ხელაძე, ჩამოიტანა ლიტერატურა და ჩამოიყვანა მინადორა ორჯონიკიძე. ქუთაისიდან უკვე ჩვენთან იყო ს. წულუკიძე, ჩამოვიდა ხუნხუზაც და შეიქნა კამათი. სამი-ოთხი დღის კამათის შემდეგ უმრავლესობა მეუმცირესენი* აღმოვჩდით, მაგრამ საშას კეთილშობილური მოპყრობით შევთანხმდით ერთად გვემუშავნა. ის დაგვთანხმდა იდეიური კავშირი გვქონოდა თბილისთანაც. მაისში ამოვიდა კობა. ჩვენც მოვინვიეთ გრიშა ლორთქიფანიძე და ისიდორე რამიშვილი და განახლდა დისპუტები. დამოკიდებულება გამწვავდა და ორგანიზაციაც გაითიშა. პროპაგანდისტები თითქმის ყველა კობას გაყვა, მაგრამ ჩვენ თბილისმა გამოგვიგზანა ემ. სირბილაძე, მთვარელიშვილი, ზ. ჩიჩუა და სხვები. ინტელიგენციის სიმცირე შევავსეთ ბათომელი მუშებით, საიდანაც ალექსანდრე დგებუაძის მეთაურობით ოცამდე მუშა ამოვიდა. ისინი კარგი მომზადებულები იყვენ და დიდ დახმარებას გვიწევდენ. ამოვიდა რაფ. ჩიხლაძეც. ჩქარა ადგილობრივ წრეებშიაც გამომუშავდა მონინავე მუშათა კადრი.

ზაფხული საზოგადოთ მშვიდობიანათ მიმდინარეობდა, ხელის შემშლელი აღარავინ გვყავდა. ხელისუფლება სჩანდა მხოლოდ რკინის გზაზე ჟანდარმების სახით და მათთან გვიხდებოდა ხოლმე შეტაკება. ჭიათურის სადგურზე გადმოიყვანეს ვიღაც დერევიანკინი, სახელგანთქმული რუსეთში რევოლიუციონერ მუშათა ხოცვაშიო. მან მოინდომა ჩვენში მთავრობის ფუნქციების აღდგენა. ხშირი იყო ინცინდენტები. გადანყდა მისი მოკვლა, რაც თავს იდო მუშა სოლ. ლომთა-

* ე. ი. მენშევიკები (რედ.).

თიძემ, რომელსაც უკვე ქონდა სტაჟი (მოკლა ღ. აბაშიძე, რომელიც ქართლის მაგვარათ ჩვენში შავ რაზმს აწყობდა). რაკი გარეთ ვერ იგდო ხელში, სოლომონი სადგურში მიუხტა დერევიანკინს. მე შემთხვევით მოვხვდი იქ და დავრჩი ყოველი შემთხვევისათვის. პირველი ტყვია ასცდა ჟანდარმს, ხოლო მეორეზე ხელი აუკრა და აიცდინა. მარჯვენა ხელით მან უკვე დააღირა რევოლვერი სოლომონს, მაგრამ მანაც აუკრა ხელი და ასე შეიბენ. ჟანდარმი ახოვანი იყო და ღონით ერეოდა. ბაქანის მეორე მხარეს იყო მეორეც და დროს დაკარგვა არ შეიძლებოდა. მე აუტეხე სროლა. ჟანდარმი სოლომონს იფარებდა და მე იძულებული ვიყავი გარს მეტრიალებია. ბოლოს ორივე დაეცენ, ჟანდარმი მკვდარი და სოლომონი სასიკვდილოთ დაჭრილი. მე მაინც დავარტყი კიდევ ერთი ტყვია გულის საჯეროთ და მერე გამახსენდა მისი ამხანაგი. გვიანღა იყო, ტყვია აღარ აღმოჩდა ჩემ რევოლვერში. გავიქეცი. მესროდა. შემოუხვიე სადგურს და მივიმალე სიბნელეში (11 საათი იყო). გახვრეტილი აღმომაჩდა მხოლოდ ჩოხის ფართე სახელო. მეტი ინციდენტი აქეთ ამ წელში აღარ გვქონია.

ჩვენ სრული ბატონ-პატრონი ვიყავით, თუმცა კრებებს და მიტინგებს მაინც ფორმალურათ ფარულ ხასიათს ვაძლევდით. მხოლოდ 17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ გამოვედით მთლათ სააშკარაოზე. ამის შემდეგ მხოლოდ ერთი ოფიცერი, ჭიათურაში დროებით მდგომ ჯარის უფროსი არ იღებდა ხელს მთავრობის ფუნქციაზე. კომიტეტის დავალებით მოკლულ იქნა ახალგაზდა გურიიდან, რომლის გვარი არ მახსოვს.

მაინც ბრძოლისათვის ვემზადებოდით. გადაწყდა გაგვეფართოებია წითელი რაზმი. ამ მიზნით იარაღი ჩამოვართვით საბოქაულოებს და კერძო პირებს. დაბოლოს განვაიარაღეთ სამაზრო პოლიციაც. შედეგათ, როცა ცნობილ ფოსტა-ტელეგრაფის საიმპერიო გაფიცვას დეკემბერში რკინის გზის გაფიცვაც მიემატა და ჰაერში საომარი სუნი დადგა, ჭიათურაში უკვე იყო ორასზე მეტი განვრთნილი და კარგათ შეიარაღებული რაზმელი. აქედან მეუმცირესეების საჩხერიანა 150-მდე კაცი, რომლის მეთაურათ მე ვითვლებოდი. ხოლო სამხედრო ხელოვნებაში ნვრთნიდა კონია ჩაჩავა, სამხედრო სამსახურიდან ახლად დაბრუნებული უნტეროფიცერი. მეუმრავლესეების რაზმს მეთაურობდა კ. ცინცაძე. რადგან ჭიათურაში საბრძოლველი აღარაფერი სჩანდა, გადავბარგდით ზესტაფონში. იქვე ჩამოვიდა ჩხარის რაზმი 50 კა-

ცამდე და ა. მერკვილაძისა 30 კაცი. იყო ესერ-ფედერალისტების რაზმიც, მოწაფეობა კ. ნემსაძის მეთაურობით (ეს ის ნემსაძეა, რომელიც რეაქციის შემობრუნების დროს ალიხანოვს მიეკედლა, ბოქაულობა მიიღო და შვიდი წელი თარეშობდა. 1912 წელს ის ხელთ იგდეს ყოფილმა რაზმელებმა და მაუზერის ტყვიებით დაცხრილეს).

გაერთიანებულ რაზმების სარდლათ არჩეულ იქმნა ზესტაფონის რაზმის უფროსი ქარსელაძე, მის თანაშემწეთ კ. ჩაჩავა. ქარსელაძემ ვერ გამოიჩინა შესაფერი სამხედრო უნარი და ამიტომ მისი ადგილი დაიჭირა ნესტორ ჩხიკვაძემ. შესდგა აგრეთვე მომარაგების კომისია კ. მოდებაძის თავმჯდომარეობით. იქვე ზესტაფონის სადგურში არსებობდა გაფიცვის კომიტეტი ზაქ. ჩიჩუას ხელმძღვანელობით.

II

ტენგინსკის პოლკის განიარაღება. გენ. ალიხანოვი. საოლქო კომიტეტის მოწოდება. რაზმების დაშლა. არალეგალური მუშაობა.

ჩვენი რაზმის ამოცანა იყო ტენგინის პოლკის 3 როტის (ზესტაფონი, ხარაგოული, წიფა) განიარაღება, ზესტაფონის ხაზინის ხელში აღება და ამ საშუალებით ახალი რაზმების შეიარაღება, რომ მერე ქუთაისზე წავსულიყავით. როცა ყველაფერი მზათ იყო, ამბავი მოვიდა, რომ მოსკოვი დამარცხდაო. თბილისთან სუსტი კავშირი გვქონდა ხაშურის რეაქციონურ ჯარების მიერ დაჭერის გამო. ნავედით ქუთაისში რამდენიმე კაცი. კითხვა იყო: ამ ცნობის შემდეგ გაგვეგძელებია უნდა დანყებული საქმე, თუ არა. კრების უმრავლესობა ჰოს მომხრე იყო. გადაჭრით წინააღმდეგი იყო პარ. ჭიჭინაძე. სჯობს თითონვე მოვხსნათ პოზიციები, ავიხსნათ იარაღი და მივიმალ-მოვიმალოთ, რომ ძალები დავზოგოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლით განიარაღებული რევოლიუცია ოცი წელი ვეღარ გაიმართება ნელშიო – ამბობდა ის. ჩვენ კი ვამბობდით, რომ თუ ჩვენვე გამოვალთ უძლურების მოციქულათ, მაშინ კიდევ უფრო დიდი ხნით გაუტყდება გული ხალხსთქო. ამავე დროს მაინც იმედი გვქონდა გამარჯვების, რადგან მოსკოვი არ მიგვაჩდა რუსეთათ.

გადანყდა შეტევა. ყოველი შემთხვევისათვის ქუთაისმა განკარგულება გასცა სამტრედიის რაზმი მოგვშველებოდა. რამდენიმე დღის შემდეგ ზესტაფონში მყოფ როტას ალყა შემოვარტყით ყაზარმაში და მოვსთხოვეთ დაგვნებებოდა. როტამ სროლით გვიპასუხა, ჩვენ საფრებში ვიყავით. როტამ სცადა გამოსულიყო ყაზარმიდან, მაგრამ ამის ნება არ მივეცით. ნახევარი საათის შემდეგ გამოკიდეს თეთრი დროშა. მათ აღმოაჩდათ ერთი მკვდარი და ორი დაჭრილი. ჩვენც მოგვიკვდა ერთი (სამტრედიელი სტურუა).

ამავე დღეს მოხდა ხარაგოულში მდგომ როტის განიარაღებაც. ეს ოპერაცია მეორე დღისთვის გვინდოდა, მაგრამ სნორეთ იმ დროს, როცა ჩვენ ალყას ვანყობდით, დ. სულიაშვილმა დაგვიძახა იქიდან ტელეფონით, რომ როტა იყრება, მაქეთ მოეშურებაო. ჩვენ წინადადება მივეცით მოხერხებულ ადგილას ხევში ჩასაფრებოდენ და არ გამოეშვათ, თუ იარაღს არ აიყრიდენ. იქ იყო (უმთავრესათ მეუმრავლესეების) რაზმი ას კაცამდე გ. ელისაბედაშვილის მეთაურობით, რაც ხევში საკმაოთ მიგვაჩდა. მაინც საჩქაროთ გავგზავნეთ კიდევ 30 საუკეთესო რაზმელი კ. ლორთქიფანიძის მეთაურობით. კოლია ერთი მხრიდან, ხოლო ხარაგოულელები მეორე მხრიდან თავს დაადგენ ხევში რკინის გზის ლიანდაგზე მომავალ როტას. შეიქნა ბრძოლა ფიცხელი, მაგრამ, როცა კოლიას საიმედო ტყვიამ წააქცია სარდალი, ხოლო მისი თანაშემნის ტყვიამ ფელდფებელი, სარდლობა რომ აიკისრა, როტა დანებდა.

ამ ამბებმა მიაღწია ქუთაისამდე და ჩვენზე გამოგზავნეს ყაზახები, რომელთაც ჩვენ აჯამეთში შევეგებეთ. მაგრამ ბრძოლა არ მიიღეს, უკანვე გაბრუნდენ. საჭირო შეიქნა რიონის სადგურის გამაგრება, სანამ წიფასაც განვაიარაღებდით, რომ ზურგი გაგვეთავისუფლებია და მერე ქუთაისზე ჩვენ თითონ ნავსულიყავით.

ნიფის ოპერაცია მომანდვეს მე, რისთვისაც გარდა ხარაგოულის რაზმისა თან წავიყვანე საჩხერლები 20 კაცი. ნინა დღის დაზვერვის შემდეგ, ახალწელინადს რიჟრაჟზე ნიფის სადგურს გარს შემოვერტყით გაღმა-გამოღმიდან. გ. ელისაბედაშვილი იმ დროს ხარაგოულიდან სადღაც წასულიყო და რაზმს, ორ ნანილათ გაყოფილს, ხელმძღვანელობდენ სამუელა ბუაჩიძე და პატუა ჩუბინიძე. სამუელა თავის 60 კაცით გავგზავნე გაღმა, ხოლო პატუას ნანილით საჩხერლებიანა მივადექით გამოღმიდან. ის იყო ალყა თავდებოდა, რომ გაღმიდან გვანიშნეს ჩრდილოეთიდან მტერი გიახლოვდებათო. აღმოჩდა, სურა-

მის გზით 120 ყაზახი მიდიოდა როტასთან. ამნაირათ ჩვენ თითონ ვემნყვდეოდით ალყაში.

საჩქაროთ მოვხსენი რაზმი და ვუთხარი მოშორებით დაეცადნათ, მე კი გრ. წერეთლისა და პ. კუპრაშვილის თანხლებით წავედი წინ, სადაც ყოველ შემთხვევისათვის ოთხი საჩხერელი მყავდა გაგზავნილი გუშაგებათ. მთაგორიანი მდებარეობის გამო ისინი ჯერ ვერ ამჩნევდენ მტერს (კიდევ არ იყვენ ასული გორაზე). ვანიშნეთ. დაბრუნდენ, მაგრამ თან მოსდია რვა ცხენოსანმა. ჩვენ სროლით გადვირბინეთ სერი და ძირიდან მოუბრუნდით. ორის ჩამოგდების შემდეგ გაიქცენ. ჩვენც მოგვიკლეს მუშა მაჭარაშვილი და დაგვიჭრეს ლ. ლომიძე. ამის შემდეგ უცბათ წინ გადაგვეჩეხა ტყიდან ამოსული ექვსი ყაზახი, რომლებსაც როტამ თურმე 4 სურამელი რაზმელი (მათ შორის სტუდენტი ვ. ციციშვილი) გაატანა წყლის პირზე დასახვრეტათ. სროლის ხმაზე შეშინებულან, რაზმელები გაეშვათ, გამოქცეულიყვნენ და ჩვენ შეგვეფეთენ.

შეიქნა ხელახალი ბრძოლა. ისინი ჩქარა გაიქცენ განზე და თან ნაიყვანეს დაჭრილი (ცხენდაცხენ), მაგრამ ერთი ჩარჩა. ის ცხენიდან ჩამოხტა და მისი მუცლის ქვეშიდან გვესროდა. გაქცევის დროს ცხენი ისე გაყვა სხვებს, რომ ვერ მოასწრო შეჯდომა. ის ჩვენი წასასვლელი გზისკენ შეძვრა ტყეში და მოიმარჯვა თოფი. ჩვენებმა ვერ შენიშნეს, ეგონათ მეც მათ მივყვებოდი, ნამდვილათ კი მე ყაზახს აუტეხე სროლა. მანაც მიპასუხა. ჩქარა მას მაშველი მოუბრუნდა, ზევიდან, გორაკიდან მესროლა. მე მას მიუბრუნდი და, როცა პირველი გამახსენდა, დავინახე ის უკვე განზე გარბოდა. მე გამეცინა და მასვე მივბაძე. მისი მაშველი ამ დროს თავდამალული იყო ჩემი ტყვიის გამო და ნახევარი გზა ისე გავირბინე, ვერც კი გაიგო. შემდეგ მესროდა, მაგრამ ჩქარა ტყეს მივატანე და იქიდან ბანაკისაკენ. ამ დროის განმავლობაში ყაზახების ასეულთან და ტენგინის როტასთან სროლა ქონდა გალმიდან სამუელას რაზმს. იმათმა ყაზახებს მოუკლეს ორი კაცი და ექვსი ცხენი, რის შემდეგ მოიხსნენ და განდაგან გამოღმა გამოვიდენ.

საჩქაროთ გამოუძახე ნესტორას ტელეფონზე და ერთი-ორი საათის შემდეგ მოგვივიდა მაშველი რაზმი. ხელმეორეთ მივადექით სადგურს, მაგრამ მათ უკვე შეგვასწრეს გვირაბში. წავიდენ ხაშურისკენ ფეხით, ყაზახები დაქვეითებული, რადგან მატარებელი რომც ყოლოდათ, გვირაბი ახერგილი იყო: ოპერაციების წინ მე და ვ. ყიასაშვილ-

მა ხაშურში წავიყვანეთ ორი ორთქლმავალი, რომელთანაც აქეთობას ერთი შუა გვირაბში გავაჩერეთ, ჩაუდევით ქვეშ დინამიტი, ნაუკიდეთ ფითილს და დავტოვეთ.

გადანყდა წიფაში მაინც გვყოლოდა ერთი პატარა რაზმი, რომ გვედარაჯებია ხაშურისათვის, სანამ ქუთაისს ავიღებდით. დამტოვეს ისევ მე 50 კაცით. დანარჩენები წავიდენ რიონის სადგურისაკენ, სადაც ამოვიდენ გურულები და მეგრელები. ის იყო უნდა დაენყოთ ქუთაისის ოპერაცია, რომ მოხდა ამბავი, რამაც ყველაფერი შეატრიალა. ერთ დღეს გუშაგებმა ჩემთან მოიყვანეს გვირაბიდან გამოსული ახალგაზდა ოფიცერი, რომელიც აღმოჩნდა ლექვინაძე (შემდეგში ტრაღიკულათ დაღუპული ცნობილი პოლკოვნიკი). მას განგებ აეღო შვებულება და ფეხით სახლისკენ ნამოსულიყო ქართველ ოფიცრების ბჭობის შემდეგ ჩვენდა გასაფრთხილებლათ, რომ ჩვენზე მოდიოდა გენ. ალიხანოვი დიდი ჯარით, რომელსაც ნაბძანები ქონდა 16 ვერსზე ირგვლივ მოესპო ყველაფერი, სადაც წინააღმდეგობას გაუწევდენ.

თბილისი უკვე დაპყრობილია, ამდენ ჯარს ვერ გაუძლებთ და ტყვილა ნუ დაღუპავთ ნახევარ საქართველოსო – გვირჩევდენ ქართველი ოფიცრები. მე მაშინვე გავეცი განკარგულება ის ზესტაფონში წაეყვანათ. სანამ ორთქლმავალი წყალს აიღებდა, გვირაბიდან კიდევ გამოვიდა მთელი ჯგუფი, მათ შორის ერთი გურული მღვდელი, რომელსაც ანაფორაში გამოკერილი ქონდა სოც.-დემ. პარტიის საოლქო კომიტეტის მონოდება, სადაც მოუნოდებდა ყველა ორგანიზაციებს მოეხსნათ პოზიციები, აეყარათ იარაღი და გადასულიყვენ არალეგალურ მდგომარეობაში. ყველა ისინი საჩქაროთ გავგზანე ზესტაფონისაკენ, საიდანაც იმავე ღამესვე მივიღე ბრძანება მოვხსნილიყავით. ყველა რაზმები გაუშვით თავთავის რაიონებში. იარაღები მივმალ-მოვმალეთ. რაზმელების ნაწილი და პროპაგანდისტები სხვა ქალაქებში გადავგზავნეთ. რკინის გზაზე გაფიცვა მოვხსენით და სხვა. ალიხანოვმა მაინც თავისი ქნა.

ჯარი მაზრაში შემოვიდა ცეცხლითა და მახვილით. დასწვეს ხარაგოული, ზესტაფონი, საჩხერე. ჭიათურა გადანვას გადარჩა იმის გამო, რომ შეეშინდათ ცეცხლი უცხოელთა შენობებსაც წაეკიდებაო. აქაიქ სოფლებშიაც გააჩინეს ხანძარი, რომ ტერორის სული დაეტრიალებიათ. შემდეგ შეუდგენ დატუსაღებას და გზაში ხვრეტას, თუ ვინმე რაზმელები ხელში ჩაუვარდებოდათ.

მე კარგა ხანს დავრჩი რაიონში. ბოლოს გადავწყვიტეთ მე, პ. აბრამაშვილი და ს. მეტონიძე ნავსულიყავით თბილისში კორბოულ-ქართლით, რადგან რკინის გზებზე მატარებლებს ჩხრეკდენ ტენგინის პოლკის ჯარისკაცები (მათ ასე დაიჭირეს რამდენიმე ამხანაგი, მათ შორის დ. სულიაშვილი). შევხვდით ერთმანეთს სანდრო მეტონიძისას ს. ბუინევში, სადაც კინაღამ ჩავცვინდით: თურმე იმ დილას მოდიოდენ მისი სახლის დასაწვავათ. ეს ამბავი, ყოფილი რაზმელების და საერთოდ გაქცეულთა სახლების დაწვა, ორ-სამ თვეს გაგრძელდა. მე უკვე თბილისში ვიყავი, როცა ჩვენ სოფელში ასულიყვენ და ჩემ გამო ორივე ჩემი ძმების საცხოვრებელი გადაენწვათ. კარგი რომ ს. მეტონიძის სახლი ტყის ახლო იყო, ჩვენ გადავასწარით, ტყეტყე შალვა აბდუშელიშვილისას ავედით (შალვაც იმალებოდა). იქიდან გავემგზავრეთ თბილისში. იქ პავლია აბრამიშვილი ისევ საოლქო კომიტეტის სტამბაში სამუშაოთ წავიდა, სადაც წინათაც მუშაობდა. მე ცოტა ხანს დავრჩი იქ და შემდეგ ნესტორასთან ერთად გაგზავნილი ვიყავი ბათომში, ოსმალეთის საზღვარზე იარაღების საიდუმლო საწყობების მოსაწყობათ. ბათომში მე დიდხანს არ დავრჩენილვარ, რადგან ნესტორ ჩხიკვაძეს ჩემი დახმარება არც ისე ეჭირვებოდა, ხოლო ამავე დროს ჭიათურიდან თხოულობდენ ჩემ უკან დაბრუნებას.

III

კონფლიქტი ჭიათურის მრეწველებსა და მუშებს შორის. ჩემი დატუსაღება. ქუთაისის ციხიდან ხვრელით ტუსაღების განთავისუფლება.

1905 წლის მუდმივ გაფიცვების შემდეგ შავქვაზე დიდი მოთხოვნილება იყო და დიდი მუშაობაც გაიმართა, მაგრამ მრეწველებმა ისარგებლეს რეაქციით და მუშათა მდგომარეობა ძალზე გაუარესდა. ამან დაბადა ბრძოლის სული და გაფიცვის სურვილი. ამისთვის მიმიწვიეს. ახლა კომიტეტიც და პროპაგანდისტებიც სხვა რაიონებიდან შემოფარებული ხალხიდან შედგებოდა. ადგილობრივ პირობებს არ იცნობდენ. შეუდექით ორგანიზაციულ მუშაობას. პირველათ ყოვლისა აღვადგინეთ სტამბა, რაც მოვაწყვეთ მღვიმევში ერთ გამოქვაბულ-

ში, ვასწავლეთ აწყობა მოწაფე ბაგ. ჭუმბურიძეს და შეუდექით ფურ-ცლების ბეჭდვას. ჭიათურაში სტამბა 1905 წ. მოეწყო ს. კილაძის ხელმძღვანელობით. მუშაობდა ბათლომა ხელაძე. ამ სტამბამ ერთი ნელი იმუშავა. გაიგეს. სტამბის გადამალვა მოეწყო, ხოლო კავშირი – გ. გაფრინდაშვილი დაატყვევეს და კატორღაში გაგზავნეს.

ჩქარა გამომუშავდა მოთხოვნილებები, რაც დავბეჭდეთ და გაფიცვის დღეც დაინიშნა. გაფიცვა საარაკოთ ერთსულოვანი იყო და ისე აღშფოთდა გუბერნიის ადმინისტრაცია, რომ წვერებს იგლე-ჯდენ. შტრეიკბრეხერები რომ ვერსად იშოვეს, მოიყვანეს ერთი პოლ-კი ქვეითა ჯარი და უნდოდათ აღედგინათ ვაგონების ტვირთვა მარა-გი მადნით, მაგრამ ფურცლებით და სიტყვით გაფიცულნი ჩაერიენ ჯარში და მათაც უარი თქვეს. ექვსი კვირა გაგრძელდა გაფიცვა და გათავდა სრული გამარჯვებით, მოვიპოვეთ 8 საათის სამუშაო დღეც. ჭიათურაში თითქმის აღსდგა 1905 ნელი და ასე გრძელდებოდა 1907 ნლამდე, როცა რეაქციის სული ისევ დატრიალდა ერთი ამბის გამო: კ. ცინცაძის მეთაურობით წაიღეს ფოსტა (ოცი ათასი მანეთი). ორი ჯარისკაცი მოკლეს. რეაქცია გაძლიერდა სოფლებში, ჭიათურა კი ისევ გაუტეხლათ იყო.

1907 წ. ზაფხულში მრეწველთა სიეზდი იყო ქუთაისში, სადაც მუშებმა გააგზავნეს დელეგაცია ვ. კიკვაძის მეთაურობით. მე დამ-ავალეს იქ ვყოფილიყავ და გარედან დავხმარებოდი. სიეზდის გათა-ვებისას ვიღაცამ გამცა და დამატუსაღეს, მაგრამ ამხანაგებმა მომი-წყვეს გაქცევა („ნახვის" დღეს ტუსაღებისა და მნახველების შუა ამ-ართულ რკინის ხლართში არსებულ სარკმელში გადავძვერი და მნახ-ველებს გავყევი, სარკმელის დარაჯი მოყიდული გვყავდა). გარეთ ნესტორი მიცდიდა რამდენიმე ამხანაგით და ფაიტონით, რომელთან ერთად მეორე დღეს ხონით და სამტრედიით წავედით გურიაში და ერთი თვის შემდეგ, როცა ცოტა მიწყნარდა, დავბრუნდი სამოქმე-დოთ.

ამ დროს ქუთაისის ციხეში ისხდნენ მთელი რიგი ამხანაგებისა ზესტაფონიდან, ზუგდიდიდან, ლეჩხუმიდან და სხვ., რომელთა უმ-რავლესობას კატორღა ელოდა, ზოგს ჩამოხჩობაც. ბუნებრივია, მათი ნატვრა იყო ხვრელი. რამდენჯერმე სცადეს ეს შიგნიდან, მაგრამ უშედეგოთ. ორი ცდა პირდაპირ საზღაპრო იყო. ერთჯერ მეორე სართულიდან ძირს ჩავიდენ ტანისამოსის სანყობში. იატაკი რგვლათ ამოჭრეს თანდათანობით ისე, რომ მას ბადიმივით ამოიღებდენ, ორ

კაცს ჩაუშვებდენ და ისევ დახურავდენ. საწყობში გადმოსნიეს ტანისამოსი ერთ კუთხეში, იქ ამოთხარეს იატაკი და წაიყვანეს ხვრელი ციხის შავი ეზოსაკენ. მიწას ტანისამოსის ქვეშ მალავდენ. ორი კვირა იმუშავეს. ხვრელი თითქმის მზათ იყო, რომ ვიღაცამ გასცა.

მეორეჯერ კი მოიყიდეს ერთი დარაჯი. ის ღამე უშვებდა ციხის საყდარში. იქიდან ტრაპეზის კედელი გახვრიტეს, შემდეგ საავადმყოფოს სხვენიდან აბანოს სხვენში შედიოდენ და ისეთივე ხვრეტილის საშუალებით აბანოში ეშვებოდენ. აბანოდან ხვრელი გადიოდა იმავე ეზოსაკენ. აქ მანძილი გაცილებით ცოტა იყო და იმედი ქონდათ ერთი აბანოს დღიდან მეორემდე მოასწრებდენ (ორ კვირაში ერთჯერ იყო აბანო) და აბანოს დღეს გავიდოდენ. მიწა აბანოს სხვენზე აქონდათ. ესეც თითქმის მზათ იყო, რომ გასცეს. ამის შემდეგ შიგნიდან ხვრელის გაკეთების იმედი დაიკარგა.

საჭირო იყო ხვრელი გარედან გაკეთებულიყო. ეს ამბავი მე გარეთაც მაცნობეს, მაგრამ თუ ციხის კარების მდგომარეობა არ იცოდი, შეუძლებელი იყო. და აი ახლა ამ მდგომარეობის შესწავლას დაუყოვნებლივ შეუდექი. ავიღე რამდენიმე ზეპირი, თვალთმახსოვრობითი გეგმა. საუკეთესო და ადვილი იყო ფანცხავას სახლი, მაგრამ მათი თვალის ახვევა შეუძლებელი იყო (ორივე ცოლქმარი პარტიულები იყო, ქმარი ფედერალისტი და ცოლი სოც.-დემ.), ხოლო თითონ გაბედავდენ თუ არა დათანხმებას, ძნელი სათქმელი იყო. და აი, ჩემ სიხარულს საზღვარი არ ქონდა, როცა გურიაში ცაცა დარახველიძემ ციხიდან მიღებული ჭიჭიკო ასათიანის წერილი გადმომიგზავნა, სადაც მწერდენ, რომ მატრონა ფანცხავას შენ გაქცევაში მონაწილეობა დანამეს და ხონში გადაასახლეს, ხოლო ოჯახს აუკრძალეს თავის სახლში ცხოვრება და გაღმა მხარეს იქირავეს სახლიო.

დავბრუნდი ქუთაისში და ნინა ქაჯაიას შევხვდი, მასთან ერთად ცაცასაც. სახლზე განცხადებაა ქირავდებაო. გადავწყვიტეთ ექირავებია ეს სახლი უცნობ ქალს და გაეხსნა შიგ ჩულქების სახელოსნო. შევჩერდით მარო ბოჭორიშვილზე* და მარო კალანდაძეზე. მ. კალანდაძე ი. ებრალიძის (პირადი მეგობარი იყო) წერილით ჩქარა ჩამოვიდა, გადავეცი ფული და წავიდა სახლის დასაქირავებლათ. ჩულქის საქსოვი მანქანა მოგვცა ბ. ბიბინეიშვილის მეუღლემ. ჩამოვიდა მე-

* ალბათ მარო ბოჭორიძეზეა ლაპარაკი (რედ.).

ორე მაროც და ნოქარ ლომთათიძესთან ერთად მოეწყვენ სახლში (ითვლებოდენ და-ძმანათ და სამივეს ყალბი პასპორტები ქონდათ).

მე მოვამზადე ყველაფერი. რომ კომიტეტის კასა არ დამეზარალებია, ფული ამ საქმისათვის შევთვალე ჭიათურაში, საიდანაც ნაცნობმა მრეწველებმა (კ. ყიფიანი, ძმ. ღულუნიშვილები, ილ. ბერიძე, რ. ანჯაფარიძე და სხვ.) ციხიდან გაპარვის შემდეგ შემომითვალეს, თუ საზღვარგარეთ ნასვლა გინდოდეს უფულობით არ მოიშალო, ჩვენ შეგიგროვებთო. ვისარგებლე ამით, გავგზანე ცაცა გრ. ფხალაძესთან და მან ჩამომიტანა ექვსასი მანეთი. გრიგოლმავე ჩამომიყვანა ორი დამხმარე მაღაროელი, მ. ჯორბენაძე და სარ. ტყემალაძე. დანარჩენ დამხმარეებიდან სურვილი განაცხადეს ახალგაზრდა მეუმრავლესეებმა ი. ებრალიძესთან ერთად, რაც მეც მესიამოვნა, რადგან ჩვენები ამ დროს მესამე დუმის არჩევნებში იყვენ გართული და ამხ. გრიშა ლორთქიფანიძე მეც მისაყვედურებდა ასეთ დროს ჩამოგვშორდიო.

უკვე მუშაობა გაჩაღებული გვქონდა, როცა ი. ებრალიძემ მითხრა, კ. ცინცაძე ჩამოვიდა რუსეთიდან (ქუთ. ციხიდან იყო გაგზავნილი ადმინისტრატიულათ), მასაც ეს საქმე ქონია მიზნათ და გთხოვს შეერთებასო. საწინააღმდეგო რა უნდა მქონოდა, მით უმეტეს მუშახელის მომატება საჭირო იყო.



ქუთაისის ციხე და ფანცხავას სახლი, საიდანაც გაიყვანეს გვირაბი.

ჩემი თვალთმახსოვრობითი გეგმის თანახმათ ფანცხავას სახლის ფანჯრის საფუძვლიდან საჭირო ზომა გავნიე დასავლეთით, ამოვთხარეთ ერთი საჟენის სიმაღლე ორმო, ავიღე მიმართულება კედლის საშუალებით. მიმართულების სისწორეს ვიცავდი დანიშნული წერტილიდან ორი სანთლის შუქზე გასწორებით, როგორც ეს მაღაროებშია მიღებული. ხვრელის სიგრძეც თვალზომით მქონდა გამოანგარიშებული (მგონი 11 საჟენი იყო). თვალზომაზე მაღაროში სახელი მქონდა დავარდნილი. ამავე დროს საშუალება მქონდა მიმართულებაც და სიგრძეც შემემოწმებია კაკუნით, როცა დანიშნულ საკანს მიუახლოვდებოდი (საკანში ისხდენ ჭიათურელი მაღაროელები ლ. გძელიშვილი და ლ. ლომიძე).

ჩვენ კომპანიას, გარდა ჯორბენაძისა და ტყემალაძისა, ხშირათ შედიოდა ეჭვი, მაგრამ როცა ციხის ზღუდის გაშორების შემდეგ მე ნიშანი მივეცი და საკნიდან კაკუნზე გვიპასუხეს, გაუკვირდათ. ვმუშაობდით მხოლოდ დღისით, რადგან ღამე სიწყნარეში საშიშო იყო ხმაურობას გავეცით. ხვრელში ჩვენ გვესმოდა არამც თუ ცხენების და ურმების მოძრაობა, არამედ გუშაგ ჯარისკაცის ფეხის ხმაც (სახლსა და ციხის შუა იყო ქუჩა). ამის გამო ნერაქვს კი არ ვცემდით, ვფხოტნიდით, ქვას და ქვას შუა ბერკეტივით ავამუშავებდით. ხვრელის ცას ბოძებით და ფიცრებით ვამაგრებდით, რომ ურმებს არ ჩამოენგრია, ხოლო ჰაერის გამოლევის გამო (სანთელიც კი ქრებოდა) ხვრელში შეუშვით რეზინის მილი, რომლის მეორე თავი სარდაფში მიმაგრებული იყო ოქრომჭედლების საბერველზე, რომლითაც ჰაერს ვდენიდით ხვრელის თავში. ასე მიუახლოვდით მიზანს, როცა სახლის პატრონმა თურმე ეჭვი აიღო. ჩემ იქ არ ყოფნის დროს მოსულიყო სახლში, დაებარებია დაუყოვნებლივ დაცალეთო. დაგვჭირდა გ. ზდანოვიჩის და ი. ფანცხავას საქმეში ჩარევა, რომ ის დაგვეთანხმებია (ზდანოვიჩს გრიშა ლორთქიფანიძის სახით კომიტეტმა მისცა პირობა მოსალოდნელ ზარალის ანაზღაურებაზე, რაც შემდეგში 600 მან. გამოიხატა).

ამის შემდეგ სულ ორი დღის მუშაობა დაგვჭირდა. ერთი ინციდენტი მაინც გადამხდა – უკანასკნელ დილას ამიჯანყდენ, ვაი თუ სწორათ მიზანზე არ მივდივართო. თურმე კოწიას მოსკოვიდან ჩამოსულ სტუდენტ-ინჟენერისთვის ეთქვა ეს ამბავი და ის გადარეულიყო: მაგას მასე ზეპირათ დიდი სტაჟის ინჟენერიც ვერ გაიყვანსო. მოითხოვდენ ამ სტუდენტის მოყვანის ნებას. ხვალამდი მაცალეთ-მეთქი.

კაკუნი ორივე მხარეს გვარწმუნებდა, რომ სასურველ საკნის ქვეშ ვიყავით. ასევე უნდა ყოფილიყო ზომითაც. მაგრამ მაკვირვებდა ის, რომ ბალავერს ვერ ნავანყდი. ეჭვი ავიღე მის სილრმეზე (გადმოცემული მქონდა ბალავერი ერთი საჟენიაო) და ხვრელის თავში ჩამოვთხარე ცა. ურა

შვილი, ლ. შენგელია*, პ. გოგიაშვილი, გძელიშვილი, ლომიძე, თ. ჩუ-ბინიძე და ჭუმბურიძე. ყველაფერი მომზდარიყო გეგმის თანახმათ. ჩვენების გაყვანის შემდეგ კარები გამოეღო ჩვენ მოხერხებულ დი-ასახლის მ. ბოჭორიშვილსაც** (მ. კალანდაძე წინასწარ გამოვიდა), ხოლო გაყვანილები მომზადებულ ბინებზე დაერიგებიათ. ხვრელი აღმოაჩინეს მაშინვე (უგოლოვნიკებმა გაიგეს და ჯიქურ მიაწყდენ საკანს) და მთელი ქალაქი შეკრეს. გასულებიდან ერთი კვირის გან-მავლობაში 8 კაცი დაატყვევეს (მათ შორის ს. სტეფანოვი), მაგრამ ისეთი არავინ ჩავარდნილა, რომელთაც ჩამოღჩობა ელოდა. დანარ-ჩენნი ნაწილ-ნაწილათ წაიყვანეს ქუთაისიდან და გადმოგზავნეს თბი-ლისში...

დახმარებასაც კი გვინევდა არა მარტო ჭიათურის ორგანიზაციი-სათვის, არამედ გაზეთისათვისაც. ჩვენ დაჭრილებს ან დევნილ ავათ-მყოფებს, როცა საავადმყოფოში მოთავსება საშიში იყო, თავის სახლ-ში ანვენდა და არჩენდა. გმირი იყო, არ ეშინოდა არავისი, გუბერნა-ტორსაც კი მედგრათ შეხვდებოდა ხოლმე, როცა ასმენდენ. თებერვ-ლის რევოლიუციის შემდეგ ფორმალურადაც ჩვენთან გადმოვიდა და არცერთი მოვლენა არ ყოფილა, რომ მას მონაწილეობა არ მიეღოს.

აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ჩვენში, როგორც უცხ-ოელთა მპყრობელობაში მყოფ ერში, მაღალი წოდებაც კი, როგორც მთელი, რეაქციონური არ იყო. მართალია მეოცე საუკუნის დასაწყის-ში ის ღია ბრძოლას არ ანარმოებდა რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მაგრამ სამაგიეროთ არამც თუ ხელს არ უშლიდა სოც.-დემ. პარტიის ბრძოლას, არამედ თანაუგრძნობდა კიდეც. აქედან ზოგი მისი ელემენტები ხელსაც უნყობდა ჩვენ ბრძოლას: გვაძლევდენ ბი-ნას დევნილებისათვის, გვეხმარებოდენ დატუსაღებულთა გამოსახს-ნელად და სხვა. ჭიათურა-საჩხერეში ასეთ დახმარებას გვიწევდენ სიმონ და გიორგი (ძმები) ნერეთლების ოჯახები, ელისაბედ ნერეთე-ელი, ანეპოდისტე მაჩაბელი და სხვა. მრენველებზე და ვაჭრებზე ხომ ლაპარაკიც მეტია. ესენი არამც თუ პარტიას, გაფიცვასაც კი ეხმარე-ბოდენ მატერიალურად. რამდენადაც ვიცი, ასე იყო სხვა ქალაქებში-დაც.

* უნდა იყოს შენგელაია (რედ.).

** ალბათ მარო ბოჭორიძე (რედ.).

IV

ბაქოში მუშაობა. როსტოვში გადასახლება. სამშობლოში დაბრუნება.

მე ცოტა ხანს დავრჩი თბილისში. რამდენიმე დღით ბაქოდან იქ ჩამოვიდა ამხ. პეტრე (ნ. რამიშვილი) და მისი რჩევით მეც ბაქოში გადავსახლდი. ვმუშაობდი პარტიაში და პროფეს. კავშირში. თითქმის 3 წელი ვცხოვრობდი ბაქოში, სანამ 1910 წლის ზაფხულში ვიღაცას გაცემით დამიჭერდენ (ვცხოვრობდი ავალიანის გვარზე). გადმომგზავნეს ქუთაისში, სადაც ჩემ საქმეებს იძიებდა ჟანდარმების სამმართველო. წამომიყენეს ბრალდებები უმთავრესათ წითელი რაზმის შედგენისა. მაგრამ მოწმეები ამ საქმისათვის არავინ ყავდათ, ვინაიდან ჯარისკაცები უკვე რუსეთში იყვენ, ხოლო ხალხიდან ხელს არავინ მადებდა, მარტო ბოქაულის ჩვენებაზე აგებული ბრალდება არ კმაროდა მაშინ. მე გამიშვეს 300 მანეთის სანინდარში (რაც საჩქაროთ ჩამოიტანა გრიგოლმა ჭიათურიდან) ჭიათურის პოლიციის მხედველობის ქვეშ.

შემდეგში საქმე სულ მოისპო და გუბერნატორს მხოლოდ ისღა დარჩა რომ ადმინისტრატიულათ გადავესახლებიე როსტოვში. ეს იყო 1912 წლის დამდეგს, როცა მეოთხე დუმის არჩევნები მზადდებოდა, რის გამო პარტია მოითხოვდა როსტოვში გადასახლებულთაგან მთელი რიგი ამხანაგების უკან დაბრუნებას (როსტოვში იმ დროს ბევრი ქართველი ს.-დემ. იყო გადასახლებაში, იქ იყო პეტრეც, ის იყო მოიყვანეს გრიშაც). პეტრეს მეთაურობით მოგროვდა ფული და რამდენიმე ამხანაგები გადაიგზავნა სამშობლოში სამუშაოთ. მათ რიცხვში მეც. არჩევნების გათავების დროს დამატყვევეს თბილისში და გადამაგზავნეს უკანვე როსტოვში, სადაც სამი თვე ვიჯექი გაშვებამდე — ყალბი პასპორტისათვის. მე ისევ დავბრუნდი 1913 წელში და ვმუშაობდი პარტიაში, როგორც საოლქო კომიტეტის მოსიარულე ორგანიზატორ-აგიტატორი. უმთავრესი ჩემი მუშაობა ამ წელში იყო ჭიათურის მუშათა საარაკო გაფიცვა.

1913 წელში ჭიათურის მრეწველობა ყვაოდა მარგანეცის ბაზარზე დიდი მოთხოვნილების წყალობით. მისი ფასი სულ უფრო და უფრო მაღლა იწევდა, ხოლო მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე არავინ ფიქრობდა. ამაზე იფიქრეს თითონ მუშებმა. პარტიულმა

კომიტეტებმა მიმართა დახმარებისათვის ქუთაისს, სადაც ამ დროს არსებობდა რედაქციაც და საოლქო კომიტეტიც ხუნხუზას მეთაურობით (შემოდგომაზე დაბრუნდა პეტრეც). მე ამ დროს მურღულში* ვიყავი გაგზავნილი, საიდანაც საჩქაროთ გამომიწვია ხუნხუზამ. დაუყოვნებლივ წავედი ჭიათურაში (გრიგოლ ფხალაძე ჩამოვიდა ჩემ ნასაყვანათ) და შეუდექით მზადებას. ამ დროს გაფიცვა ხუმრობა საქმე არ იყო. რეაქცია თითქოს საუკუნოთ იყო გამაგრებული. გაფიცვას ვინ მოითმენდა. რამდენიმე ადგილას მოხდა (თბილისის ტრამვაიში, ფოთის მტვირთავებში და სხვაგან), მაგრამ წამსვე ჩააქვრეს სავსებით ველური და უხეში ზომებით. ჭიათურას ეძლეოდა დიდი მნიშვნელობა. დიდ სიფთხილეს ვიჩენდით და საფუძვლიანათ ვაწყობდით.

ჩავატარეთ ყველა ქარხნებში და მაღაროებში მოთხოვნილების დამუშავება და ადგილობრივ კომისიების არჩევა, რომელთა თავმჯდომარეები შედიოდნენ გაფიცვის კომიტეტში. შედიოდნენ: ბ. კაპანაძე, ვ. ბურჯანაძე, კოლია კვერნაძე, ნოე ნუცუბიძე, კ. გველესიანი, თომა ჯღამაძე, თ. ჭოხონელიძე, თ. ენუქიძე, ჩუბინიძე და სხვები (ბევრი მაღაროელების გვარები არ მახსოვს). გაფიცვა ერთობ ერთსულოვანი აღმოჩდა. მით უფრო გაცეცხლდა მთავრობა. მოინდომეს მათრახებით მუშების მოჭკვიანება, მაგრამ ჩვენ მივმართეთ დუმის ფრაქციის თავმჯდომარეს კარლო ჩხეიძეს დეპეშით, რომელმაც მინისტრისგან მოითხოვა გამოძიება. ამან შეაშინა პოლიცია და უკლეს რეპრესიებს. მოინდომეს შტრეიკბრეხერებით თუნდაც მარაგის ტვირთვა, მაგრამ ასეთი ვერსად იშოვეს.

ბათომიდან ჩამოიყვანეს მოტყუებით 50 კაცი, მაგრამ გაფიცულებმა დაითანხმეს ისინი უკანვე წასულიყვენ (ხარჯები თითონ იკისრეს**). ამავე დროს ფართოდ ვიყენებდით გექტორგაფიულ ფურცლებს და გაზეთის ფურცლებსაც, როგორც ადგილობრივს – ქართულს, აგრეთვე პეტროგრადულ „ლუჩ"-საც საზოგადოებრივ აზრის ჩვენსკენ გადმოსაბირებლათ. მრეწველები მაინც ჯიუტობდენ

---

* ადგილი ჭოროხის აუზში (რედ.).

** მენშევიკ-ლიკვიდატორების ყოველდღიური გაზეთი. გამოდიოდა 1912 ნლის სექტემბრიდან 1913 ნლის ივლისამდე. ფინანსდებოდა ძირითადად ლიბერალური ბურჟუაზიის მიერ. მასში თანამშრომლობდნენ პ. აქსელროდი, თ. დანი, ნ. ჟორდანია, ლ. მარტოვი და სხვები (რედ.).

და გაფიცვამ რვა კვირას გასტანა. ბოლოს ვეღარ გაუძლეს აუარებელ ზარალს (მარტო უკან გაბრუნებულ გემების ჯარიმათ გადახდათ 120.000 მანეთამდე) და გატყდენ. ყველაზე მეტს ჯიუტობდა გელზეკეხერის* აქც. საზოგადოება პერსენაკის მეთაურობით, მაგრამ ბოლოს ისიც დათანხმდა. დაკმაყოფილებული იქნა ყველა მოთხოვნილებები, აღდგენილ იქნა 8 საათის სამუშაო დღეც (რაც 1908-9 წ.წ. სამრეწველო კრიზისის დროს იქნა დარღვეული და როცა 1910 წ. წარმოებამ ისევ დაიწყო აღორძინება, სამუშაო დროთ უკვე 9 საათი იყო დამკვიდრებული).

ეკონომიურათ ბრწყინვალეთ გათავებულ ჭიათურის გაფიცვას ქონდა აგრეთვე დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. ამ ბრძოლამ რეაქციის მეშვიდე ნელს ლეგალიზაცია უქნა ისევ გაფიცვას. ამის შემდეგ კავკასიის მთავრობას ეკონომიური ბრძოლა-გაფიცვა უკვე აღარ ეჩვენებოდა ველურ მოვლენათ და ველურათ აღარ ფიქრობდა მის ჩახშობას. ამიტომაც იყო, რომ ამ გაფიცვამ ასე დიდი გამოხმაურება გამოიწვია: არ დარჩენილა არც ერთი ქალაქი და არც ერთი დარგი, სადაც გაფიცვა არ მომხდარიყოს.

ბოლოს ამოძრავდა ბაქოს პროლეტარიატიც, მაგრამ ამ მრავალრიცხოვანმა, მრავალ-ეროვნულმა და მრავალ-კულტურიანმა პროლეტარიატმა ვერ შესძლო გაფიცვის მტკიცე ორგანიზაციის მოწყობა და დამარცხდა. დამარცხდა მაგრამ ბრძოლაზე უარს არ ამბობდა, მეორე გაზაფხულისთვის იმუქრებოდა. ამის გამო იქაურმა ჩვენმა ორგანიზაციამ საოლქო კომიტეტს სთხოვა გამოცდილი ძალების დახმარება. საოლქო კომიტეტმა ხუნხუზა და მე გაგვაგზავნა ბაქოში სამუშაოთ.

ბაქოში ჩასვლისთანავე ხუნხუზამ გადაწყვიტა ჯერ პარტიული ორგანიზაციის განახლება-გაძლიერება. ამავე დროს აღვადგინეთ პატარა სტამბა. შეუდექით პროფ. კავშირებში მუშაობის გაცხოველებას. კავშირები იმ დროს სულს ღაფავდა. მხოლოდ რამდენიმე ასეული ნევრიღა იყო საწევრო ფულის გადამხდელი. ხუნზუხას იდეალი იყო პირველი მაისის ჩატარება, რაც რეპეტიცია იქნება და მუშების სულის მდგომარეობას აწევსო. წინასწარ გავავრცელეთ ფურცლები და მაისობა მართლადაც მშვენივრათ ჩატარდა. ამის შემდეგ შეუდე-

* უნდა იყოს „გულზენკირხენი" (რედ.).

ქით გაფიცვის პრაქტიკულათ მომზადებას. ჩვენი აზრი იყო გაფიცვა არ გამოგვეცხადებია, სანამ კარგათ ორგანიზაციულათ არ მომწიფდებოდა. ჩვენი იდეალი იყო გაფიცვის კომიტეტი ნარმოშობილიყო ძირიდან, ავტორიტეტული. ერთხანს საქმე კარგათ მიდიოდა მაგრამ შემდეგ მეუმრავლესენი ჩამოგვერიენ, რომლებიც ჩქარობდენ. მთავარ რაიონში, ბალახანაში მათ მეტი გავლენა აღმოაჩდათ და ერთ მშვენიერ დღეს ფაქტის წინაშე დაგვაყენეს. იქ გაფიცვა გამოაცხადეს. ჩვენ იძულებული გავხდით ყველგან დაგვეწყო. შეერთდა კომიტეტები და დაიწყო ბრძოლა. გაფიცვა თავიდანვე არ იყო სავსებით ერთსულოვანი, მაგრამ რამდენიმე დღეში სრულიათ ჩაქრა კომლი მაზუთის სამეფოში.

ბაქოს გაფიცვას ყოველთვის საიმპერიო მნიშვნელობა ქონდა და ახლაც პეტერბურგმა მას დიდი ყურადღება მიაქცია. და როცა იქიდან დეპეშით ვერაფერი გააწყვეს, გრადონაჩალნიკ მარტინოვის უნარზე ნაკლები იმედები დაურჩათ და იქიდან გამოგზავნეს შინაგან მინისტრის თანაშემწე გენერალი... (გვარი აღარ მახსოვს). გამოაცხადეს სამხედრო ნესები და დაიწყეს რეპრესიები.

ადგილობრივი გაზეთი, რომელიც გაფიცვის წინ გამოვეცით ხუნხუზას ხელმძღვანელობით, დაგვიხურეს და სამაგიეროს გამოშვება მოგვისპეს (მარტინოვმა ნებართვის მიცემის დროს ფაქტიურ რედაქტორს იქვე ჩამოართვა ხელწერილი, რომ გაზეთი სამხედრო ნესების მოხსნამდე არ გამოეცა). სამაგიეროთ ფართოდ ვიყენებდით „ლუჩ"-ს, მეუმრავლესენი „პრავდა"-ს*. ამავე დროს ვუშვებდით ფურცლებს (ჩვენ მოვანყვეთ საბეჭდავი დაზგა, ხოლო ანყობა ხდებოდა გაზ. „ბაკუ"-ს ასოთ-ამწყობ მანქანაზე, სადაც ამხ. სამ. დობორჯგინიძე მუშაობდა). გაფიცვა ორ თვემდე გაგრძელდა და მიიპყრო მთელი რუსეთის მუშების ყურადღება. პეტროგრადის მუშებმა გამართეს საპროტესტო მიტინგი ბაქოს რეპრესიების გამო. გაფიცვის გამარჯვება საეჭვო შეიქნა, რადგან ბალახანაში ყველაზე ადრე გამოსულ ფირმებიდან ზოგმა დაიწყო მუშაობა. სნორეთ ამ დროს მოგვისნრო ომმა და გაფიცვა მოიხსნა.

---

* იგულისხმება ბოლშევიკური გაზეთი (რედ.).

V

1914 წლის ომი. ნოვოჩერკასკში გადასახლება. უკან გამოქცევა. ციმბირში გადასახლება.

ომის გამოცხადების დღესვე ჩვენმა, მეუმცირესეთა კომიტეტმა გამოუშვა ფურცელი – ომი ომს (ხუნხუზას დაწერილი), რაც ბომბივით გავარდა შოვინისტურათ განწყობილ ქალაქში. ამავე დროს რაიონებში მოხდა შეტაკებები სამობილიზაციაო პუნქტებზე, ბალახანაში ჩაქოლეს პოლიციეიმესტერი (უმთავრესათ ქალებმა), ხოლო შავქალაქში ძალზე მობრეგვეს ბოქაული. საერთოთ მობილიზაცია ჩაატარეს და მუშაობაც აღადგინეს. ამის შემდეგ ხუნხუზა თბილისში უნდა წასულიყო, ხოლო მე ისევ დავრჩი ბაქოში.

ჩქარა ხუნხუზასგან მივიღე ფოსტა. მომხდარიყო საოლქო კომიტეტის სხდომა და გამოეტანათ რეზოლიუცია ომის შესახებ, სადაც მთელი სამოქმედო პროგრამა იყო მოცემული. შეედგინათ მონოდებაც. ხუნხუზამ ორივეს რუსული თარგმანი გადმომიგზავნა და მითვლიდა ადგილობრივ დაგვებეჭდა. ასეც მოვიქეცით. დაბეჭდა და გავრცელება მოვასწარით, რომ ყველა სტამბის გარშემო მომუშავენი და ზოგი სხვა აქტივისტებიც დაგვატყვევეს. თითონ სტამბა კარგათ იყო მიმალული და ვერ ნახეს, ხოლო იქ იმ ოთახში მდგომ სამ მუშიდან (აქვს. ჩხაიძე, ჟღენტი და მესამეც გურული, გვარი არ მახსოვს) ერთს ჯიბაში ჩარჩენოდა ორი ასო (უკანასკნელი ფურცლის ანყობა სამსონასთან არ მოხერხდა და ჩვეულებრივი შრიფტით ავანყეთ). ხოლო ოთახში დაურჩათ 60 ცალი ფურცელი. ამის გამო ისინი გაასამართლეს, როგორც სტამბაში მომუშავენი და კატორღაში გაგზავნეს, ხოლო ჩემი მათზე მიკერება ვერ მოახერხეს (მომეხმარა ჩვენი გაზეთისა და „ლუჩ"-ის კორესპოდენტობის მონმობები, ცნობებისათვის დავდიოდი მათთანაც და ყველა სარენაოებში-მეთქი). ბოლოს პასპორტისთვის დამაჯინეს სამი თვე და მერე ისევ ადმინისტრატიულათ გამაგზავნეს ნოვოჩერკასკში (ჩემთან ერთად გადაასახლეს რამდენიმე რუსი ამხანაგი და გ. ნონიაშვილი), სადაც ორი თვე დავრჩი და ისევ დავბრუნდი თბილისში.

მთელი ომის დროის განმავლობაში მე ისევ მოსიარულე ორგანიზატორ-აგიტატორათ დავდიოდი საოლქო კომიტეტის დავალებით მთელ საქართველოში. უფრო ხშირათ თბილისში ვიყავი. 1916 წ.

მთავრობამ იქაც მოინდომა მუშათა სამრენველო კომიტეტების შედგენა. ჩვენ ჩავერიეთ ამ საქმეში და გამოვიყენეთ ჩვენი მიზნებისათვის. ამ დროს იყო დაბრუნებული ა. დგებუაძე, აქვე მუშაობდა ანანია სალუქვაძეც. და ჩვენ სამივე ჩავებით ამ საქმეში ხუნხუზას ხელმძღვანელობით.

ბოლოს კრება იყო რკინის გზის სახელოსნოში, სადაც ხუნხუზას დაწერილი დეკლარაცია, ჩემი გადაწერილი, წაკითხვის შემდეგ მუშა საშა რიკაძემ გადასცა კრების პრეზიდიუმს. კრების ხასიათმა მთავრობა აიძულა ის დაეხურა, ხოლო პრეზიდიუმიდან წაიღეს ყველა საბუთები. რიკაძე იმ ღამეს გაჩხრიკეს და დაატყვევეს, ხოლო მე და ანანია, მასთან ამ საქმეზე მოსალაპარაკებლად მისულნი, ბეწვზე გადავრჩით დაჭერას (როცა კარი შეეაღე ჟანდარმი ზურგით კარისკენ იდგა, საჩქაროთ მივხურე და მივაბრუნე რა ანანია, მოვქუსლეთ, ხოლო საშას ჟანდარმისთვის ეთქვა დიასახლისი იყოვო). ამის გამო მე თბილისიდან წავედი ქუთაისისკენ. შემოდგომაზე დამატყვევეს ჭიათურის მატარებელში, გადამგზავნეს თბილისში და რამდენიმე თვის შემდეგ გამაგზავნეს ვერხალენსკში (გადამასახლეს როგორც საოლქო კომიტეტის წევრი). კიდევ კარგი, რომ ამხანაგებმა მომიხერხეს ჩემი ხარჯით წასვლა, რისთვისაც ჭიათურის მუშებმა გრიგოლის ხელით 500 მან. გამომიგზავნეს. ხუნხუზა ამ დროს უკვე ირკუტსკში იყო (ის ზაფხულშივე დაიჭირეს). გზიდან მას დეპეშა გაუგზავნე და სადგურზე დამიხვდა.

დეკემბერის ბოლო რიცხვები იყო და ირკუტსკში პირველი დიდი ყინვა – 48° იდგა. მე გვარიანათ თბილა მეცვა, ხოლო ჩემმა მხლებელმა დარაჯმა-ჯარისკაცმა ვერ გაუძლო შინელსა და ცივ ჩექმებს და შექნა კრუსუნი. ის, ჩემთან მომავალ პოლონელთან ერთად, სადგურის ახლო სასტუმროში დავტოვეთ დილამდე, მე კი ხუნხუზამ ბენია ჩხიკვიშვილთან წამიყვანა. ოთხი დღის შემდეგ ისევ ჩემი ხარჯით იქიდან ვერხალენსკამდე ერთი გოროდოვოი გამატანეს. იმ სოფელში, სადაც მე დამასახლეს, 60-მდე სოც.-დემ. მუშა იყო უკვე, უმთავრესათ მოსკოვ-პეტროგრადის მუშები. იყო ერთი ქართველიც, ამბროსი ებანოიძე. ამბროსი ომის დროს ბაქოში მუშაობდა და იქ პროფ. კავშირის გაზეთის ოფიც. რედაქტორი იყო. მე მასთან დავსახლდი და, რადგან უკვე კარგათ მოქანცულობას ვგრძნობდი, გადავწყვიტე გაზაფხულამდე იქ დავრჩენილიყავი. ეს მაინც ასე არ მოხდა:

თებერვალში გადმომცეს სასამართლოდან (იქ ერთი პოლონელი, გადმოსახლებული, მუშაობდა გადამწერათ), რომ კავკასიიდან მოსულიყო რაღაც ახალი საქმე გამოსაძიებლათ და გათავებამდე უნდა დავეკავებიე. მე იმ ღამესვე წავედი მახლობელ დაბა კაჩუგაში მიხა ორმოცაძესთან და იქიდან ერთი ორი დღის შემდეგ მასთან ერთად ირკუტსკში, სადაც ბენიასას ვუცდიდი სამგზავრო ფულს, რომ რევოლიუციამ მომისწრო.

VI

სახალხო გვარდია.

რამ გამოიწვია ერის ცხოვრებაში ეს ძალა?

1917 წლის თებერვლის რევოლიუციის შემდეგ ელვის სისწრაფით შეიჭრა გახრწნა მეფისეულ ჯარის ნანილებში, არა მარტო რუსულ, არამედ, ჩვენდა სამწუხაროთ, ნაციონალურ პოლკებშიდაც. თებერვლის რევოლიუციამდე ჯარიდან გაქცეული „დეზერტირები“ ახლა უკანვე დაბრუნდენ და ყაზარმებში ტონის მიმცემი გახდენ. შეიქნა ქალაქების ცარცვა ჯერ ინდივიდუალური და მერე მასიურ-ორგანიზაციული. ნაცარცვს უსასყიდლოთ (რკინის გზაზე ფულს არ იხდიდენ) ეზიდებოდენ სოფლებში გასაყიდლათ, ხოლო იქ, სოფლებში გალეშილები თოფის უბრალოთ სროლით ერთობოდენ და არაერთ მშრომელს ასალმებდენ წუთისოფელს.

სოფლისა და ქალაქის მილიცია უმნეო იყო ამოდენა ხულიგანების წინააღმდეგ. ანარხია ძლიერდებოდა და აი, მუშათა დეპუტატების საბჭოებმა გაიხსენეს 1905 ნელი, ნითელი რაზმები, რომლებიც ერთად-ერთი ნესიერების ელემენტი იყო მაშინ საქართველოში. დაიწყო გონებით მომზადებულ მუშათა მობილიზაცია-შეიარაღება მილიციის დასახმარებლათ. ამან მიიღო სისტემატიური ხასიათი და საჭირო შეიქნა მუდმივი ორგანოები, შემდეგ მათი გაერთიანება. ასე წარმოიშვა სახალხო გვარდია.

ამ გვარდიამ ორჯერ იხსნა ქუთაისი სრული განადგურებისაგან, ერთჯერ ზაფხულში რუსული პოლკებისაგან, როცა მათ ქალაქი

სავსებით ხელში ჩაიგდეს, მთელი სიმდიდრე მაღაზიებიდან და ნანილობრივ კერძო სახლებიდანაც ყაზარმებში გადაზიდეს და იქ ნამდვილი რუსული „იარმაკა“ გამართეს; მეორეჯერ ზამთარში მეფისეულ ქართული პოლკებიდან, რომლებმაც ზუსტათ იგივე განიმეორეს. ასევე იყო გორში, თელავში, ხაშურში და სხვაგან.

თვით თბილისი ბენვზე გადაურჩა მათ ბედს. მას ნავთლუღის მხრიდან ულტიმატუმით მოადგა 15 ათასიანი რუსის ჯარი ყველა ჯურის იარაღით, ხოლო შიგნიდან თოფის გავარდნას და ყუმბარების გრიალს უცდიდა რამდენიმე ყაზარმა ქართველ-სომეხთა დეზერტირებით ავსილი. და თბილისი გადაურჩა განადგურებას იმიტომ, რომ ადგილობრივმა გვარდიამ მოასწრო პოზიციების დაჭერა, ხოლო პროვინციის ბატალიონები დაუყონებლივ იქვე გაჩდა მათ დასახმარებლათ. ძველი ქართული ჯარიდან მაშინ მხოლოდ ერთი მუჭა პატრიოტი ოფიცრებისა იცავდა თბილისს, უმთავრესათ არტილერისტები.

საქართველოს რკინის გზა? ეს ერის მთავარი არტერია ხომ მაშინ სავსებით დეზერტირების სახრამ საწარმოს წარმოადგენდა. ვინ ჩამოართვა ის დეზერტირებს და დაუბრუნა ერს? მახსენდება, როგორ ბომბივით გავარდა მაშინ პირველი ცდა ამ ნიადაგზე, როცა ზესტაფონის სახალხო გვარდიამ ალყა შემოარტყა შორაპნის სადგურში ჩამომდგარ მატარებელს, მოხსნა ორთქლმავალი და გამოაცხადა: სანამ მატარებელში იქნება თუნდაც ერთი უბილეთო ან თოფიანი კერძო პირი, მატარებელი ვერ დაიძრებაო. ამას მოყვა სადგური ხაშური, სამტრედია და სხვ.

სახალხო გვარდია იყო უმთავრესათ ოსმალები რომ შულავერიდან გააბრუნა; ასევე ახალციხე-არდანუჯიდან. სამწუხაროთ, ბათუმისათვის ბრძოლას მაშინ გვარდიის მთავარმა ძალებმა ვერ მოუსწრეს, ისინი სხვა ფრონტიდან ბრუნდებოდენ, მაგრამ ვინ შექმნა სასიქადულო ნატანები? ვინ გაანადგურა იქ ოსმალოს დივიზია და ამით ბათომ-ოზურგეთის ბედი ააცილა ქუთაისს და მთელ საქართველოს?

სახალხო გვარდიის უაღრეს დამსახურებათ მარტო 12 დეკემბერიც (არსენალის აღების დღე) საკმაოა. ოცდაექვსი მაისი შეიძლებოდა უთორმეტოთ? ან თვით ქართული რეგულიარული ნანილების შექმნა შეიძლებოდა ისე, სახალხო გვარდია რომ არ ყოფილიყო? რასაკვირველია, არა. ამას კარგათ გრძნობდენ მაშინ გულწრფელი პატრიოტი

ოფიცრები და არ ჩქარობდენ, არ გვეთანხმებოდენ გვარდიის გაუქმებაზე, როცა 1919 წელს ეს კითხვა დასვა გვარდიის ხელმძღვანებლებმა დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიაში. ისინი მაშინ დაჟინებით მოითხოვდენ გვარდიის ჯერ კიდევ არსებობას, სანამ ჯარი გახდებოდეს სრული გარანტი თავდაცვის საქმეშიო.

სახალხო გვარდიას რომ ბოლო დროს მართლაც მარცხი მოსვლოდა, მაინც მისი სამი წლის მრავალფეროვანი გმირული და უანგარო სამსახური ერისადმი არავის არ აძლევს ნებას ის უმადურათ მოიხსენიოს. მაგრამ გვარდია ისევე გმირულათ იდგა თავის სადარაჯოზე ერის სამსახურში ბოლო დროსაც, როგორც წინა სამ წელში.

გავიხსენოთ პირველი ღამე. ორი გადმოსავალი. ერთს იცავდა გვარდიის ნაწილები, მეორეს – ჯარისა. ორივეს ერთ დროს, შუაღამეზე თავს დაესხენ, გვარდიამ მოიგერია და გააბრუნა მომხდომი, დაამარცხა და განაიარაღა მათ დასახმარებლათ აჯანყებული ადგილობრივი რუსული მოსახლეობა და მზად იყო მოძმეთაც მიშველებოდა, თუ საჭირო იქნებოდა, მაგრამ... გაიგო მოულოდნელი ამბავი: ჯარის ნაწილები თურმე, მიუხედავათ იმისა, რომ წინა ღამეს გვარდიამ გააფრთხილა – საზღვარს იქით მოწინააღმდეგის საეჭვო მოძრაობა სწარმოებსო, – თავდამსხმელთ მძინარი შეხვედროდა, ტყვეთ ჩავარდნოდა. მეორე დღეს მიიღეს ბრძანება დაეხიათ თბილისის რაიონში, რომ მოწინააღმდეგემ გზა არ მოგიჭრასთო, ხოლო როცა მათ საზღაპრო დროში, თითქმის დღეღამეში განვლეს ას ვერსზე მეტი ტალახიანი და თოვლიანი გზა, თბილისის რაიონში წაანყდენ მოწინააღმდეგეს, რომელიც კოჯორის მთებზე ადიოდა. დაქანცულ-დაღლილი მუშები შეებენ მოწინააღმდეგეს, დაამარცხეს, დაახევიეს უკან და ასე თბილისისათვის ბრძოლა მთელი კვირით გადადვეს.

ამაზე ორი დღით უმალ სადახლო. ამ ბრძოლაში ჩვენებმა მხოლოდ ერთ ფრთაზე, დასავლეთით, გადააყირავეს, მთას იქით გადახვეწეს მომხდური და ფეხდაფეხ მისდევდენ, რომ მოუვიდათ ბრძანება უკანვე წამოდით, ვინაიდგან მთავარ ხაზზე მოწინააღმდეგის მსვლელობა ვერ შევაჩერეთო. მერე ვინ იყვენ ეს გმირები? იმავე გვარდიის ნაწილები, ზესტაფონ-ჭიათურის და გარე-კახეთის ბათალიონები.

სოღანლუღი? აქ ხომ სადარაჯო ათასეულთან ერთად ქართლელთა ორმა ბათალიონმა მთელი ღამე გაუძლო მომხთურ დივიზიას,

სანამ გამთენიას გვარდიის ხელმძღვანელები 50 გვარდიელით პირადათ შეიჭრენ ჯავშნოსანით მოწინააღმდეგის ალყაში, გაანადგურეს დივიზია, ორი ათასამდე ტყვეთ ჩაიგდეს და ამით აიძულეს ოთხიოდე ვერსით მდგარი მოწინააღმდეგის მეორე სარეზერვო დივიზია თითონვე აშლილიყო და გაბრუნებულიყო.

კოჯორი? განა ახალგაზრდა გმირებს სამხედრო შკოლიდან სავსებით არ ამოსწყვეტდა ათჯერ და მეტჯერ უმეტესი მოწინააღმდეგე და მათ გვამებზე უეცრათ არ შემოვიდოდა ქალაქში, რომ მათ უმალვე გვერდში არ ამოდგომოდა და მათსავით თავდავიწყებით არ შებმოდა მომხდურთ გვარდიის ნაწილები? ესენი იყვენ იგივე თბილისისა და ზესტაფონ-ჭიათურის მუშები, რომლებიც წინა ბრძოლებიდან ფიზიკურათ ღონე მიხდილი ყაზარმებში იყვენ დასასვენებლათ, მაგრამ მოსწავლეთა გასაჭირი რომ გაიგონეს, გრიგალივით გადაეშვენ მთაწმინდას და ძმებს გვერდში ამოუდგენ. იმავე ხაზზე მეორე ადგილას ბათომის მუშებმა დამარხეს საუკეთესო მოწინავე ძმები და თავის საყვარელი მეთაური.

საქართველოს შეიარაღებული ძალები მაინც დამარცხდენ, ამის მთავარი მიზეზი უთანასწორო ბრძოლა იყო...

VII

ბიქტორ კაპანაძე.

ბიქტორ კაპანაძე მე გავიცანი 1906 წელს, ჯერ კიდევ ერთობ ახალგაზდა (პარტიაში ის 1905 წ. მოსულა). ჩემთვის და სხვა ამხანაგებისთვის ის ცნობილი შეიქნა ერთი საარაკო ცნობით: ჩვენი გაზეთის გამავრცელებელმა გვიამბო, რომ ერთი ახალგაზდა ვაგონის მტვირთავი მუშა ყოველ დღე ყიდულობს გაზეთს, თუმცა თითონ კითხვა არ იცისო. ის წერა-კითხვის მცოდნე მუშას მიუტანს გაზეთს და არ მოეშვება სანამ ბოლომდე არ წააკითხვებს ხმამაღლა, ხოლო თითონ უსმენსო. მისმა გატაცებამ სხვა წერა-კითხვის არ მცოდნე მუშებიც ჩაითრია და ახლა მტვირთავების ყაზარმაში მუშაობის შემდეგ ყოველ დღე ხმამაღლა კითხვა არისო. ჩვენ მოვაყვანიეთ კო-

მიტეტში ბიქტორი, დავიახლოვეთ და ვაძლევდით მინდობილებას (ფურცლების გავრცელება, საერთოდ ლიტერატურის გადატან-გადმოტანა და სხვ.). ამავე დროს ის შევიყვანეთ საღამოს კურსებზე, რაც იმ დროს მონყობილი გვქონდა სამოქალაქო სასწავლებელში ამავე მასწავლებლების (უმრავლესობა ჩვენი პარტიის წევრები იყვენ) საშუალებით და სადაც მუშები ღებულობდენ ელემენტარულ ცოდნას წერა-კითხვის შესწავლასთან ერთად. ის გავაცანით და ჩავაბარეთ იქ ალექსანდრე მითაიშვილს და ივანე გომელაურს, რომელთა შემწეობით მან ჩქარა გაიარა ანბანი და კითხვა დაინყო.

1908 ნელში ქ. ბაქოდან ქუთაისში მგზავრობა მომიხდა ერთი თვით, სადაც ჭიათურის ორგანიზაციიდან იქ ჩამოვიდა გრ. ფხალაძე წინადადებით – წავყოლოდი ჭიათურაში ცოტა ხნით. გზაში სულ ჭიათურის ამბებზე ვლაპარაკობდით და მე უცბათ შევეკითხე: კაცო, ვინ არის შენი კოლეგა, ჩვენ გაზეთში რომ კორესპოდენციებს ნერს ჭიათურიდან ბუჯის პირელის ფსევდონიმით-მეთქი. მან მიპასუხა ბიქტორ კაპანაძეო. ამ დროიდან ბიქტორი იყო აქტიური მებრძოლი, მუდამ მუშათა წინა რიგებში მდგომი. ის თითქმის უცვლელი წევრი იყო ჭიათურის კომიტეტის. ის იყო გატაცებული ორგანიზატორი მუშათა ყოველი გამოსვლების, მაგალითად, პირველ მაისის დემონსტრაციების და სხვა. მაგრამ მისი ნამდვილი სახე, როგორც თავდადებული მუშა რევოლიუციონერის, როგორც უკვე მომზადებულ მუშა მარქსისტის, როგორც ტაქტიკოს-სტრატეგის (ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით) გამომჟღავნდა 1913 ნლის დიდი გაფიცვის დროს.

1913 ნლის გაფიცვის დროს სახელმძღვანელოთ შეიქმნა გაფიცვის კომიტეტი ყველა დარგის და მაღაროების ნარმომადგენელთაგან. ბიქტორი გაფიცვის კომიტეტში შემოდიოდა მტვირთველებიდან. ის იყო წევრი და თავმჯდომარის მოადგილე, მაგრამ ჩქარა ის გახდა ფაქტიური თავმჯდომარე და ამავე დროს ნამდვილი სარდალი ქუჩებში, სადაც გაფიცვის განმავლობაში თითქმის ყოველდღე იყო პატარა თუ დიდი შეტაკებები პოლიციასთან და მრენველთა შეიარაღებულ სარეწაოების მცველებთან. მან მოაწყო ათამდე ჯგუფი ახალგაზრდა მუშებიდან პიკეტებათ, რომლებსაც საჭიროების მიხედვით დააყენებდა ამა თუ იმ ადგილზე, ხოლო საკავშირო რაზმი ცალკე ყავდა, რომელთა საშუალებით მუდამ იცოდა, რა ხდებოდა და უცბათ გაჩდებოდა საჭიროების ადგილზე. თუ სიტყვები

ველარ გასჭრიდა, ანთებული ბიქტორი ისე გადაუტრიალებდა თვალებს შტრეიკბრეხერებს, ისეთი მუქარით მიმართავდა მათ, რომ ძალაუნებურათ ნებდებოდენ.

ყველაზე უფრო დიდ წინააღმდეგობას ყოველ მხრივ ერთი გერმანული ფირმა, გილზენკეხერისა*, მოქალაქე პერსენაკის ხელმძღვანელობით გვინევდა სისტემატიურათ. პერსენაკმა იშოვა ოცამდე ბერძენი (თითონაც ბერძენი იყო) მშენებლები და დააყენა ახალი ქარხნის სამუშაოზე (გაფიცული იყვენ მშენებლი მუშებიც). პიკეტმა ვერ შეუშალა ხელი შტრეიკბრეხერებს. უცბად იქ გაჩდა ბიქტორი. თავის აღტაცებულ მჭერმეტყველებით მან ჩქარა დაიმორჩილა შტრეიკბრეხერების სმენა და ბიქტორმაც თავის სიტყვები ასე დაათავა: თქვენ სიცოცხლეში ვერ მოირეცხავთ მუშათა საქმის მოღალატის ლაქას; თქვენ ღალატობთ არა მარტო ჭიათურის მუშებს, არამედ მთელი ქვეყნის მუშათა კლასს; ხოლო თქვენ სახელთ და თქვენ საქმეს ჩვენ ჩვენი ინტერნაციონალის საშუალებით გავაგებიებთ მთელ ქვეყანასო.

კაცო, კარგი, მაგრამ რა ვქნათ, პურის ფული არა გვაქვს, ხოლო „ხაზეინი" ისე „კრედიტს" მოგვისპობს ფურნეშიო, უთხრეს ბოლოს ბერძნებმა. წამოდით ჩემთანო, უთხრა ბიქტორმა, მიიყვანა ერთი ბერძნის ფურნეში და უთხრა პატრონს: ახარჯე ამათ პური და ჩვენ მოგცემთო. მეფურნე შეყოყმანდა და ბიქტორმა შესძახა: სოც.-დემ. პარტიის სახელით გეუბნები, რომ მათს ნახარჯს შენ მიიღებ თავის დროზე, გინდა ნაღდით, გინდა ფქვილითო. კომიტეტს ფქვილი ვინ მისცაო, ეკითხება გაკვირვებული მეფურნე და ისმენს: მთელი გემი მოდის ევროპის მუშების დახმარება, ცოტა ხნის შემდეგ შემოვა ფოთშიო. ეს ასე მაგრათ ნათქვამი განცხადება გაფიცვის გათავებამდე იყო ლეგენდათ, რასაც ბიქტორი თავის ორ აზროვანი ღიმილიანი უარყოფით უფრო ამაგრებდა და ბოლოს მრენველებმაც დაიჯერეს.

ამის შემდეგ პერსენაკი შტრეიკბრეხერებს შეიარაღებულ მცველებს უყენებდა, მაგრამ ბიქტორის გვარდია მაინც ახერხებდა მათთან დალაპარაკებას. ზედარგნის** მაღაროსთან მცველებმა სცადეს პიკეტელების შეპყრობა, მაგრამ ხელიდან გაუსხლტენ და ახლო ყანაში მომუშავე გლეხების საშუალებით მიიმალენ, ხოლო ბიქ-

---

* გელზენკირხენი (რედ.).

** ზედა რგანის (რედ.).

ტორმა მეორე დღეს იმავე გლეხების საშუალებით მოხსნა შტრეიკ-ბრეხერები. ამავე დროს ერთი ნაცნობი ოსის თანხლებით მივიდა მცველებთან (ოსები იყვენ) და დააშინა, თუ გაბედავენ პიკეტების ხელის ხლებას, ის მათ საქმეს ტერორისტთა ორგანიზაციას გადასცემდა გასარჩევათ. ყველაზე მეტი ტაქტი და გმირობა კი ბიქტორმა გამოიჩინა გაფიცვის გათავების დროს, იმავე პერსენაკის ბაქანზე.

გაფიცვის მერვე კვირა თავდებოდა. ჩვენ მიერ გადამუშავებულ კოლექტიურ ხელშეკრულებას სათითაოდ ხელი მოანერა ყველა ფირმებმა გარდა პერსენაკისა და მუშაობაც მათთან თანდათანობით განახლდა. პერსენაკს ფოთში ჩამოუდგა მესამე გემი (ორი ადრე ცარიელი გაისტუმრა და რამდენიმე ათი ათასი მანეთი ჯარიმა გადაიხადა), ხოლო მეოთხე გზაში იყო. მან მოინდომა ვაგონების ტვირთვა განეახლებია და სადღაც იშონა შტრეიკბრეხერები. ჟანდარმებმა მოხსნეს პიკეტი და შტრეიკბრეხერები მიიყვანეს ბაქანზე, რომლებიც დასტოვეს შეიარაღებული მცველის (ოსის) მფარველობის ქვეშ. პიკეტი დაატყვევეს. საჩქაროთ შეიკრიბა გაფიცვის კომიტეტი, სადაც უმრავლესობა იმ აზრის იყო, რომ საჭიროა კომპრომისი პერსენაკთან, თორემ შეიძლება საქმე დაიღუპოსო (პერსენაკი თხოულობდა ნორმის შემოღებას ყველა დარგში). ეს ძნელი საქმე იყო, რადგან ხელმოწერილ მრეწველებთან სიტყვიერი პირობა გვქონდა, რომ თუ ვინმეს დაუწერდით უკეთეს პირობას, მაშინ მათი ხელწერილიც უნდა გაგვეუქმებია და ისეთივე პირობა უნდა დაგვეწერა მათთვისაც. ამ აზრს მედგრად შეებრძოლა ცეცხლივით ანთებული ბიქტორი. ბოლოს ის წამოხტა და კრებას შესძახა: შეწყვიტეთ კრება, მომიცადეთო, და გავიდა. ის ასე აღელვებული, უსიტყვოთ მივიდა ბაქანზე, სადაც სამი შტრეიკბრეხერი რკინის გზის ხაზს (ტუპიკს) სწმენდავდა ჩამოცვინულ მადნიდან, რომ დასარტვირთავათ ვაგონები ჩამოეყენებიათ. იქვე მადნის ზვავზე იჯდა მცველი. ბიქტორი მივიდა შტრეიკბრეხერებთან, სათითაოთ გამოართვა ნიჩბები, გაიდო მხარზე და წამოვიდა ასევე უსიტყვოთ. ეს ისე მოხდა, რომ შტრეიკბრეხერებიც სახტათ დარჩენ. ისინი ერთიმეორეს შესცქეროდენ, ხოლო როცა გამოერკვენ, ბიქტორი შორს იყო. ამ დროს გაუარათ ერთმა მუშამ, თითქოს სულ გარეშე კაცმა და უთხრათ: კაცო, სიცოცხლე რაზე მოგძულებიათ, 8 კვირა ხალხი მშიერია, თავი უკვე გადადებული აქვთ, ჩამოეხსენით ძმებო, თქვენი მშობლების ცოდვას რატომ ადებთ მათო, და გაიარა. შტრეიკ-

ბრეხერები წავიდენ და უარი უთხრეს პერსენაკს მუშაობაზე. იქაც თურმე ეს უკანასკნელი ცდა იყო და პერსენაკისგან კრების დათავებამდე მოგვივიდა კაცი – გამოგზავნეთ ხელშეკრულება ხელის მოსანერათო.

მე ველარ მოვითმინე, მივარდი და გადავეხვიე ბიქტორს. ის გაწითლდა, მორცხვობდა, მე კი არ ვეშვებოდი: მაცა, შენი დიდი ცხვირი გავკოცნო, მაგან შეაშინა მეთქი მცველიცა და შტრეიკბრეხერებიცა თქო.

ომის დროს ბიქტორი ჭიათურის წარმოების დაკეტვის გამო თბილისში გადავიდა, სადაც მუდმივი წევრი იყო ავლაბრის რაიონული კომიტეტისა, რევოლიუციის ხანაში კი ცეკას პროპაგანდისტ-აგიტატორი და ორგანიზატორი მაზრებში (თიანეთი, ახალციხე-ახალქალაქი და სხვ.).

VIII

აფრასიონ მერკვილაძე.

აფრასიონ მერკვილაძის პირადი ბიოგრაფიის აღდგენა ჩემთვის ძნელია ამ პირობებში. მახსოვს მხოლოდ, რომ ის იყო საშვალო შეძლების გლეხის შვილი და, რადგან პატარა აფრასიონი ძლიერ ნიჭიერი იყო, სოფლის სკოლიდან ქუთაისშიაც გაგზავნეს სასწავლებლათ. კარგათ არ მახსოვს სამოქალაქო სასწავლებელი გაათავა თუ სასულიერო, ვიცი მხოლოდ, რომ ოთხი კლასი გაათავა და სოფელს დაუბრუნდა. მოყვანილობით ის ვაჟკაცი შეხედულობის იყო და გამბედაობით კიდევ უფრო ვაჟკაცი. ის ახალგაზრდობიდანვე ვაჟკაცობაზე იდებდა ხელს, მაგრამ არა ტარიელ მკლავაძის, არამედ არსენა ოძელაშვილის მიმდევარი: ესარჩლებოდა დაჩაგრულთ და სდევნიდა დამჩაგვრელთ. ამ ნიადაგზე ხშირათ ჰქონია ჩხუბის შემთხვევები და ერთ ჩხუბის ნიადაგზე ქუთაისის სატუსაღოც გაუცვნია. ეს ამბავი მომხდარა ცხრაასიან წლების დასაწყისში. ქუთაისის ციხეში იმ დროს უკვე ბლომათ იყვენ პოლიტიკური ტუსაღები, რომელთა ნაცნობობაში აფრასიონი ზიარებულა მარქსის მოძღვრებას, რასაც ძალზე

გაუტაცნია და მშიერივით დაწაფებია მის შესწავლას. ციხიდან გამოსვლისათანავე მას შეუქმნია თავის სოფელში ახალგაზრდა გლეხების წრე და დაუნყია მათთვის იმის გადაცემა, რაც თითონ იცოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მუშათა მოძრაობის შესახებ.

აფრასიონს სტამბის დაარსებაც კი განუზრახავს სადღაც და ამ მიზნით გაუბამს კავშირი ქალაქათ მოღვაწე სოციალ-დემოკრატებთან. არ მახსოვს ქუთაისში, თუ თბილისში უკვე შეუძენია ნაწილები, მაგრამ მატარებელში დაუჭერიათ ეს ნაწილებიც და თითონაც. ეს ამბავი მომხდარა 1904 ნელში. ყოფილა გასამართლებაც. სასამართლოში აფრასიონის პასუხმა თურმე ძალზე აცინა დამსწრენიც და მსაჯულიც: „რაშია საქმე, რატომ მაკუთვნებთ მე მაგ რაღაც რკინეულობას, როცა სულ არ ვყოფილვარ იმ ვაგონში, სადაც ეგენი უნახავს უანდარმს? მე იმ ვაგონის წინ დერეფანში ვიყავი, ჩემ წინ ფოსტის ვაგონი იყო ფულიანი და რატომ უკანა ვაგონში ნახულ დაჟანგულ რკინებს მაკუთვნებთ და არა წინა ვაგონში ყოფილ ფულსაო"... აფრასიონი გაემართლებიათ.

1905 ნლის გაზაფხულზე აფრასიონი გვევლინება უკვე შეიარაღებული რაზმით. დადის სოფლიდან სოფელში ჩხარისა და ზესტაფონის რაიონებში, ეწევა პროპაგანდა-აგიტაციას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. რესპუბლიკის სასარგებლოდ, თავად-აზნაურობის წინააღმდეგ მათი მინების გლეხებზე გადასაცემლათ და სხვ.

ამ დროს საქართველოში რუსის მთავრობა ჯერ კიდევ არ იყო ფაქტიურათ გაუქმებული, მაგრამ უკვე მორიდებულათ ეჭირა თავი, ვითომც და ვერ ამჩნევდა სოფლად მოძრაობას და თავის ფუნქციების თანდათანობით დაკარგვას. აფრასიონის აშკარა შეიარაღებული სიარული კი მას აყენებდა ყალბ მდგომარეობაში. ადგილობრივი პოლიცია მოხარული იყო თვალები დაეხუჭა ყოველგვარ მოვლენის შესახებ, მაგრამ ჯაშუშები და თვით შეშინებული მემამულეები, როცა ადგილობრივიდან მოქმედებას ვერ ხედავდენ, მიმართავდენ უმაღლეს ხელისუფლებას, ხოლო იქიდან მაზრის უფროსს, მათი ენით რომა ვთქვათ, „ნაგანიაი" მოდიოდა. პოლიცია იძულებული იყო გასულიყო სოფლათ და, როცა ეს მისთვის საშიშო იყო, მიემართა ზევით დახმარებისათვის და მას უგზავნიდენ ჩვეულებრივ ყაზახ რუსებს. ამ ნიადაგზე თავიდანვე შეიქნა უთანხმოება აფრასიონსა და ზესტაფონის რაიონულ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას შორის, რომელ-

შიაც ტერიტორიალურათ შედიოდა ის სოფლები, სადაც აფრასიონი მოქმედებდა. რაიონი მოითხოვდა აფრასიონისაგან შეიარაღებულ რაზმის თანხლებით სიარულის უარყოფას და პარტიულ მუშაობის ფორმალურათ ნარმოებას ისე, როგორც ეს ყველა სხვა რაიონებში იყო. აფრასიონი კი თავისას არ იშლიდა. საქმე მივიდა ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტთან, რომელსაც ყველა რაიონები ვემორჩილებოდით. დაიბარებდენ იქ აფრასიონს, ჩავიდოდა, მოელაპარაკებოდენ, თითქოს დაითანხმებდენ, მაგრამ ადგილობრივ მდგომარეობა არ იცვლებოდა და რაიონი ისევ ქუთაისს შეჩიოდა.

კიდევ მეტი, აფრასიონი რაიონს სულ აღარ ეკარებოდა, სავსებით დამოუკიდებლათ მოქმედებდა. საგუბერნიო კომიტეტშიაც კითხვა ასე დააყენა – ცალკე რაიონი იყოს ჩემი სამოქმედო სოფლებიო და, როცა კომიტეტმა დაუმტკიცა ამის უვარგისობა, მაშინ ჭიათურის რაიონზე მაინც მიგვაკუთვნეთ, მათ დავემორჩილებითო. კომიტეტი ამაზე დათანხმდა და ორივე მხარემ პირადათ ნესტორ ჩხიკვაძეს მიანდვეს ამ კითხვის (ჭიათურასთან დაკავშირების) მოგვარება. ნესტორმაც თითქოს ეს საქმე მოაგვარა, მაგრამ ფაქტიურათ არაფერი გამოვიდა: ჩვენზე ის სოფლები უცხო იყო. დაბოლოს ის დათანხმდა ისევ ზესტაფონში დაბრუნებას, მაგრამ სინამდვილეში ეს ნომინალური იყო.

რაც დრო გადიოდა, აფრასიონის რაზმი სულ იზრდებოდა, დევნილი ახალგაზრდობა დაბა-ქალაქებიდანაც კი თავს მასთან აფარებდა და იარაღს ისხამდა. ეს მდგომარეობა იწვევდა მეტი თოფების და პატრონების საჭიროებას და აფრასიონი აქტივობას უმატებდა, რაც უკვე შეტაკებებს იწვევდა. პირველი მნიშვნელოვანი შეტაკება აფრასიონს თავის რაზმით მოუხდა ალექსანდრე ბაგრატიონის ქვრივის ამალასთან, აფრასიონი ჯერ კრებებზე ილაშქრებდა ამ სასახლისა და იქ თავმოყრილ შეიარაღებულ ხალხის წინააღმდეგ და ასე ტრიბუნიდან უთვლიდა მუქარას, თუ სოფელს არ მოსცილდებიანო. ამის გამო სასახლის ამალა გარეთ აღარ გამოდიოდა, თუ არ ჯგუფათ ყველა (10-12 კაცამდე).

ერთ დღეს, აგვისტოს ბოლო რიცხვებში, ეს ორი რაზმი უეცრათ შეხვდენ ერთმანეთს ბაგრატიონისავე სოფელში – ზოვრეთში. სასახლელების გამოჩენისათანავე აფრასიონის რაზმი საომრათ აენთო და თოფები მოიმარჯვა, მაგრამ გამოცდილი და თან ყოველთვის მზათ

მყოფნი სასახლელები უკან არ ჩამორჩენ და თოფებმა ორივე მხრით თითქმის ერთათ იჭექეს. შედეგათ განგმირული ძირს დაეცენ ორი რაზმელი, ხოლო სასახლელებმა ადგილმდებარეობით ისარგებლეს, გორაკის ამოფარებით სიმინდის ყანებს შეაფარეს თავი. აფრასიონის რაზმმა გლეხობას მოუწოდა და უნდოდა სასახლის სულ ნალეკვა, მაგრამ ზესტაფონიდან (და მგონი ქუთაისიდანაც) სასწრაფოთ ამოსულმა ამხანაგებმა, როგორც იყო დააწყნარეს.

რაზმელების დასაფლავებას ყველა რაიონებიდან ჩამოსულმა ამხანაგებმა აფრასიონზე გავლენა მოვახდინეთ და სიტყვა მივიღეთ ამიერიდან მორიდებოდა ასეთ ამბებს. თქვენ მართალი ხართ, არ უნდა დავხურდავდეთ, ძალები მთავარი ბრძოლისთვის უნდა დავზოგოთო, გვეუბნებოდა აფრასიონი. მართლაც ასეთი გამოსვლები იმ დღიდან აღარ ყოფილა; თავს ესხმოდა და ანიოკებდა მხოლოდ ე. წ. „დანოსჩიკებს" მაზრის აზნაურებიდან.

რაიონსა და აფრასიონს შორის უთანხმოება კი არ იკლებდა, უფრო და უფრო ღრმავდებოდა. რაიონი ახლა ბრალს დებდა, რომ მის გარშემო თავმოყრილთა შორის საეჭვო ელემენტებია, რომლებსაც ცარცვა-გლეჯასთან აქვთ კავშირიო. ჩვენი დაკვირვებით ეს მართალი იყო, მაგრამ აფრასიონი, თითონ გულწრფელი და უანგარო რევოლიუციონერი, ამაში ვერავინ ვერ დავაჯერეთ. სხვათა შორის საიდღანაც გაჩნდა მასთან ერთი თბილისელი ყოფილი მუშა, მგონი გვანცელაძე. მაზედ დიდი ეჭვები იყო, აფრასიონს კი ის ყავდა მოლარეთ და მარჯვენა ხელათ. შემდეგში გამოირკვა, რომ ის ხუნხუზას (ნ. ხომერიკს) გაეპარა თბილისიდან, სადაც მას მან, როგორც პარტიის წევრს, საამხანაგო სასამართლო დაუნიშნა რკინისგზის ბილეთებით მოვაჭრე შაიკის ორგანიზაციისათვის. აქვე აღვნიშნავ, რომ ასეთი გარეწარი ელემენტები აფრასიონს კიდევ მეტი მიეტმასნენ რეაქციის დადგომის შემდეგ, როდესაც, როგორც ქვევით გავიგებთ, აფრასიონმა იარაღი არ აიხსნა და ისევ სოფლათ დარჩა. მაშინდელი ამბებიდან მახსენდება ერთი შემთხვევა: რაზმი ღამეს ათევს ერთ სოფელში და ჩამორიგდენ ჯგუფობით რამდენიმე გლეხისას. ათ საათზე აფრასიონის მასპინძელ გლეხთან მოვიდა ერთი შეძლებული გლეხი და აფრასიონი ვახშამზე მიიწვია. წაყვა. შუაღამისას იქ კარი დაარახუნეს. გასულმა დიასახლისმა სუფრაზე მჯდომთ შეატყობინა, რომ ორი შეიარაღებული კაცია, აფრასიონის სახელით მოითხოვენ ოცი თუ-

მანი გადავცეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მოკვლით იმუქრებიან – ასე დაგვაბარა აფრასიონმაო. აფრასიონი თითონ გავიდა მაუზერით ხელში და როცა რაზმელებმა ის ნახეს, გაიქცენ და მიიმალენ ბნელში. აფრასიონმა აუტეხა მათ სროლა. სროლის ხმას მოყვა უზარმაზარი სროლა სოფლის ბოლოდან. გამოირკვა, რომ პოლიციის აგენტებმა უთვალთვალეს რაზმს, ნახეს სად დაბინავდენ და აი ისინი ალყას არტყამდენ ამ სოფელს. რაზმი ხელათ აიბარგა და მეორე მხრიდან გავიდა სოფლიდან. აფრასიონმა ვერასოდეს ვერ გამოარკვია, რამდენათაც ვიცი, დამცემი რაზმელების ვინაობა, მაგრამ ამის შემდეგ ასე ყველას აღარ ენდობოდა.

დეკემბრის აჯანყების წინა დღეებში აფრასიონი გაიწვია თბილისში საოლქო კომიტეტმა (ის თავიდანვე მენშევიკებს აკუთვნებდა თავის თავს და კრებებზე კამათში ყოველთვის გადაჭრით გამოდიოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ). ეს განვევა შედეგი იყო ქუთაისის თხოვნით. ამხანაგებს გვინდოდა არ დაგვეკარგა ეს მართლაც მნიშვნელოვანი რევოლიუციონერი. მისი უბედურება მხოლოდ ის იყო, რომ მეტათ გაზვიადებული წარმოდგენა ქონდა თავის თავზე. რაიონში ყველაზე მაღლა ის იდგა, ამავე დროს, როცა ზესტაფონელი ამხანაგები წინადადებას აძლევდენ აქ ჩამოდი და რაიონულ კომიტეტის მუშაობაში მიიღე მონაწილეობაო, უარსყოფდა.

თბილისიდან ის დაბრუნდა, როცა მაზრის ყველა რაიონების შეიარაღებული ძალები ზესტაფონში იყვენ. აქვე მოიყარეს თავი მისმა რაზმელებმაც (20-25 კაცი). ამ დროს ზესტაფონში თითქმის ყოველ დღე იმართებოდა (ხშირად სტიქიურათ) კრებები და დემონსტრაციები. ერთი ასეთი დემონსტრაციის შემდეგ აფრასიონი გამოსულა ხალხის წინ დიდი სიტყვით, რაიონთან თავის უთანხმოების ისტორიით და მოუთხოვია მსჯავრი ამ უპარტიო მასიდან. ადგილობრივი ამხანაგები მოვარდენ ცენტრში (სადგურში) და გვთხოვდენ დაგვეწყნარებია ის. ნესტორ ჩხიკვაძე ამ დროს სადგურში არ იყო და კრებაზე მე და რაფიელ ჩიხლაძე წავედით, სადაც ხალხისა და აფრასიონის საყურადღებოთ ის აზრი გავატარეთ, რომ ეს კითხვა პარტიულ-ორგანიზაციული კითხვაა და პარტიულ ორგანიზაციას შეეხება, აქ კი ასეთი კითხვა არ შეიძლება გაირჩეს და ისიც ასეთ მომენტში-თქო. აფრასიონი მაინც თავისას არ იშლიდა, ხოლო რაიონის სახელით გამოვიდა ამხანაგი საყვარელიძე (დეპოს მუშა) და განაცხადა, რომ ისინი

ეთანხმებიან ჩვენ აზრს და აქ აფრასიონის სიტყვაზე პასუხს არ გასცემენ. როგორც იყო აფრასიონი წავიყვანეთ კომიტეტში, სადაც ნესტორის ნატაციებისა და რაფიელის აღელვებული სიტყვის შემდეგ შეგვითანხმდა, რომ ამ კითხვას აღარ წამოაყენებდა აჯანყების ასე თუ ისე გათავებამდე, არამედ თითონაც შეთანხმებულათ ჩადგებოდა მებრძოლ ლაშქარში თავის რაზმით. ეს დაპირება მან შეასრულა, თავის რაზმით ის ემორჩილებოდა საერთო სარდლობას, რომლის საბჭოში თითონაც შედიოდა. სამაგიეროთ უარი სთქვა სარდლობის განკარგულების ასრულებაზე აჯანყების დასასრულს, როცა რაზმებმა, თანახმათ საოლქო კომიტეტის დირექტივებისა, ბრძანება მიიღეს გასულიყვენ თავიანთ რაიონებში და იქ განიარაღებულიყვენ. მან არამც თუ არ განაიარაღა თავისი რაზმი, არამედ გაადიდა ის სხვა რაზმების ერთეულებიდან, რომლებიც ამავე ბრძანებას გაექცენ და თავი მასთან შეაფარეს. მან გამოაცხადა პარტიზანული ბრძოლა რეაქციასთან.

როდესაც ჩვენი პოსტების მოხსნის შემდეგ გენ. ალიხანოვის დამსჯელმა ჯარმა ცეცხლითა და მახვილით განვლო შორაპნის მაზრა, მან იქ ყველა რაიონებში პოლიციის დასახმარებლათ დასტოვა ყაზახ რუსების ასეულები და დაავალა „რევოლიუციის ნაშთების“ ლიკვიდაცია. ამ ნიადაგზე სოფლათ თავი ნამოყო გარეწარმა ელემენტებმა და აფრასიონმაც ამათ წინააღმდეგ გამოსვლებით დაიწყო თავის მოქმედება. ის დადიოდა სოფლიდან სოფლათ თავის რაზმით და დღისით აშკარა თავს ესხმოდა ყველას, ვის შესახებაც ცნობას მიიღებდა, რომ პოლიციაში დაიარება და ცნობებს აწვდის აჯანყებაში მონაწილეთა შესახებაო.

ასე მაგალითათ, იანვრის ბოლო რიცხვებში, სოფ. საზანოში თავს დაესხა აზნაურ მდივნების ოჯახს და უტეხს სროლას, რომლის დროს დასჭრის კონია და ალექსანდრე მდივნებს და მათ სტუმარ ქალს ლიდია ამირეჯიბს. იქვე მოკლულ იქმნა აგრეთვე სტუმარი ივანე მემანიშვილი. სოფ. არგვეთში თავს ესხმის ჭაჭიაშვილების ოჯახს და მოკლეს ტრიფონ და ნიკო ჭაჭიაშვილები; ცოტა ხნის შემდეგ სოფ. სანში (?) მოკლეს გ. ლოლაძე; სოფ. დილიკაურში დასჭრეს ძმები ვარდენ და იაგორა საყვარელიძეები და სხვადასხვა.

არცერთ ამ გამოსვლებს, რასაკვირველია, პოლიცია და ყაზახთა ოფიცრები უპასუხოთ არ ტოვებდა და დაინთო ჯოჯოხეთის ცეცხლი

ჩხარისა და ზესტაფონის რაიონებში. ისედაც გაწამებული ხალხი ახლა კიდევ მეტათ დაიტანჯა. ყველაზე მეტი საშინელება კი იმ ოჯახებს ადგებოდა, სადაც აფრასიონი დაისვენებდა, ან ისადილებდა. ასეთ ოჯახს ყაზახები სავსებით ანადგურებდენ: ვენახსაც კი აჩეხდენ ხოლმე; პირუტყვებს ჰკლავდენ, ფრინველებს ცხენებზე შემოიკრავდენ; ღვინოებს, რასაც ვერ დალევდენ, ჭურებს ქვებით და მინით ამოავსებდენ; მამაკაცებს, თუ ვერ გაასწრებდენ, სასიკვდილოთ სცემდენ, ხოლო დედაკაცებს აუპატიურებდენ (ერთ ასეთ ოჯახში, არ მახსოვს რომელ სოფელში, ორი დები ყველა ყაზახებს მორიგეობით გაეუპატიურებიათ. მათი წასვლის შემდეგ მეზობლებს ქალიშვილები უგრძნობლათ გდებულნი ენახათ, საჩქაროთ მოეწვიათ ექიმი და ბევრი ცდის შემდეგ დაებრუნებიათ მათთვის სიცოცხლე).

აფრასიონმა გადაწყვიტა შური ეძიებია შავრაზმელებზე ასეთ უმზგავსოების გამო. ამ მიზნით ის აშკარათ გამოჩნდებოდა ამა თუ იმ სოფელში და ზესტაფონისკენ მიმავალთ აბარებდა: თუ ბიჭია მობრძანდეს ბოქაული მახარაძე მისი ყაზახ-რუსებითო, ხოლო საღამოს წავიდოდა დ სადმე მოხერხებულ ადგილზე ჩაუსაფრდებოდა მოსავალ გზაზე. ბოქაული კი, მაზედ ეშმაკი, არასოდეს სწორი გზით არ მიდი-მოდიოდა და, მაშასადამე, ვერასოდეს ვერ ჩაიგდო ხელში ჩასაფრებულმა რაზმმა, პირდაპირ შეტაკებაზე კი ლაპარაკი ზედმეტი იყო, რადგან პატარა ძალებით ისინი არ დაიარებოდენ. სამაგიეროთ თითონ ბოქაულმა აიღო ინიციატივა პირდაპირ შეყრის. მარტის პირველ რიცხვებში ბოქაულმა დიდი ძალებით ალყა შემოარტყა აფრასიონის რაზმს სოფ. საზანოს ეკლესიის გალავანში, მაგრამ საშინელი სირცხვილი ჭამა. შედარებით მცირე რიცხოვანმა რაზმმა გმირულათ გაარღვია მათი ალყა და წავიდა. მოუკლეს მხოლოდ ორი რაზმელი (სარდნაძე* და ჭუმბურიძე), სამაგიეროთ თითონაც მოკლეს „ურიადნიკი" სტეფანოვი.

რასაკვირველია, ყველა ამ ამბებს უყურადღებოთ ვერ დატოვებდა პარტია. ის, თავის ქუთაისის კომიტეტის საშუალებით, თავიდანვე ცდილობდა აფრასიონი დაეჯერებია და დაეთანხმებია განიარაღებაზე. სამაგიეროთ პირდებოდა ყველას სხვა ქალაქებში გადაყვანა-დაბინავებას. დიდხანს ვერა გააწყორა მასთან, მაგრამ ბოლოს და ბო-

* ალბათ სარდანაძე (რედ.).

ლოს საზოგადოებრივმა აზრმა (ადგილობრივი სოფლის ორგანიზაციები) იქონია მაზედ გავლენა და აპრილში (1906 ნელს) გადასახლდა ბათომში.

ამ ხანებში მე და ნ. ჩხიკვაძე ბათომში ჩავედით პარტიულ საქმეებზე. იქ ჩვენ ვხვდებოდით აფრასიონს და მის ამხანაგებს. ზოგიერთები სამუშაოზე მოწყობილიყვენ, ხოლო აფრასიონი, კ. ლორთქიფანიძე და ორიოდე სხვები უსაქმოთ იყვენ. ისინი ჩვენ იქაურ ორგანიზაციას აწვენ ტვირთათ მატერიალურათ და დამალვის მხრითაც. ჩვენ ასეთი მდგომარეობა არანორმალურათ ვსცანით და მათაც გაუზიარეთ, დიდხანს ასე ცხოვრება არ შეიძლებათქო. ჩვენ ვურჩევდით მათაც ეშონათ რამე საქმე და ამნაირათ, რასაკვირველია, ისევე სხვის გვარზე ეცხოვრათ იქ ან სხვაგან, მაგალითათ თბილისში ან ბაქოში. მათ ეს აზრი მოიწონეს, მაგრამ არ აუსრულებიათ. ასრულება სცადა მარტო ლორთქიფანიძემ, რომელიც ამ მიზნით თბილისში გადავიდა, მაგრამ იქაც ერთხანს ისევე ორგანიზაციის ტვირთათ იყო, ხოლო ბოლოს საქმეზე მოწყობის მაგიერ ექსპროპრიატორულ ჯგუფში ამოყო თავი და, რასაკვირველია, პარტიას ჩამოშორდა (სხვათა შორის, საინტერესოა ამ კ. ლორთქიფანიძის ბიოგრაფია. ის ქვემო იმერელი თავადის ოჯახიდან იყო. ახალგაზრდობიდანვე ავანტიურისტი. თავის სოფელში თურმე აღარ ეცხოვრებოდა და ამიტომ თავი შეაფარა შორაპნის მაზრაში ბატონიშვილის სასახლეს. როგორც სასახლის შეიარაღებულ რაზმის ნევრი, ის მონაწილე იყო ზემო დასახელებულ აფრასიონის რაზმთან შეტაკებაში, რის შემდეგ ის დიდ მწუხარებას გამოსთქვამდა, თავს იმართლებდა – ფაქტიურათ არავითარი მონაწილეობა სროლაში არ მიმიღიაო და ითხოვდა შერიგებას. აჯანყების დროს ზესტაფონელ ამხანაგების წინადადებით ის შევარიგეთ აფრასიონს და მიღებულ იქნა წითელ რაზმში, ხოლო რაზმების დაშლის შემდეგ გაყვა აფრასიონს. 1910 ნელში ის ბაქოში დაატუსაღეს იმ ჯგუფში, რომელიც აწყობდა საფოსტო გემის გაცარცვას და შემდეგ შეუერთეს აფრასიონ მერკვილაძის რაზმელების პროცესს).

აფრასიონი კი ჩქარა ისევ დაბრუნდა სოფელში და განაახლა მოქმედება. ამას მით ასაბუთებდა, რომ ჩემი ნასვლის შემდეგ თავი აიშვეს ხალხის მჩაგვრელებმაო და თან სიტყვას იძლეოდა მორიდებულათ იმოქმედებდა. მართლაც, აშკარა შეიარაღებულ და დემონსტრატიულათ სიარულს თავი ანება, იარაღს ატარებდენ მხოლოდ

ისეთს, რის მალულათ ტარება შეიძლებოდა (მაუზერი, ბომბი) და ფარულათ გადადიოდენ სოფლიდან სოფელში, სადაც აფრასიონი ფარულათ შეკრებილ ახალგაზრდობაში პროპაგანდა-აგიტაციას ენეოდა ს.-დ. პროგრამის გარშემო და ასე მომავალი ბრძოლისა და გამარჯვების რნმენას ნერგავდა. მან მოინდომა ამ მიზნისათვის იქ, სოფელში, სტამბის დაარსებაც, რის შესახებ ერთი რაზმელის ხელით მომწერა ჭიათურაში 1906 წ. ზაფხულში, სადაც ამ დროს ჩვენ გაფიცვა გვქონდა. ამავე დროს მთხოვდა მეშუამდგომლა ორგანიზაციასთან ჯერჯერობით მანდ დამიბეჭდეთ ხოლმე ფურცლებიო და თან მიგზავნიდა ერთს ასეთს. იმ ფურცლის ნახვაზე მე მაშინ პირდაპირ გამეცინა: ეს ფურცელი კი არა, ბროშიურა იყო გლეხთა კითხვაზე, აწმყოსა და მომავალზე. ჩვენი სტამბა კი იტევდა საწერ თაბახის ერთ გვერდს და იყო ხელით საგორებელი „ბარაბანით". ამიტომ ნაშრომი უკანვე გაუგზავნე და ვურჩიე პატარა ფურცლების დანერა პერიოდულათ და ამა თუ იმ ახალი მოვლენის გარშემო. ვურჩიე აგრეთვე არსებული ლეგალური და არალეგალური პარტიული ლიტერატურით სარგებლობა და იქვე გაუგზავნე ზოგი რამ.

სამწუხაროთ ამის შემდეგ დიდხანს აღარ გაგრძელებულა მისი ასეთი ფარულ-პარტიული მუშაობა. მათ ვერ მოითმინეს და თავს ესხმოდნენ ღამით აქა თუ იქ მთავრობის ფარულ აგენტებს თავადაზნაურობის ნრიდან და შეიქნა ისევ ძველი მდგომარეობა. მართალია სოფლის გარეწრები დააშინეს, მაგრამ ისიც მართალია, რომ სოფელს ეს ძვირათ უჯდებოდა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ აფრასიონის ცნობები ყოველთვის სწორი არ იყო, ადგილი ქონდა კერძო ანგარიშებსაც მის მოამბეთა შორის და, მაშასადამე, ადგილი ქონდა უდანაშაულოთ დასჯილთაც. მოქნეული და გაზომილი ვის გაუგონიაო და ასევე ადგილი ქონდა ნამდვილ აგენტებზე თავდასხმის დროს სხვების დაზარალებასაც, მით უმეტეს, როცა იქ პირადათ აფრასიონი არ იყო. ასე მოხდა, მაგალითათ, მაზრის მარშლის ნესტორ ხიდირბეგიშვილის მოკვლა. აფრასიონის რამდენიმე რაზმელი ჩასაფრებია მის ძმას, ბატონიშვილის სასახლის რაზმის მეთაურს, რეაქციონერს და აგენტს, ის კი ამ დღეს მოდიოდა თავის ძმასთან ერთად. როცა რაზმელები წინ გადადგომიან, ნესტორი თურმე გაკვირდა მოულოდნელობისაგან და შესძახა რაზმელებს: „რაშია საქმე ახალგაზრდებო" და შეეცადა დალაპარაკებას. ამით ისარგებლა და-

სასჯელმა, მოატრიალა ცხენი და გაქუსლა უკანვე ზესტაფონისაკენ; ამაზე გაჯავრებულმა რაზმელებმა კი ტყვიები მოახალეს ნესტორს. ნეს. ხიდირბეგიშვილი ლიბერალი, პატრიოტი იყო, კარგი ადამიანი და დიდი თანამგრძნობი მეფის მთავრობის წინააღმდეგ მოძრაობის, რისთვისაც ყოველ მხრივ ხელს გვიწყობდა მაზრაში.

ამნაირ მდგომარეობაში გაატარა სოფლათ ზაფხული და შემოდგომა აფრასიონის რაზმმა. ამ ხნის განმავლობაში ბოქაული მახარაძე კვალდაკვალ სდევდა რაზმს. რამდენჯერმე შეტაკებაც მოუხდათ ერთმანეთთან, მაგრამ უშედეგოთ. უკანასკნელათ მახარაძე აფრასიონს თავს დაესხა სოფ. საქარაში. აფრასიონმა რაზმით მოასწრო უკანიდან გალალება, მაგრამ პოლიციელებმა ეს ვერ შენიშნეს და გლეხის სახლს სროლა აუტეხეს, სადაც ოჯახიდან რამდენიმე დასჭრეს (თუ არ ვცდები, ერთი ქალი და ერთი ბავშვი გარდაიცვალა). საერთოდ გლეხი გაანადგურეს. ამის შემდეგ აფრასიონი მოცილდა ზესტაფონის რაიონს და თავი ჭიათურას შეაფარა. იმ ხანებში მე თბილისში გადავსახლდი რამდენიმე თვით და იქ გავიგე ეს ამბავი და ისიც, რომ აფრასიონი გრ. ფხალაძესთან იმალებოდა. ვიცოდი რა, თუ როგორ ეხერხებოდათ აფრასიონს და მის ახლობელთ ფარულათ ყოფნა, მე მაშინვე გადავწყვიტე ავსულიყავი ჭიათურაში მასთან მოსალაპარაკებლათ და თბილისში წამოსაყვანათ, მაგრამ ამ დროს გრ. ფხალაძე თვით ჩამოვიდა თბილისში. გამოირკვა, რომ აფრასიონთან სიარული არ მოიშალეს მისიანებმა და ამიტომ მთელმა ქუჩამ იცოდა, რომ აფრასიონი მისას იყო. მაინც ისე იყო ჩემთან თითქმის ერთი თვე, რომ პოლიციის ყურამდე არ მისულა ეს ამბავი, ხოლო ახლა სხვა ბინაზეაო.

აღსანიშნავია აქ გრ. ფხალაძის ბინის თავისებურობა, რაც ხელს გვიწყობდა გვესარგებლა ამ ბინით უშიშრათ. ამ სახლში ცხოვრობდა აქციზი დ. წერეთელი. დამსახურებულ აქციზის მოხელეს დიდი ნდობით და პატივით უყურებდა პოლიცია და მისი აგენტები და ვერ წარმოედგინათ რაიმე საეჭვო იმ სახლში, სადაც ის ცხოვრობდა. ამ დროს ის იყო ყოვლად სანდობი ჩვენთვისაც. ამით აიხსნება, რომ აფრასიონიც უვნებლათ ცხოვრობდა იქ. მაინც, როცა ნამეტნავათ გაეხშირებიათ მასთან სიარული და ერთობ ბევრ ხალხს გაეგო, ის ამხანაგებს გადაეყვანათ სხვა ბინაზე, ხოლო მე მაინც მივწერე თბილისში წამოეყვანა გრიგოლს. გრიგოლის უკან დაბრუნებამდე ის სოფ.

სკინდორში, გრიგოლის გარე ბიძასთან, გლეხ ფხალაძესთან გადაეყვანათ ამხანაგებს და ჩემი წერილიც აქ მიეღოთ. ის დათანხმებულიყო, ცოტა ხნის შემდეგ ნავალო. გრიგოლს განდობოდა, რომ ეს „ცოტა ხანი" მას უნდოდა იმისთვის, რომ შეისრულოს თავის სურვილი, შური იძიოს მახარაძეზე.

აფრასიონი მართლაც შეუდგა საქმეს. ის თავს დაესხა მატარებელს, გააჩერა, დაათვალიერა და გაუშვა, ისე რომ ხალხის თვალნინ ის ნავიდა რაზმით განსაზღვრული გზით. ამით ის ფიქრობდა მახარაძე გამოეტყულებია მთაგორიან ადგილებისაკენ, მაგრამ მახარაძე ადვილათ მიხვდა ამ „დაცემის" მნიშვნელობას და ფეხიც არ გადაუდგამს. ამავე დროს ის მიხვდა სად უნდა ეძებოს აფ. მერკვილაძე. სამწუხაროთ დიდი მუშაობა არ დასჭირდა ამ მხრით ბოქაულს, თუმცა აფრასიონმა მაშინვე გამოიცვალა ბინა, სკინდორიდან სოფ. სვერში გადასახლდა, რაც ჭიათურიდან 10 ვერსი იქნება, ხოლო სკინდორიდან 8 ვერსი.

1907 წლის თებერვალში მახარაძის აგენტებს ხელში ჩაუვარდათ აფრასიონის რაზმელი დიანოზა ცერცვაძე, რომელიც მზვერავათ დაიარებოდა სვერიდან ზესტაფონის რაიონში. ცერცვაძეს სცემეს და გატეხეს, ყველაფერი ათქმევინეს. 19 თებერვალს ბოქ. მახარაძე მაზრის უფროსთან ერთი დიდი რაზმით ამოვიდა ჭიათურაში საღამოს მატარებლით. ჭიათურელ ამხანაგებში მითქმა-მოთქმა შეიქნა, რადგან იცოდენ მახარაძე ამ სახით ტყუილა არ იყო მოსული და მიზეზს იკვლევდენ. მუშა იაკობა ცუცქირიძეს (სოფ. სვერიდან) საიდგანღაც შეუტყვია, რომ ბოქაული სოფ. სვერში მიდის. ცხადი იყო აფრასიონის საძებრათ. გადაუწყვეტიათ კაცის გაგზავნა და ეს საქმე თითონ იაკობას მიუღია თავზე. შემდეგში გამოირკვა, რომ ცუცქირიძეს სოფ. პერევისაში გავლისას შეუხვევია ნაცნობთან, იქ დაუგვიანებია, ხოლო მახარაძეს, რომელსაც თან ყოლია გადაცმული ცერცვაძე, გამთენიას ალყა შემოურტყამს აფრასიონის მობინადრე გლეხის სახლისათვის. ბედზე იმ ღამეს აფრასიონი არ ყოფილა იმ სახლში, რომელიც დ. ცერცვაძემ იცოდა და ასე ის ალყის გარე დარჩა, მაგრამ მაინც ვერ ისარგებლა ამ ბედნიერი შემთხვევით. შავი რაზმის ხმაურობით გაღვიძებულ გლეხებში შეიქნა ჩოჩქოლი, რამაც მიაღწია იმ სახლამდის, სადაც აფრასიონი და ორი მისი რაზმელი – დუგლაძე და გაჩეჩილაძე იყვენ. მათ საჩქაროთ აისხეს იარაღი, გადიგდეს ბეჭზე თავის ჩანთე-

ბი და გამოცვივდენ. თენდებოდა. გარეთ გამოსულმა რაზმელებმა გაიხედეს თავის ძველი ბინისაკენ და... ჰოი საცდურო! იქ ეზოში ერთიმეორეს ელაპარაკებიან მახარაძე და მაზრის უფროსი.

განგებამ მომცა შენი თავიო, შესძახა აფრასიონმა, ჩამოიჩოქა და მოიმარჯვა იარაღი. ამხანაგებმა ეჭვი გამოთქვეს – შორსაა, მაგრამ აფრასიონმა არ დაიჯერა და ესროლა. სროლის ხმაზე მახარაძემ მოიხედა და შეყვირა მხლებელთ – იქეთ ტყვიებიო. შეიქნა საშინელი სროლა. რაზმელები გაიქცენ უგზო-უკვლოთ, რომ ცხენებით ვერ გადევნებოდენ. გარბოდენ სროლით. ჩქარა ერთი რაზმელი – გაჩეჩილაძე დაჭრეს ბარძაყში და რაზმის ბედიც გადაწყდა. აფრასიონმა ის არაფრის გულისათვის არ დატოვა, აიკიდა ზურგზე და ასე გაუდგენ გზას, მაგრამ ეს სიგიჟე იყო: გაჩეჩილაძე ახმახი, სხვილი კაცი იყო, ცხენსაც უჭირდა მისი ტარება. მაინც ბევრი იარეს. დასვენების დროს უსვრიდენ და ასე ჩავიდენ სოფ. ცხრუკვეთში (4-5 ვერსი სვერიდან). აქედან ისევ უკან მოუხვიეს და სვერისავე გვერდის ავლით ჭიათურისაკენ ქნეს პირი, მაგრამ სვერის ახლოს მდ. წილთოს ხეობაში მოუხდათ ბრძოლის მიცემა წამონეულ მდევრებზე. აღსანიშნავია, რომ ცხრუკვეთში მცხოვრებმა ს. გველესიანმა ნინადადება მისცა აფრასიონს ჭურში დაგმალავთ, სულ ერთია ვერ გაასწრებთო. მაგრამ აფრასიონი არ დათანხმდა: რაც ხალხი დაიღუპა ჩემ თაობაზე, ისიც კმარა, შენ ვეღარ დაგღუპავო. მაშინ ეს დაჭრილი დამიტოვე მაინც, რომ შენ თავისუფლათ გაიქცეო, მაგრამ დაჭრილი არც იქ დასტოვა და ასე გადაყვა დაჟინებულ რაინდობას.

ზემოდ ხსენებულ ხევში ისინი ამოეფარენ დიდ ქვებს და დაუწყეს სროლა. მახარაძის რაზმი დიდხანს ვერაფერს აკლებდა მათ, ახლოს მისულთ ბომბით იგერიებდა. ბოლოს ორმა „სტრაჟნიკმა“ შორიდან შემოუარა და უკანიდან დაახალა ტყვიები. მოკლულები პოლიციამ გადაატანია სოფ. ცხრუკვეთის ახლოს ერთ ძველ ეკლესიის გალავანში და იქ დაამარხვია.

ასე დაათავა სიცოცხლე ამ დაუდგრომელმა რევოლიუციონერმა. მისი მოკვლის შემდეგ პოლიციისთვისაც კი გამოირკვა მისი უმნიკვლოება. მას თან უნახეს არა მარტო მარქსისტული სამგზავრო ბიბლიოთეკა, მას უნახეს უბის წიგნაკი, სადაც ანერილი ქონოდა მაზრაში მომხდარი ბევრი ყაჩაღობა მონანილეთა ინიციალებით და ნარნერით: „გადაეცეს შემდეგში გამარჯვებულ ხალხის სასამართლოს“-ო.

ანერილი ქონოდა მისი ყოფილი რაზმელების მცარცველობაც, რითვისაც ისინი ითვლებოდენ რაზმელებისათვის კანონს გარეშე და სხვ.

აფრასიონის სიკვდილით მაინც მისი რაზმის არსებობა არ გათავებულა. აქა-იქ დარჩენილი მისი რაზმელები მოგროვდენ მის საფლავზე და სიტყვა დადვეს შური ეძიებიათ, მოეკლათ ბოქაული მახარაძე. ნაშთს მეთაურათ გაუხდია ერთი რაზმელი პორფ. პაიჭაძე. რაზმმა ამ საქმეში დახმარება სთხოვა ჭიათურის ორგანიზაციას, რომელსაც სიტყვას აძლევდა ამ აქტის შემდეგ სუყველანი გავალთ მაზრიდანო. ბოქაული მახარაძე ამ დროს ჩვენ მაზრაში ითვლებოდა მეფის მთავრობის აგენტებში ყველაზე უფრო მავნე ელემენტათ და ორგანიზაციას არაფერი არ ქონდა მისი მოკვლის სანინააღმეგო, თუ ეს ხალხისათვის უზარალოთ მოხდებოდა. ამ მიზნით ორგანიზაცია დაეთანხმა, გამოყო მათ დასახმარებლათ ორი ამხანაგი – თ. ჟღენტი (თენგიზა მაშინაც ბოლშევიკი იყო, მაგრამ მუშაობდა ჩვენთან, რადგან იმ დროს ჭიათურაში მათი ორგანიზაცია არ არსებობდა) და პრ. თოდრია და დაავალა მკვლელობის ადგილათ არავითარ შემთხვევაში სოფელი არ უნდა აერჩიათ.

იმ დროს ჭიათურაში შემოფარებულ თბილისელი ტერორისტების – გიორგაძისა და სხვების შემწეობით ჯერ სცადეს ჯოჯოხეთის მაშხალა, რაც შორაპანში მოაწყვეს ერთი მღვდლის სახლში და ჩააგდეს განგებ წერილი, თითქოს ამ სახლში სტამბა ჩამოიტანეს თბილისიდან, მაგრამ გამოცდილი მახარაძე დაეჭვდა აქ რაღაც ხრიკიაო და ყუთი ააფეთქა სროლით, თუ ბაწრის ჩაბმით და გამოთრევით, აღარ მახსოვს. სცადეს ბევრი სხვა „ნომრებიც", მაგრამ მახარაძე ხელში ვერ ჩაიგდეს ასე ადვილათ, ხოლო რაზმს მოთმინება არ ყოფნიდა. ამავე დროს შეიქნა მითქმა-მოთქმა აფრასიონის გაცემის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციამ ჩქარა გაიგო მახარაძის წინამძღოლი დ. ცერცვაძე იყო, რაზმმა დაიჯერა სვერში კერძო ანგარიშებით გავრცელებული ხმები, თითქოს მახარაძეს მისთვის საჭირო ცნობები მისცეს სვერის მცხოვრებლებმა – მრეწველმა ვლ. წერეთელმა და მღ. ღენტორ წერეთელმა გლეხი ბინაძის საშუალებით, რომელსაც ძმა ყავდა „სტრაჟნიკათ" მახარაძესთან (სხვათა შორის ამბობდენ ეს „სტრაჟნიკი" იყო ერთი იმათთაგანი, რომლებმაც უკანიდან მოაყარეს აფრასიონს ტყვიები და მოკლესო). ვლ. წერეთელი ამ

ნიადაგზე ოსმალეთში, ქ. ტრაპეზუნდში გადასახლდა, ხოლო მისი ოჯახი ჭიათურაში ორგანიზაციამ დაიცვა ანიოკებისაგან. ეს ოჯახი ჩვენი თავშესაფარი იყო ჭიათურაში და სვერშიაც. ვაჟები ვლადიმერისა, სანდრო და ლევანი ფედერალისტების პარტიაში იყვნენ (ჭიათურის ქალაქის ხმოსნათ ფედერალისტებს სანდრო ყავდათ პირველ რიგში). ქალიშვილი კი ჩვენი პარტიის წევრი იყო, ფრაქციულათ ბოლშევიჩკა. მაინც სვერში ცეცხლს მისცეს მათი სახლი. კიდევ უარესი მოუვიდათ მღვდელსა და ბიწაძეს. ისინი ორივენი ერთ ღამეს გაიტაცეს თავის სახლებიდან, მიიყვანეს აფრასიონის მკვლელობის ადგილზე და იქ მოკლეს. მეორე დღეს შეატყობინეს ორგანიზაციას, რომ ეს ჩვენ ჩავიდინეთ და თან გვინდა ამით ვისარგებლოთ მახარაძის მოსაკლავათ, რადგან ვფიქრობთ, ის უსათუოთ ამოვა ამ საქმის გამოსაძიებლათო. ასე ორგანიზაცია მათ დააყენეს ფაქტის ნინაშე.

ბოქაული მახარაძე მართლაც ამოვიდა ჭიათურაში და ნავიდა სვერში, სადაც სოფელი არ დარჩენილა დაუზარალებლათ. მოკლულებისა და ვლ. წერეთლის სახლის საფასურათ სოფელს გააწერეს და დაუყოვნებლივ გადაახდევინეს 15 თუ 20 ათასი მანეთი. იქიდან დაბრუნებულ მახარაძეს პაიჭაძე და მისი ამხანაგები უცდიდენ ჭიათურაში. თ. ელენტს და პრ. თორდიას ცნობა ქონდათ, როდის შემოვიდოდა ქალაქში ბოქაული და ამ დროისთვის პაიჭაძე ქალაქ გარეთ, პერევისის მაღაროების გადმოღმა უნდა ჩასაფრებოდა მას. მაგრამ მახარაძე ყოველთვის მიხვეულ-მოხვეული გზით და ხშირად უგზოუკვლოთ (ყანებზე) დაიარებოდა და ამ ხერხით ამ ღამესაც აცდა პაიჭაძის საფარს. ამის შემდეგ ერთადერთი გზა იყო ქალაქშივე შეხვედროდენ, როცა ბოქაული სადგურზე ნავიდოდა. თ. ელენტი მე შემეკითხა ამის შესახებ და ვარჩიეთ საქონლის სადგურში რკინიგზის ვაგონებში ჩასაფრებულიყო მსროლელი, ხოლო სხვები სერზე მდგარიყვენ, რომ აქტის შემდეგ მსროლელი გამოეყვანათ თავის ტყვიების ქვეშ. მაგრამ შემდეგ გავიგე პაიჭაძეს თენგიზისთვის არ დაეჯერებია და სერიდან სროლა გადაეწყვიტა. ეს სერი სადგურთან მიმავალი გზიდან 60-70 საჟენი იქნება და პაიჭაძეს, რომელიც მართლა კარგი მსროლელი იყო, არაფრათ ჩაეგდო. და აი, როცა ბოქაული თავის დიდძალი მხლებლებით სადგურისკენ მიდიოდა დღისით 11 საათზე, პაიჭაძემ გამოუმიზნა და ესროლა ჯარისკაცის თოფიდან.

ტყვიამ მახარაძეს მხოლოდ ქუდი გადააცალა თავიდან, მაგრამ ეშმაკობით იქვე მონყვეტით დაეცა და დაარნმუნა ტერორისტები თითქო მოვკალითო. ისინი გაიქცენ აღმართით პერევისისაკენ პოლიციის ტყვიების ზუზუნით გაცილებული. გზადაგზა იფარებდენ ხეებს, ჩირგვებს და ასე ბევრი სირბილის შემდეგ უვნებლათ შეაფარეს თავი პერევისის ტყეებს (ცხენოსან ყაზახების მდევრებმაც ვერა ავნეს რა, რადგან ისინი ყანებზე გარბოდენ, სადაც ცხენები ვერ გადვიდოდა). სამაგიეროთ ტყვიებმა იმსხვერპლეს ჩალვადარი ვ. შუკაკიძე და რამდენიმე ცხენი.

რაზმელები, რომლებიც ამის შემდეგ ჭიათურიდან ისევ ზესტაფონის რაიონში გადავიდენ, სათითაოდ ჩაუვარდენ ხელში პოლიციას ზოგი სოფლათ და ზოგი რკინის გზაში. ბოლოს დაიჭირეს ქუთაისის მატარებელში პაიჭაძეც. კიდევ უფრო ადრე პაიჭაძის სულელური წერილის გამო, რომელიც ერთი მისი რაზმელის დატყვევების დროს ჩაიგდეს ხელში, დაატუსაღეს ჭიათურაში თ. ელენტი, პრ. თოდრია და სხვები, ვისთანაც კი კავშირი ქონდა რაზმს. ყველა ესენი მიუმატეს ქუთაისის ციხეში წლობით მჯდომ აფრასიონის რაზმელებს, რომლებიც სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილებზე იყვენ შეპყრობილნი, მაგრამ ბრალდებოდათ ერთნაირათ აფრასიონის რაზმში მონაწილეობა სხვადასხვა ტერორისტულ აქტებში. ყველა ამათ კიდევ დიდხან მოუხდათ ჯდომა ქუთაისის ციხეში. ბოლოს როგორც იყო, გამოძიება დასრულდა და მათ ჩააბარეს საბრალმდებლო ოქმი. ოქმიდან სჩანდა, რომ შვიდ მათგანს – კ. ლორთქიფანიძეს, პ. პაიჭაძეს, ისმაილა ჭუმბურიძეს, ალ. სვანიძეს, ტრ. არაბიძეს, ს. ჭუმბურიძეს და ყოფილ ჯარისკაც საყვარელიძეს კატორლას არ დააჯერებდენ. საყვარელიძემ და ლორთქიფანიძემ მოსწერეს ორგანიზაციას და თხოვდენ მოეწყოთ გაქცევა პროცესის დროს. ლორთქიფანიძემ მომწერა აგრეთვე პირადათ მე ამის შესახებ. მიუხედავათ ბევრი უსიამოვნებისა და უთანხმოებისა მათთან დამოკიდებულებაში, ორგანიზაციას საწინააღმდეგო არაფერი ქონდა, თუ კერძოთ ამხანაგები თავის „რისკით" მოუნყობდენ მათ გაქცევას, ხოლო ოფიციალურათ თავის თავზე არ აიღო.

მე განვიზრახე მოვხმარებოდი მათ ამ საქმეში და ჩავედი პროცესზე ქუთაისში, თუმცა პოლიციის მხედველობაში ვიყავი ჭიათურაში. არაფერი არ გამოვიდა: გამოცდილებით დაშინებული და პრო-

ცესნიკების დიდი ბრალდებებით გაფრთხილებულ ხელისუფლებას ყოველმხრივი ზომები ქონდა მიღებული. გაძლიერებულ რაზმის თანხლებას არ ჯერდებოდენ და ქუჩები გაჭედილი იყო პოლიციელებით და აჭარელი მსროლელებით. სასამართლოს შენობა გარშემორტყმული იყო რაზმით. ამავე დროს ჩემი ქუთაისში გამოჩენა შეუნიშნავი არ დარჩა პროცესზე ჩამოსულ აუარებელ მთავრობის მონმეებს, მერკვილაძის რაზმის მიერ დაზარალებულთა ნათესავებს და მოეჩვენათ, რომ მე მათ თვალყურის სადევნებლათ ვიყავი ჩასული, რომ მერე შური მეძიებია და მიმართეს მახარაძეს. ბედზე მოწმეთვე გამონვეულ (პრ. თოდრიასაგან) განსვენებულ ექიმ ს. ჯაფარიძეს უთხრეს ეს ამბავი და მანვე გამომაპარა სასამართლოს შენობიდან. ამნაირათ გაქცევის მოწყობაზე ხელი ავიღეთ, ხოლო სასამართლომ მართლაც ამ შვიდ კაცს ჩამოღჩობა მიუსაჯა, ხოლო დანარჩენს ათიდან ოცი წლის კატორღა.

ამ მკაცრ განაჩენს ხელი შეუწყო ერთმა აქტმა. სნორეთ პროცესის დროს ქუთაისში მოკლეს რეალურ სასნავლებლის ინსპექტორი, რუსთა კავშირის წევრი და ქართველ მოსწავლეთა მოძულე მტერი. ამავე აქტის გავლენით უარი თქვა მეფის მოადგილის მეუღლემ ქმართან მოლაპარაკებაზე, რომ მათთვის ჩამოღჩობა შეეცვალა კატორღით (ვორონცოვ-დაშკოვის ოჯახობას ამის შესახებ სთხოვა თ-დ ს. წერეთლის დამ ნინო ჩოლოყაშვილისამ, რომელთანაც მე ჩავედი ამის შესახებ თბილისში სიმონისავე რჩევით). და ასე ვორონცოვ-დაშკოვმა განაჩენი დაამტკიცა საყვარელიძის გამოკლებით (ამბობდენ პოლკის უფროსის კარგი მოწმობის გამოვო), რომელიც მაინც არ დაბრუნებულა საკატორღო ციხიდან. დანარჩენები ექვსი კი ჩამოაღჩვეს.

დიდხანს იყო სალაპარაკოთ ეს აქტი, დასჯილთა სიკვდილთან გმირული შეხვედრისა გამო. ციხეს უნდოდა დემონსტრაციით, კარებებისა და ფანჯრების მტვრევით შეხვედროდა ამ აქტს, მაგრამ დასჯილებმა სთხოვეს უარი ეთქვათ ამ გადაწყვეტილებაზე. ზედმეტი მსხვერპლი იქნება, დაზოგეთ გმირები უფრო დიდი საქმისათვისო. ამავე დროს კ. ლორთქიფანიძის პირით სთხოვეს მთავრობას ჩვეულებრივი ზომები – ხელების შეკვრა და სხვა არ მიეღო. ჩვენ არავითარ წინააღმდეგობას არ გიწევთ, ჩვენით გავალთ საღჩობელაზეო. „უმელი ჟიტ ი ბაროტსია, სუმეემ უმერეტ ზა დელო ნაროდა"-ო, უთხრა

მან ციხის უფროსს და იმეორებდა მთელი კვირა. როცა ეზოში გაყავდათ, დაწოლილმა ტუსაღებმა, სისხლის სამართლის ტუსაღებმაც, ერთხმათ დაიწყეს ყველა კარებებში „მსხვერპლათ დაეცით...“ (ზეზე ადგომის ნება არ მიცეს დერეფანში ჩასაფრებულმა რუსის ჯარისკაცებმა), ხოლო დასასჯელებმა მარსელიეზით უპასუხეს.

საღჩობელასთან პროკურორს და სხვებს ლორთქიფანიძემ უთხრა: ჩვენ ქურდულათ გვაღჩობთ, ხოლო თქვენ საჯაროთ დაგსჯით გამარჯვებული რევოლიუციაო. გაუმარჯოს რევოლიუციასო და ასე ავიდენ საღჩობელაზე. დამსწრე ოფიცრები გაკვირვებული იყვენ ნახულით.

IX

ქართლის შავი და წითელი რაზმები.

1905 წლის აგრარული მოძრაობა ჩვენში დიამეტრალურათ განსხვავდებოდა რუსეთის ასეთივე მოძრაობიდან. მაშინ, როცა რუსეთში ამან მიიღო სტიქიურ-ველური ფორმა – მემამულეთა ავლა-დიდების დანვა-ანიოკება და კულტურულ მამულების განადგურება, რასაც თან სდევდა ეგზეკუციები და გლეხთა ხოცვა-ულეტა, ჩვენში აგრარიული მოძრაობა თავიდანვე ჩადგა ქალაქურ კულტურულ კალაპოტში – ორგანიზაცია, გაფიცვა, ბოიკოტი. შედეგათ – გლეხთა რწმუნებულებისა და მემამულეთა შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულებები. ამის მიზეზი იყო ჯერ ის, რომ სოც. დემოკრატიული პარტია ამ დროს ჩვენში უკვე დიდი ავტორიტეტიანი პარტიაა და საერთოდ ქალაქის მუშები ჯერ კიდევ 1902 წლიდან გავიდენ სოფლათ სამუშაოდ და 1905 წლისთვის უმეტესობა მაზრებში პარტიას უკვე დიდი გავლენა ქონდა, რის გამო მოძრაობა თავიდანვე თავის ხელში აიღო. მერე ჩვენი თავადაზნაურობა დაწყებულ მოძრაობას მტრულად არ შეხვედრია, პირიქით, მის ერთ მხარეს – პოლიტიკურ ნაწილს ის, როგორც დაპყრობილ ერის უმაღლესი წოდება უყოყმანოთ მიესალმა და ხელსაც უწყობდა, ხოლო პოლიტიკური მხარე მაშინდელი მოძრაობისა, სოფლათაც ისე როგორც ქალაქათ, ხერხემალი იყო საერთოდ მოძრაობის. ამას უნდა მიემატოს ისიც რომ ჩვენი მრავალ-

რიცხოვანი თავად-აზნაურობის უმრავლესობა იმ დროს მიწით უკვე გაღარიბებული იყო, მემამულეს აღარ წარმოადგენდა. მხოლოდ მამულის შემოსავალით მაშინ ამ წოდების ერთი მეათედიღა თუ ცხოვრობდა. ყველა ამის გამო იყო რომ საქართველო სავსებით აცდა რუსულ გზას აგრარულ მოძრაობაში. გამონაკლისს შეადგენდა ზემო ქართლის ერთი ნაწილი, სურამის ქედზე მოკრული, ქართლის პატარა ნაწილი, ისტორიულ სოფლის – ატოცის ირგვლივ.

ცნობილია, რომ ქართლი ჩვენი ქვეყნის ყველა სხვა ნაწილებზე უფრო მდიდარი შეხვდა 1905 წელს ფეოდალური ნაშთებით, ხოლო თვით ქართლში ხსენებული ნაწილი ამ მხრით კიდევ უფრო განსხვავდებოდა. აქაური მემამულეები არ იყვენ მიჩვეული ნაჭრობით მამულის გაყიდვას და შემოსავალიც გლეხობიდან კარგი ჰქონდათ. მათ მიწებზე ცხოვრობდნენ ძალიან ბევრი ხიზნები, უმთავრესათ ოსები, როგორც ცხინვალის რაიონში. მაგრამ იყვენ იმერეთიდან – საჩხერის რაიონიდან შემოხიზნული გლეხებიც. არახიზან გლეხებსაც სახლისა და პატარა შიშველ ეზოს გარდა საკუთრება არა მოეპოებოდათ რა, სავსებით მემამულეებზე იყვენ დამოკიდებული. სახნავ-სათესში ისინი იხდიდენ ნატურით მოსავლის ნახევრიდან მეოთხედამდე, მიწის ხარისხის მიხედვით, ხოლო ტყესა და საბალახოში კიდევ ცალკე იხდიდენ ფულად. ასეთ ეკონომიურ ფუძეზე, რასაკვირველია, გლეხობა გონებრივათაც ერთობ ჩამორჩენილი იყო. მთელ ამ მხარეზე ორიოდე სამინისტროს სკოლა იყო. აქედან ცხადია, რომ ეს გლეხები სხვა თავის მოძმეებსავით მომზადებული ვერ შეხვდენ დიად მოძრაობას, მაგრამ კიდევ უფრო შეუგნებლათ და უტაქტოთ შეხვდენ ამ მოძრაობას მათი მემამულეები.

მგონი თებერვალში გორიდან იქ ამოსულიყვენ ჩვენი ნეტარხსენებული ამხანაგები – გორის მუშების მიერ პაპაშათ წოდებული სანდრო კეცხოველი, ვასო ცაბაძე და გიორგი მაჩაბელი. მოეხდინათ დიდი მიტინგები და, როგორც გლეხები ამბობდენ, გამოეცხადებიათ ერთობა. ერთი-მეორეში თემათა განანილებით მათ ვრცლათ გაერკვიათ მოძრაობის მიზნები საერთოდ და კერძოთ აგრარული პროგრამა. სანდრომ ოსური კარგათ იცოდა და, რადგან მიტინგებზე ქართულის არა კარგათ მცოდნე ოსებიც ესწრებოდენ, ის თავის სიტყვებს ოსურათაც იმეორებდა და ასე აღფრთოვანებას საერთო ხასიათი ეძლეოდა. დაბოლოს დაპირებიან გლეხებს, რომ პროპაგანდისტ-ორგანიზატორებს გამოგიგზავნით, რომ თქვენც სხვა რაიონებივით ორგა-

ნიზაცია მოანყოთ და ახალი ცხოვრება დაინყოთო. ვაი რომ ამ გადანყვეტილების ასრულება ასე ადვილი აღარ შეიქნა.

სანდროსა და მის ამხანაგების წასვლისთანავე ამოძრავებულა თავად-აზნაურობა და შეკრებილან სოფელ ავლევში. ეს სოფელიც ჩვენ სინამდვილეში თავისებური გამონაკლისი იყო: იქ ცხოვრობდნენ მხოლოდ მემამულეები, უმთავრესათ ფალავანდიშვილები და ამირეჯიბები. მათ იქ შეუდგენიათ შეიარაღებული რაზმი და მიზნათ დაუსახავთ არ გააჭაჭანონ ამ მხარეში პროპაგანდისტ-აგიტატორები. მათ საგუშაგოები მოანყვეს გორიდან შემოსავალ გზებზე, ყველა საეჭვო პირს ატყვევებდენ და პოლიციას უგზავნიდენ ხაშურში. სამუშაოთ წამოსული ორი ამხანაგი – ბესელიძე და კ. ციციშვილი ცემით გაასივეს და ვიღაც ქალის თხოვნით პოლიციას აღარ გადაცეს, უკან გაუშვეს.

ამნაირათ ეს მთაზე მიკრული რაიონი დარჩა მოწყვეტილი თავის კულტურულ ცენტრს და მის ხელმძღვანელობას, მოძრაობა დარჩა თავის ამარა და, რასაკვირველია, მიიღო უკულტურო ფორმები. გაჩდენ შეიარაღებული „პროპგანდისტები", რომელთაც თავი გლეხთა მეთაურებათ გამოაცხადეს, რომლებიც გამარტოებულ მემამულეთა სასახლეებს ესხმოდენ, იარაღს ართმევდენ და აწიოკებდენ, რაზედაც თავად-აზნაურობის რაზმი გლეხების აწიოკებით უპასუხებდა.

ამ მდგომარეობამ დააფიქრა ჭიათურის მაღაროებში მომუშავე იქაური ახალგაზრდა გლეხები და მათ მიმართეს პარტიულ ორგანიზაციას, მიეღო თავის მფარველობის ქვეშ ეს რაიონი. ამ მუშების მეთაური იყო ატოცელი გლეხი ვანო დეისაძე, რომელიც დაუინებით მოითხოვდა, თუნდაც ერთი კვირით, ჩემს იქ გაგზანას. ორგანიზაცია დათანხმდა და მე და ბათლომა ხელაძე (მარდახა) გავემგზავრეთ იქითკენ აღდგომის დღეს ხაშურის გზით.

ვანო დეისაძე წინასწარ წავიდა იქ კორბოულის გზით, საიდანაც აქვს ამ მხარეს მისვლა-მოსვლა ჭიათურასა და საჩხერესთან. მან სადგურზე დაგვახვედრა ცხენები ერთი ახალგაზრდა გლეხის (გვარი არ მახსოვს) ხელით, რომელმაც მორიდებული გზით აგვიყვანა სოფ. აბანოში, სადაც დაგვიხვდა თვითონ ვანოც რამდენიმე მოწინავე გლეხებით, მათ შორის შემდეგში წითელი რაზმის ცნობილი მეთაურის ვანო ცაბაძის (ვასოს ბიძაშვილის) და ასევე ცნობილ რაზმელის, ჭიათურელ მუშა გიორგი გომაურის(?) თანხლებით. აქვე იყო ადგილობრივ მცხოვრებ ხერხეულიძის ქალი ამხ. ბაბო. იქვე გლეხის ეზო-

ში გამზადებული იყო სააღდგომო სუფრა, რის ირგვლივ, რასაკვირველია, სმა-ჭამის დიდათ შესარგის დაუვიწყებლათ, შეუდექით სამოქმედო გეგმის გამომუშავებას, რომლის თანახმათ მეორე დილასვე დავიწყეთ მუშაობა. გლეხობა დიდი იმედებით აღფრთოვანებული იყო, ყველგან აღტაცებით გვეგებებოდენ. „ჩვენო ძმებო, ჩვენო მახარობლებო, მაშ ჩვენთვისაც თენდება, ჩვენი მზეც ამოვიდა"-ო, შემოგვძახებდენ ხოლმე სახე გაბრწყინებული ქალიან-კაციანათ და თავისი სულიერი განწყობილება, თავის ჩვენდამი დამოკიდებულება, როგორც ერთობის მოციქულთადმი, ყველგან ქართული პურმარილით სურდათ გამოეხატათ.

ყოველი კრების შემდეგ უსათუოთ რომელიმე გლეხი სუფრაზე მიგვიწვევდა, რაზედაც უარის თქმა წარმოუდგენელი იყო. ხოლო სუფრაზე დაჯდომისათანავე ყველა გლეხი სათითაოდ იქვე მობრუნდებოდა ხელსახოცითა და დოქით ხელში, გაუმარჯოს ერთობასო – იტყოდა, დადებდა სუფრაზე მოტანილ ძღვენს და თითონაც მოუჯდებოდა და ძალიან წყინდათ, როცა მე და ბათლომა ერთობის სადღეგრძელოებს ისევე ვერ გამოვცლიდით, როგორც ისინი. ასეთ შემთხვევაში ყოველგან ვანო იყო ჩვენი მობოდიშე. ამრიგად შემოვიარეთ ყველა სოფლები, მოვაწყვეთ ყველგან სოფლის ორგანიზაცია ათისთავებითა და ასისთავებით, გაურკვიეთ ყველგან თავისუფალი მართვა-გამგეობის პრინციპები და სამედიატორო სასამართლოებით სარგებლობის საშვალებები. შემდეგ მოვახდინეთ ყველა თემებში ასისთავების კრებები და დავაარსეთ თემის ორგანიზაციები, ხოლო ბოლოს ყველა თემების წარმომადგენლებიდან ატოცის ცალკე რაიონის ორგანიზაცია, რომლის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ვანო დეისაძე, რომელმაც უკვე წინასწარ გადაწყვიტა დარჩენილიყო სოფლათ და თავის ძალღონე შეეწირა მშობელ ხალხის სამსახურისათვის.

ვანოსვე დაევალა ცხინვალის გზით ჩაპარულიყო გორში და კავშირი აღედგინა სამაზრო ორგანიზაციასთან, თუმცა ის წინდაწინ გვეუბნებოდა, რომ მეტ დახმარებას მაინც ჭიათურის ორგანიზაცია უნდა გვიწევდეს, რადგან გეოგრაფიულათ შავი რაზმის არსებობის პირობებში მისთვის ეს უფრო მოსახერხებელიაო. ყველა ეს მუშაობა, ერთი კვირის განმავლობაში, ჩვენ ისე ჩავატარეთ, რომ არც შავ რაზმს და არც მთავრობის აგენტებს არაფერი გაუგიათ. მაინც უინცინდენტოთ საქმე არ დათავდა.

ზევით უკვე აღვნიშნე, რომ ჩვენ ჩასვლამდე იქ მოქმედებდა თავისებური „სამოზვანცები“, რომლებიც შეიარაღებული დადიოდენ და მოძრაობას თავის სასარგებლოთ იყენებდენ. ეს ხალხი ჩვენ აგვედევნა თავიდანვე და, წინააღმდეგ ორივე ვანოების ცდისა, ვერ ვიშორებდით. ისინი, მაშასადამე, ხედავდენ, როგორ წყვებოდა ორგანიზაცია, როგორ კონსპირატიულ სახეს იღებდა ის და როგორ ძნელი იყო შემდეგში სოფლათ მოქმედება გარეშე ამ ორგანიზაციისა და მისი სურვილისა. ისინი მიხვდენ, რომ მათ თარეშს ბოლო ეღებოდა და დაგვინყეს მტრულათ ყურება. მათი აღელვება უმწვერვალესობამდე ავიდა, როცა თემების ორგანიზაციაზე ისინი არ დავისნარით და, მაშასადამე, მათ აღარ იცოდენ შემდეგი ორგანიზაციის წყობა. მაინც როგორღაც გაიგეს სარაიონო კრების ადგილი და მოვიდენ. რასაკვირველია, ისინი ეზოში დარჩენ, კრებაზე არ დაუშვით. იქ მათ გადაუნყვეტიათ ჩემი და ბათლომას მოკვლა, მაგრამ მათ შორის იყვენ კარგი ბიჭებიც, რომელთა მათგან ჩამოცილება და გამოყენება წინასწარვე გვქონდა გადაწყვეტილი. და აი მათ ეს ამბავი ვანოს შეატყობინეს.

ვანო გაფითრებული მოვიდა ჩემთან კრების გათავებისას, შემატყობია საქმე და მითხრა გარეთ არ გამოვსულიყავით, სანამ ის თავის ამხანაგების შემწეობით მათ არ განაიარაღებდა. ჯავრი ნუ გაქვს მეთქი, დავამშვიდე ვანო, კრებას რომ გაუშვებ მერე ისინი აქ შემომიგზანე. მე თითონ მოველაპარაკები-მეთქი. ვანო დიდხანს ყოყმანობდა, მიშლიდა, მაგრამ ჩემი თვითრწმენა მასაც გადაედო და დამეთანხმა. იმ რაზმს მეთაურობდა ერთი ახალგაზრდა ოსი, ჭიათურაში მცველათ ნამყოფი და იქიდან თოფიანათ გამოქცეული (თავდაცემა ბრალდებოდა). მე მათ მივმართე ასეთ „რეჩით“: „როგორც ხედავთ, ჯეელებო, ჩვენ გლეხთა ორგანიზაციის ჩამოყალიბება დავასრულეთ, ჯერი ახლა თქვენზე, რევოლიუციის დამცველთა ორგანიზაციის მოწყობაზე მიდგა. ახლა ჩვენ უნდა შეუდგეთ... – რას უნდა შეუდგეთ? ჩვენ ჩვენი რაზმი მოწყობილი გვაქვს და ბელადებიც არჩეული გვყავს“. არავითარი მოწყობა არ გვჭირიაო, შემაწყვეტია აღელვებულმა ოსმა, რომელსაც თავის ბერდანა ისე ეჭირა ხელში მომზადებული, როგორც ტუსაღების გამყოლ რუსის ჯარისკაცებს უჭირავთ ხოლმე. აშკარა იყო რეორგანიზაციაში ის საფრთხეს ხედავდა თავის ბელადობის შესახებ და მე დამამშვიდებელი ღიმილით მიუგე: თითონ რაზმი კი მოწყობილი გყავთ, მაგრამ ამ რაზმის მოქმედების გეგმა,

მისი ფუნქციების გლეხთა ორგანიზაციის ფუნქციებთან განსხვავება – შეფარდება, ამ ორი ორგანიზაციის ურთიერთ შორის დამოკიდებულება და სხვა – განა ცოტა საქმეა ყველა ამაების კარგათ გარკვევა? მერე კიდევ პაროლების გამომუშავება, რომლის საშუალებით თქვენ სოფლათ თავისუფლათ მიგიღებენ და სხვა-მეთქი.

ოსი გაბრწყინდა. მაშ, მაშ, „პროპუსკები" გვინდა, ამას ვიძახი სულ და ვანო წინააღმდეგი იყო, მოგვეცი „პროპუსკები"-ო. მე ავუხსენი, რომ „პროპუსკები" უბრალო საქმეა, ჯერ მოქმედების გეგმა უნდა შევიმუშაოთ, ხოლო ამისთვის საჭიროა თქვენი სრული კრება. თქვენ თითონ დანიშნეთ ადგილი, მოიყარეთ ყველამ თავი ხვალ დილით, მოვალთ ჩვენც და ყველაფერი მოვანყოთ მეთქი. დამინიშნეს ადგილი და წავიდენ გახარებული.

ვანომ გაიღიმა და მითხრა: მაშ ახლა, იმერელო, შემდეგი მოქმედება შენი კომედიისა, რა იქნებაო? შემდეგი მოქმედება შენი საქმეა-მეთქი: ეგ რაზმი უნდა დაშალო, უკეთესები ჩამოაცილო, ხოლო ოსი და მისი ახლობელი განაიარაღო-მეთქი. მაგ მე ვიცი, ეგ გეგმა უკვე მაქვს თავში, შენ შენი გამგზავრების მითხარიო. ერთი გამყოლი დაგვიტოვე და სხვა მე ვიცი, თქვენ თქვენს საქმეს ენიეთ-მეთქი.

დაგვიტოვეს იგივე გლეხი, ვინც მოგვიყვანა. დაღამდა კიდეც. ჩვენ წავედით ამხ. ბაბოსთან, რომელიც იმ დღეს ჩვენ კრებას არ დასწრებია. ბაბომ თავის მოხუც მამას წაგვიდგინა, რომელმაც ქართული ჩვეულება არ დაიშალა და არ მოგვეშვა, სანამ სახელდახელოდ გამართულ ვახშამზე საქართველოს სადღეგრძელო ყანწით არ შეგვასვა. თუმცა დაგვთანხმდა, რომ მის მრავალ ყანწთა შორის ყველაზედ პატარა წყვილი ამოგვერჩია. ამის შემდეგ ნება მოგვცა მოგვესვენებია. ჩვენ წინასწარ გამოვემშვიდობეთ მამა-შვილთ. გამთენიას ფრთხილათ ჩავიცვით და გავსწიეთ ხაშურისაკენ.

შემდეგში გავიგეთ, რომ ვანოებს ჩემი კომედიის გაგრძელებათ ტრაღი-კომედია გამოემუშავებიათ, თუმცა შარჟით გათავებულიყო. ორთავეს რაზმის დაშლის გასაადვილებლათ თითონაც თოფი აეღოთ და მათ მიმატებოდენ. შემდეგში ოსის საქციელი კითხვათ დაესვათ, გაესამართლებიათ და სიკვდილით დასჯა მიესაჯათ. იარაღი აეყარათ და მისივე თოფით უნდა მოეკლათ, მაგრამ პირველი ტყვია არ გავარდნილიყო, ხოლო ოსს დაეჩოქებია და ეთხოვა სიცოცხლე, რადგან ტყვიამ მაპატივაო. რაზმი დათანხმებულა, თოფი დაეტოვებია და

გაეშვა, თუმცა მისი საქმე მაინც ტრაღი-კომედიით დათავდა: ამის შემდეგ ის მთის ოსის სოფლებს შეკედლებოდა და იქ გაეგრძელებია „ერთობის" რნმუნებულობა. უმთავრესათ ის თურმე სოფლის საჩივრებს იღებდა და საქმეს მის სასარგებლოთ წყვეტდა, სახელითა ერთობისათა, ვინც მეტ ქრთამს მიცემდა. ერთი ასეთი „სასამართლოს" შედეგათ ის მოეკლა ახალგაზდა ოსს.

ატოცის რაიონში ჩვენმა ერთი კვირის მუშაობამ დიდი სარგებლობა მოიტანა. გლეხთა მოძრაობა ჩადგა ორგანიზაციულ კალაპოტში. გლეხებმა მემამულეთ წარუდგინეს ჩვენი მონაწილეობით გამომუშავებული აგრარიული მოთხოვნილებები: ყანებიდან მოსავლის მეოთხედიდან მეათედამდე; საძოვარი და შეშა თავისთვის უფასოთ, ხოლო სამასალე ხე-ტყე და საბაზრო შეშა განსაზღვრულ ფასებში და სხვ. მაინც კულტურული ფორმით ნარმოება ნოდებათა ბრძოლის იქ არ მოხერხდა ისევე მემამულეთა წყალობით: მათ თავისი არ დაიშალეს, შავი რაზმი ახლა უფრო ფართოდ მოაწყვეს და გლეხების ორგანიზაციულ გამოსვლას მუქარითა და რეპრესიებით უპასუხეს.

ჯერ კიდეე ჩვენ იქ ყოფნის დროს გავიგეთ, რომ ავლევში ჩამოსულიყო ერთი ჩვენებური, საჩხერის რაიონის ს. არგვეთის მცხოვრები, აზნაური ზურაბ (ზუბიკო) აბდუშელიშვილი და სათავეში ჩადგომოდა მემამულეთა მოძრაობას. აქვე ელოდენ გორის მაზრის თავადს გიორგი ამილახვარს თავის ამალით და დანიშნული ქონდათ კრება, სადაც მოწვეული ყავდათ თავად-აზნაურობა სხვა რაიონებიდანაც. დღის წესრიგში ქონდათ რაზმის ორგანიზაცია – მიზნები, მისი წესდების გამომუშავება და სხვა. მე გამოვთქვი აზრი, გაგვეგზავნა კაცი აბდუშელიშვილთან და შევხვედროდი მოსალაპარაკებლათ, მაგრამ ამას ბაბოც კი ნინააღუდგა. მაშინ მე დავწერე (ჭიათურის ორგანიზაციის შტამპიან ბლანკზე) კერძო წერილი და გაუგზავნე მას. ამ წერილში მე მას ვაფრთხილებდი ხელი აეღო ასეთ შავ საქმეზე, ნუ იღებდა თავზე პასუხისმგებლობას ისტორიულათ გატანჯულ ქართლის ორი ნოდების ერთი ერთმანეთზე მისევის საქმეში, არამედ, როგორც განათლებულ კაცს (ის იურისტი იყო და სტუდენტობის დროს არაერთჯერ ყოფილა დატუსაღებული სტუდენტთა გამოსვლებში მონაწილეობისათვის) პირიქით ერჩია ადგილობრივ მემამულეთათვის გლეხებთან მოლაპარაკებით აგრარიული ურთიერთობის მშვიდობიანათ მოგვარება ისე, როგორც ეს მის მშობელ რაიონის – საჩხერის თავად-აზნაურობამ მოაგვარა. პასუხი მივიღეთ ჭიათურა-

ში, ოფიციალურათ, ორგანიზაციის სახელზე, მისი ნათესავის ხელით. ის გვწერდა, რომ თქვენი რნმუნებული (ე. ი. მე) შემცდარია. ჩვენ შავ რაზმს კი არა ეროვნულ ლაშქარს ვაწყობთ და მომავალი ჩვენიაო. ჩვენ მთელი საქართველო შემოგვიერთდება, ჩვენი ლაშქარი ჯერჯერობით წესრიგს აღადგენს საქართველოს სოფლებში, ხოლო მოვა დრო, დაპკრავს საათი და საქართველოს თავისუფალს ნახავთო.

ცოტა ხნის შემდეგ მართლაც მოაწყვეს სამხედრო რაზმი მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდებით და მის მიერვე მიცემული სამხედრო ქონებით. მათი რაზმი ასეულებათ იყო დაყოფილი (მგონი სულ სამი ასეულის მოწყობას მიაღწიეს თავის ხანმოკლე სიცოცხლეში) და ყველას თავის დროშა ქონდათ, რაზედაც დიდი ასოებით იყო ამოქარგული:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი".

რაზმის შემადგენლობა სავსებით თავად-აზნაურული იყო, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმ თითო-ოროლა პირად მცველებს („ტელოხრანიტელებს", რომლებიც ადრევე ყავდათ ზოგ რაზმის წევრ ბობოლა თავადებს, როგორც მაგ. გ. ამილახვარს) და რომლებიც თან მოიყვანეს რაზმში. ამილახვარ-აბდუშელიშვილის წინასნარი ტრაბახი – მთელი საქართველო შემოგვიერთდებაო, ტრაბახობათვე დარჩა, ხოლო მათი მოწოდება გლეხებისადმი – ეროვნულ ლაშქარში ჩაეწერეთო – დარჩა ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა: არც ერთი გლეხი ამ რაზმში არ ჩაწერილა; მით უმეტეს არავინ ჩაეწერებოდა გლეხებიდან ამ რაზმში მას შემდეგ, რაც რაზმი, მოწყობისათანავე, სააშკარაოზე გამოვიდა.

გარეგნულათ რაზმი მართლაც კარგათ იყო გაწყობილი: ცხენებიც გვარიანი ჰყავდა (რაზმი ცხენოსანი იყო), ჩაცმულობაც (ჩოხა-ახალუხი) კარგი ქონდათ, შეიარაღებულიც კარგათ იყვენ და სამხედრო მიხვრა-მოხვრა და ცხენზე ჯდომაც კარგათ ეხერხებოდათ. და რომ რაზმის მოქმედება შავი არ ყოფილიყო, ქართლის ველზე გაშლილი, ის ცუდ სანახაობას არ ნარმოადგენდა.

რაზმის პირველი მოქმედება იყო ტერორიზმის განვითარება გლეხთა შორის. ისინი დადიოდენ მთელი შემადგენლობით სოფელ-სოფელ და აიძულებდენ გლეხებს დაუყონებლივ დაეწყოთ თესვა ძველ პირობებში, დაუყონებლივ გადაეხადნათ ტყისა და საძოვრის ფული და სხვა. თუ ვინმე სიტყვას შეუბრუნებდა, სცემდენ. ისინი მოითხოვდენ გლეხებისგან არავინ მიეღოთ ერთობის ხალხი, არც პროპა-

განდისტები და არც რაზმელები, ხოლო თუ ასეთები მაინც გამოჩდებოდენ, დაეჭირათ და მათთვის გადაეცათ და სხვა და სხვა.

ჩვენ მიერ გლეხებში შექმნილი ორგანიზაცია საკმაოთ კონსპირატიული გამოდგა და მათ ვერ მიაგნეს. სამაგიეროთ ახლა კიდევ უფრო მტკიცეთ შეკრეს გზები და სავსებით მოწყვიტეს ეს რაიონი სამაზრო ცენტრს – გორს. ვანო დეისაძე ისევ ჩვენთან გადმოვიდა უღელტეხილით. მისი მოხსენებებიდან აშკარა იყო, რომ გლეხთა გაფიცვას გასტეხდენ; ყოველ შემთხვევაში მოლაპარაკებაზე ლაპარაკი ნაადრევი იყო, ხოლო თესვა უკვე დაგვიანებული იყო, სიმიდისაც კი. ამიტომ გადავწყვიტეთ თითონ ორგანიზაციას გაეცა პაროლი თესვისა იმ პირობით, რომ არცერთ გლეხს იმაზე მეტი არ მიეცა, რაც დაწერილი იყო მოთხოვნილებებში. გლეხების აზრიც ეს იყო და ვინც იცნობს ქართლელი გლეხის ჯიუტ ხასიათს, მისთვის გასაგები იქნება ისეთი ამბები, როცა გლეხს ვერც მათრახით, ვერც თოფის კონდახებით ვერ აიძულებდენ თუნდაც ერთი მარცვალის ზედმეტათ მიცემას დათანხმებოდა. ის გადაუწყავდა გადაწვეტილ რაოდენობას და ეუბნებოდა: ესაა შენი, ნებით ამის მეტს ერთ მარცვალსაც არ მოგცემ, ხოლო ძალით მოკვლაც შეგიძლიაო. მით უმეტეს ვერ აიძულებდენ მათ თითონ წაელო ღალა სასახლეში, როგორც წინათ იყო და რაც ორგანიზაციის შემუშავებულ მოთხოვნილებებში მოსპობილი იყო...

რაც დრო გადიოდა მით უფრო მწვავდებოდა დამოკიდებულობა ამ ორ ნოდებას შორის, ბრძოლა სულ უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებდა. ამავე დროს ბრძოლა ერთობ უთანასწორო იყო: ერთი მხრით თავიდან ფეხებამდე შეიარაღებული მემამულეები, რომელთაც ზურგს უმაგრებდა მთავრობა, ხოლო მეორეს მხრით თოხითა და გუთნით შეიარაღებული მხვნელ-მთესველნი, თავის ანაბარათ მიმწყვდეული სურამის ქედზე. მართალია, იქ იყვენ შეიარაღებული ახალგაზრდა გლეხები, მაგრამ მათი რიცხვი თითებზე ჩამოითვლებოდა. ცხადია, აქ თავისთავათ უნდა დაბადებულიყო კითხვა მოზდილი შეიარაღებული რაზმის შექმნისა და შეიქნა კიდეც. ამ რაზმს ეწოდა ნითელი რაზმი. მის სათავეში ჩადგა ვანო ცაბაძე, ჩქარა სახელოვანი ბელადი. იარაღი აისხეს და ამ რაზმში შევიდენ ჩვენ მიერ მოწყობილი ორგანიზაციის წევრებიც ვანო დეისაძის გამოუკლებლივ. იარაღს ისინი ბრძოლის პროცესში იძენდენ (რამდენიმე თოფი ჭიათური-

დანაც გავატანეთ), ამ მიზნით ცალკე თავადის სახლებს ეცემოდენ და სხვა.

მოკლე დროში ატოცის ნითელი რაზმი, ეს პირველი რაზმი სოფლათ საქართველოში, საკმაო ძალათ შეიქმნა და გადაწყვიტა ნინააღდგომოდა შავი რაზმის სოფელში ფარფაშს. რასაკვირველია, წითელი რაზმი, შავ რაზმთან შედარებით მცირერიცხოვანი, პირდაპირ და გადამწყვეტ ბრძოლაში ვერ გაინვევდა შავ რაზმს, ამიტომ მათ გამოაცხადეს პარტიზანული ბრძოლა. სოფლიდან სოფლათ ღალად მიმდინარე შავ რაზმს ისინი დაეცემოდენ ხოლმე ქორის გუნდივით ათი-თუთხმეტი კაცი, ააფორიაქებდენ, დაუწყვეტდენ ცხენებს, ჩამოყრიდენ მხედრებს და გაქუსლავდენ დანიშნული გზით. ხშირათ წითელი რაზმი ორ-სამ გუნდათ გაიყოფოდა და ერთდაიმავე გზაზე რამდენიმე ალაგას უცდიდა შავ რაზმს და, როცა ერთ ადგილზე ბრძოლაგადახდილი შავი რაზმი მეორე ალაგას წაანყდებოდა შევარდნებს, მათი მდგომარეობა კიდევ უფრო საკალალო იყო მათთვის. ასეთ აფორიაქების დროს წითელი გუნდი ხშირათ ცხენებსაც კი იგდებდა ხელში დავლათ, ხოლო უფრო ხშირათ თოფებს.

საქმე იქამდე მივიდა, რომ მთავრობას ეჭვი შეეპარა შავი რაზმის ძლიერებაში და მათ დასახმარებლათ ყაზახთა ასეული გამოგზავნა. ჯოჯოხეთს ერთი მუგუზალი აკლდა და ისიც მიუმატესო, რომ იტყვიან, ასე დაემართა ზემო ქართლს. ახლა ყაზახებმაც დაიწყეს თარეში და, რასაკვირველია, უფრო უხეშათ და უფრო ველურათ: რომელ სოფელსაც ისინი ესტუმრებოდენ, იქ აღამაჰმად ხანის ამბავი ზღაპრად ეჩვენებოდათ. და ზ. აბდუშელიშვილის „განმათავისუფლებელი“ რაზმის წყალობით ნამდვილი ჯოჯოხეთის ცეცხლი დაინთო ქართლში.

შავი რაზმი საგონებელში ჩავარდა. აშკარა იყო ამ ბრძოლაში ის თანდათანობით ნადგურდებოდა. ნითელი რაზმი ხელმიუწდომელი მონინააღმდეგე იყო. ამიტომ მან ტაქტიკა შეცვალა: მთელი შემადგენლობით რაზმი ბანაკში ჩაკეტა და პატარა გუნდებით თითონაც პარტიზანულ ბრძოლაზე გადავიდა. კიდევ მეტი, მან შექმნა ტერორისტული ჯგუფი, გაიჩინა ჯაშუშები ნითელ რაზმელების სავალი გზების გასაგებათ, სადაც მათ თავის ტერორისტებს უსაფრებდა ღამღამობით და თუ ვინმე ხელთ ჩაუვარდებოდა, მუხთლათ კლავდა. ერთი ასეთი ღალატით მათ მოახერხეს თვით რაზმის სარდლის – ვანო

ცაბაძის მოკვლა. მუხთლათ მოკლეს ვანო, რომლის კეთილშობილებას, როგორც მებრძოლისას, შემდეგში თითონაც აღიარებდენ, ვანო, რომელმაც არა ერთი და ორი თავადის ოჯახი გადაარჩინა ანიოკებას, არა ერთი და ორი თავადი გაუშვა უვნებლათ, როცა ისინი სრულიათ უმწეონი ჩაუვარდებოდენ ხელში ნითელ რაზმს.

შავი რაზმის მუხთალმა ტაქტიკამ ნითელი რაზმი აიძულა თითონაც მკაცრი საშვალებები ეძებნა. მათაც შექმნეს მფრინავი რაზმი და შავი რაზმის ნევრების მიმართ ტერორისტული აქტები დაიწყეს. ერთ ასეთ რაზმს თითონ ვ. დეისაძე ხელმძღვანელობდა. ბოლოს მთავრობის ჯაშუშებმა, რომლებიც შავი რაზმის ჯაშუშებთან პარალელურათ და მათთან შეთანხმებით მოქმედებდენ, ნითელი რაზმის მფრინავ გუნდების საიდუმლო ბინებს მიაკვლიეს და ხელთ იგდენ ვ. დეისაძე თავის მარჯვენა ხელით – პაპა მოსიაშვილით*.

ამის შემდეგ რაზმს სათავეში ჩაუდგა გ. გომარელი (თურმანიძე), მაგრამ დიდხანს აღარ უარსებია: რადგან მათ სალიკვიდაციოთ მოსული ყაზახები, თუმცა მათ ვერას აკლებდნენ, სოფლებს დიდ ზარალს აყენებდენ. გადაწყვიტეს გასულიყვენ რაიონიდან. ერთი მათი ნაწილი თვით გიორგის მეთაურობით ჭიათურაში ჩამოვიდა, სადაც მაღაროებში სამუშაოზე მოვაწყვეთ, ზოგი თბილისში შეეხიზნა და სხვა.

ასე დაათავა თავისი გმირული არსებობა ქართლის ნითელმა რაზმმა. უთანასწორო ბრძოლაში ორი ვეშაპის წინააღმდეგ ის დაიმტვრა, მაგრამ არ გაღუნულა, ფიზიკურათ დაინგრა, მაგრამ მორალურათ გაიმარჯვა. სამაგიეროთ შავი რაზმი დამარცხდა არა მარტო ფიზიკურათ, არამედ კიდევ მეტათ მორალურათ.

უნდა ვიფიქროთ, რომ 90-იან წლების რუსეთის სტუდენტთა შორის აღზრდილ და მის დემონსტრაციებს გავლილ ზ. აბდუშელიშვილს მართლაც და მხოლოდ ქართლელ მემამულეთა ღალების გამტკიცების სურვილი ვერ აღაფრთოვანებდა იმ ენერგიისა და ბეჯითობის გამოსამჟღავნებლათ, რაც მან გამოიჩინა ამ რაზმის

---

* პ. მოსიაშვილი 1905 წლამდე ადრე მეტეხში მოხვედრილა სისხლის სამართლის საქმეზე. იქ გაცნობია ჩვენ მოძღვრებას. 1905 წ. ზამთარში მეტეხიდან გამოქცეული, გაზაფხულზე ნითელ რაზმს შეუერთდა და მისი საუკეთესო ნევრი იყო. ვანო და ის კატორღაში გაგზავნეს, საიდანაც ერთჯერ კიდევ გამოიქცა, მაგრამ ისევ დაიჭირეს და 8 წლის მიმატებით უკანვე გაგზანეს. თებერვლის შემდეგ ის ჯანსაღი დაბრუნდა, ხოლო ვ. დეისაძე უკვალოდ დაიღუპა.

გარშემო. რასაკვირველია, ის შორს იყო ჩვენში გამეფებული სოციალიზმიდან და დემოკრატიზმიდანაც, ის მონარხისტი იყო, მაგრამ ყველა მისი ნაცნობები ამბობდენ, რომ ის იყო ამაყი ქართველი პატრიოტი, თუმცა ავანტიურისტი, მოქეიფე და კრივისტი. მე მჯერა რომ მას დიდი ფანტასტიური სურათები უტრიალებდა თავში ამ რაზმის დაარსების დროს, მაგრამ რაზმის შემადგენელ ელემენტებს კი თავში უტრიალებდა საფრთხეში ჩავარდნილი ღალა. ალბათ ამიტომ იყო, რომ ზურაბსა და მის ქმნილებას შორის თავიდანვე შავი კატის ლანდი გამოჩნდა და რამდენათ უფრო ახლოს ხვდებოდა ეს რაზმი გლეხთა მოძრაობას, იმდენათ უფრო რეალურ სახეს იღებდა, ხოლო მკაცრ შეტაკებების პროცესში ლანდი უკვე ცოცხალ კატათ იქცა და ზუბიკოც გაიქცა. ამის შემდეგ თუ ამავე დროს რაზმიდან წავიდა თავის ამალით გიორგი ამილახვარი და ყველა შორიახლოდან მოსული მისი ნევრებიც.

ერთი სიტყვით შავი რაზმის უმრავლესობა დაიშალა. დანარჩენი ადგილობრივი, უმთავრესათ ს. ავლეველი მემამულენი თავის პირველ ყოფილ მდგომარეობაში, ასე ვთქვათ, ისევ გატეხილ ონჯაროს ნინ დარჩენ. ვინაიდან ამ დროს ნითელი რაზმი უკვე დაშლილი იყო, მათ წასულთა დანაკლისი თითქოს არც იგრძნეს, უფრო გათამამდენ და გავიდენ სოფლათ ღალების და სხვა გადასახადების საერთო ძალით ასაკრებათ. პური დიდი ხნის აკრეფილი იყო, სიმიდი იკრიბებოდა, მაგრამ გლეხები ჯიუტათ ადგენ თავისას და ნებით არას იძლეოდენ, ხოლო ძალას ყოველთვის ქრისტიანულათ არ ეგებებოდენ. წართმეულის წასაღებადაც თავადებს მეურმეობა-დამტვირთველობა თვით უნდა ეკისრნათ, გლეხს ვერსად ხარებს ვერ შეამბევინებდენ. მემამულეები მაინც თავისას არ იშლიდენ და დათარეშობდენ. მათი თავაშვებულება იქამდე მივიდა, რომ გადაწყვიტეს თავისი ცდები იმერეთშიაც გადაეტანათ. მთაზე, საჩხერის რაიონის საზღვარზე, მათი საბალახოებით და ტყით სარგებლობდენ კორბოულელი გლეხები და აი ისინი აქაც ავიდენ, საძოვრებზე საქონელი დაიჭირეს, ტყეში გლეხებს იარაღები და ხარები წაართვეს და ასე აწიოკებდენ. გლეხებმა მიმართეს დასახმარებლათ საჩხერეს.

იმ დროს საჩხერეში ჩვენი პარტიული რაზმი უკვე მოწყობილი იყო და გლეხებსაც ამ რაზმისთვის მიემართათ. ბევრი რაზმელი იმ მომენტში ახლოს არ იყო, ხოლო დახმარება დაუყოვნებლივ იყო

საჭირო, სანამ შავი რაზმი მოასწრებდა მთელი სოფლების საქონლის ქართლში გარეკას. ამიტომ ვინც სახელდახელოთ ხელში მოხვედრია, შეუკრებია რაიონის თავმჯდომარეს ლავრენტი გძელიშვილს, თვით ჩადგომია სათავეში და გაქცეულან კორბოულისაკენ. ნასვლის დროს მას შეტმასნებიან რამდენიმე გამოუცდელი (და ცოტა საეჭვო) ელემენტები, რომელთათვისაც ლავრენტის თოფები მიუცია. ამ დროს საჩხერეში ასულა დაუვინყარი ამბ. სოლომონ ლომთათიძე, რომელიც თან ნაყოლია. სულ ოცამდე კაცი წასულან, შავი რაზმი კი ამ დროს 50 კაცამდე იყო და ყოველთვის ერთათ დადიოდა.

საჩხერის რაზმმა გულ-ამოგლეჯით გაირბინა სოფლები, ავიდა მთაზე და ერთ მოყუდროებულ დუბეში გადაადგა შავი რაზმის ბანაკს. მათ კორბოულელების უშობელი დაეკლათ და დიდი ცეცხლი გაეჩაღებიათ, სანადიმოთ ემზადებოდენ. ლავრენტი შეუმჩნევლად ჩაიპარა ფერდობზე, რომლის ქვემოთ ახოს გატეხის დროის გძელი ხეები იყო და იქით სხტე* იყო. ლავრენტიმ ამ სხტეს აქეთ ხეების გასნვრივ გაამწკრივა თავის რაზმი და შესძახა შავებს: დააგდეთ ბანაკი და გატაცებული პირუტყვნი და გაილალეთ აქედან, ან არა და ჩვენ შორის მოციქული ტყვიებიაო. ამის შეძახება და შავები ადგილიდან მოსხლტენ და სროლით გაიშალენ. შეიქნა საშინელი ღრიალი ბერდანებისა. ლავრენტის ახალ შეძენილ რაზმელებს ამ სროლამ თავი დაურეტიანა, წამოვარდენ საფრებიდან და გამოიქცენ ამოღმა, ფერდობზე, რითაც საშუალება მისცეს შავებს ისინი ადვილათ დაეხვრიტათ (ორი მკვდარი, ერთი დაჭრილი). ამან საჩხერის რაზმი ვერ გატეხა. ესენი მხოლოდ უფრო განზე გაიშალენ აქეთ-იქით და განაგრძობდენ სროლას. ცენტრში ერთიმეორეს პირდაპირ მოხვდენ შავი რაზმის მაშინდელი ბელადი ვასკა ფალავანდიშვილი და ლავრენტი გძელიშვილი. ვასკა სახელგანთქმული მსროლელი იყო და ჩქარა ლავრენტის ორი ტყვია მოახვედრა. ერთმა ტყვიამ მას მარცხენა გვერდზე გაუარა, გვერდის ნეკნებიდან ხორცი სავსებით გადააფხიკა, მაგრამ ძვლები გადარჩა; მეორე ტყვია კი ზედ მარცხენა ძუძუზე მოხვდა, მაგრამ... აქ სინამდვილეში განმეორდა ის, რაც აკაკის პოეზიაში, „პატარა კახში", აქვს აწერილი ერეკლეს გულის ხატის შესახებ. ლავრენტის ერთი დიდი ჩუგუნის საათი ქონდა. ყველანი ამ საათს

* სხლტე – კბოდე, მდინარისპირა ციცაბო ადგილი (რედ.).

დავცინოდით. ვინ კორჩიოტას ვეძახდით, ვინ ვირის ფლოქვს და ვინ რას. ეს საათი მას გულის ჯიბეში ქონდა ყოველთვის დიდი ყაითნით ყელზე გადაკიდებული. და აი, ვასკას ბერდანის ტყვია სწორათ ამ საათს მიხვედროდა. საათის მეხანიზმი ამოსრესილ-დაბეგვილი იყო, თვით ჩუგუნის წინა სახურავი დაჭყლეტილი, ხოლო ლავრენტი უვნებელი. მესამე ტყვიის მოხვედრება კი ვასკას აღარ დასცალდა: ლავრენტიმ მას ტყვია გაარტყა სწორეთ მარჯვენა ხელში. ტყვია გვერდით გაკვროდა ვასკას პატრონებს, რაც მას მარცხენა ხელის თითებში ქონოდა აჩურჩხლული. ამავე ხელში ეჭირა სასროლათ მომზადებული თოფი, შემდეგ მოხვედროდა მარჯვენა ხელის კუნჩხს, ჩახმახზე რომ ედვა, ქვემოდან მაჯაში ამოსულიყო და თან ამოეტანა მთავარი არტერია, რაც კინაღამ საბედისწერო შეიქნა, რომ ისევ თვით ვასკას არ ემარჯვებია და მარცხენა ხელი არ მოეჭირებია მაჯაზე სისხლის შესაჩერებლათ. შემდეგში ვასკამ თვით ამინერა ეს ამბავი. ჩემ ახლოს მყოფმა ამხანაგმა რომ დაინახა, როგორც ფანტანივით ადიოდა ზევით სისხლი, ვაიო დაიძახა და თვითაც წაიქცა. რაღა გზა მქონდა, ისევ მე მოვიკრიბე ღონეო. ამასობაში სოლომონმაც დასჭრა თავის მოპირდაპირე და გააქცია. მეორე მხარეზე დაუჭრიათ კიდევ ორი. ამის შემდეგ სროლა შეწყდა, დაფანტული შავი რაზმი ქართლისკენ წავიდა, ხოლო წითელი შეგროვდა, დაჭრილ-დახოცილები წამოიყვანა და წამოვიდა.

გლეხებმა გამორეკეს თავის საქონელი, წამოიღეს ხორციც. მაინც 10 სული საქონლის გარეკა მოეხერხებიათ. ამის შემდეგ შავი რაზმი არამც თუ იმერეთში, არამედ აღარც ქართლში ასეთ თარეშს ველარ ბედავდა. ქართლში ხელმეორეთ გაჩდენ პატარა მფრინავი გუნდები და შავ რაზმს მოსვენებას არ აძლევდენ. ისინი ისევ სოფ. ავლევში ჩაიკეტენ და იშვიათად ბედავდენ „ვილაზკებს". მთავრობას კი ამ დროს თავისი სადარდელიც ბევრი ქონდა, თვით იყო ჩაკეტილი დიდ ქალაქებში.

უკვე ნოემბერი იდგა. სრულიათ საიმპერიო ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვა იყო და ჰაერი ბრძოლის სულით იუღინთებოდა. ჭიათურასა და საჩხერეშიც ბრძოლისთვის ვემზადებოდით, პოლიციის ხარჯზე რაზმებს ვამრავლებდით და ვწრთვნიდით. ამ დროს ქართლიდან გადმოვიდა ორი ახალგაზრდა დელეგატი თხოვნით – დავხმარებოდით შავი რაზმის იარაღის აყრაში და ასე ქართლის ამ ნაწილისათვის

მშვიდი ძილის დაბრუნების საქმეში. ორგანიზაციამ ეს თხოვნა შეიწყნარა და გადაწყვიტა იქ საჩხერის რაზმის გაგზავნა. გამოითქვა აზრი რაზმს ერთ-ერთი ჭიათურელი ამხანაგი გაყოლოდა და ნეს. ჩხიკვაძემ ჩემი კანდიდატურა წამოაყენა. მე უარი არ მითქვამს, მაგრამ გავაცხადე, უფლება მქონოდა ჯერ მოლაპარაკების გამართვის, მშვიდობიანი გზის ცდის, ტყვიები უკიდურეს შემთხვევაში-მეთქი. სწორეთ მაგისთვის ვაყენებდი შენ კანდიდატურას, ჩემო სოსმანდილოო*, გაიღიმა ნესტორამ.

საჩხერის რაზმი მაშინ 50 კაცისგან შედგებოდა. აქედან ქართლში წავედით 40 კაცი. გადავიარეთ ნერეთხევი** და ჩავედით სოფ. ატოცში, სადაც უკვე მზათ ქონდათ ჩვენთვის ბინა და სურსათი. დაუყოვნებლივ შეუდექით მოქმედებას. პირველათ ყოვლისა მოვისმინეთ მოხსენებები ადგილობრივ ამხანაგებისაგან, ხოლო მეორე დღეს რამდენიმე უიარაღო რაზმელები დაიფანტენ სოფლებში მდგომარეობის სავსებით შესწავლის მიზნით. თითონ ატოცში მეც ხალხში ავერიე და გლეხებთან და თვით ვაჭრებთანაც კერძო საუბარში ვეცნობოდი ხალხისა და შავი რაზმის ურთიერთობას. ხალხი, ატოცელი ვაჭრებიც კი, აღტაცებით შეხვდენ ჩვენ ჩასვლას. იქნებ მოეღოს ბოლო ამ ჯოჯოხეთურ ცხოვრებასო... ასევე მოეწონათ ჩემი აზრი მორიგებით საქმის გათავების შესახებ. ის იყო ორი მოხუცებული ავარჩიეთ კიდეც მოციქულებათ, რომ მოხდა ამბავი, რამაც საქმე გაართულა.

სოფ. ავლევში თურმე ცხოვრობდა ამირეჯიბის ქალზე ჩასიძებული თავადი, რომლის გვარი არ მახსოვს. ის უკვე გადაცვლილი იყო. დედას დარჩენოდა ერთადერთი ვაჟი, 25 წლის ყმანვილი. ამ ახალგაზრდას იმ დღეს, წინააღმდეგ ყველას აზრისა, კამეჩები შეება და ხაშურში ღვინო წაეღო გასაყიდათ. ღვინო გაეყიდა, საყიდლები ეყიდნა და სახლისაკენ წამოსულიყო უკვე დაღამებისას. ამაოთ უცდიდა მას მოხუცი დედა. არსად სჩანდა. დედა არ იძინებდა, წამდაუნუმ გარეთ გამოდიოდა და ყურს უგდებდა ბნელაში ფეხის ხმა თუ ისმისო. ერთი ასეთი გამოსვლის დროს მას შეუნიშნავს ჭიშკარზე მიმდგარი კამეჩები, და როცა გასულა, უნახავს მისი შვილიკოს გვამი, ტყვიებისაგნ დაცხრილული, ურემზე დაკრული. ცხადია, რა განწყო-

---

* სოსმანდილი – ტლუ, გაუთლელი კაცი (ზემო იმერული დიალექტიზმი) (რედ.).

** უნდა იყოს „ჭერათხევი" (რედ.).

ბილება შეიქნა ავლევში. ამის გამო არავინ არ დათანხმდა, არც ვაჭრებიდან, მოციქულობას. მაშინ მე გადავწყვიტე თითონ ნავსულიყავ. რაზმი გადაჭრით ნინააღმდეგი იყო, მაგრამ მე არ დავიშალე და ორი რაზმელის – გრ. ნერეთლისა და სანდრო მეტონიძის თანხლებით წავედით ავლევში.

სოფლის ბოლოზე ერთ ქართლელ სომეხს დუქანი ქონდა. მას ვსთხოვეთ ეცნობებია თავადებისთვის, რომ ჩვენ გვსურს მათთან მოლაპარაკება და გადავეცით ჩვენი გვარები. ათიოდე წუთის შემდეგ მედუქნესთან ერთად ჩვენთან მოვიდა ოთხი თავიდან ფეხებამდე იარაღში ჩამსხდარი ახალგაზრდა ვაუკაცი (ჩვენ უთოფოთ ვიყავით რევოლვერების ამარა). სალამი მოგვცეს და გვითხრეს უფროსები გთხოვენ, თუ სამოყვროთ მობრძანებულხართ, შინ მობრძანდით და აქ მოვილაპარაკოთო. ჩვენ გავყევით, მიგვიყვანეს ერთ-ერთი თავადის – ამირეჯიბის სახლში. აქვე მოეყარათ თავი ოცამდე თავადს. ჩვენი პირველი სიტყვა იყო მწუხარების აღიარება მომხდარ უბედურების შესახებ და თხოვნა, რომ სამძიმარი გადაეცათ გაუბედურებული დედისათვის. ამ მოვლენაზევე გაგრძელდა საუბარი და მეც ამით ვისარგებლე პირდაპირ მიზანზე გადავსულიყავ. ეს მოვლენა კიდევ უფრო ამტკიცებს იმ აზრს, რომ თქვენი რაიონის მემამულეთა და გლეხთა შორისაც უნდა მოხდეს შეთანხმება, უნდა მოეღოს ბოლო სამარ განნყობილებას-მეთქი. მაგალითისათვის უთითებდი საჩხერის რაიონზე. აღმოჩნდა, რომ ავლევშიაც მომწიფებული იყო ეს აზრი, მაგრამ იმედი არ ქონდათ, ერთობ შორს წავიდა ჩვენ შორის მტრული განნყობილებაო. მე ვამტკიცებდი, რომ ამის გადალახვა შეიძლება, საჭიროა მხოლოდ გულახდილათ შეხვდეთ ერთმანეთს ორივე წოდება-მეთქი.

ბევრი საუბრის შემდეგ გადანყდა ასეთი შეხვედრა მომხდარიყო. ამ მიზნით დავიბარეთ გიორგი გომარელი და სხვები და მეორე დღესვე უკვე მოხდა პრინციპიალური თანხმობა. ორივე მხრით გადანყდა შეგვეკრიბა კანონიერი წარმომადგენლობა ყველა სოფლიდან, რომელიც დაამტკიცებდა მემამულეთა და გლეხთა შორის ხელშეკრულებას. ამის გამო საჩხერის რაზმის ყველა წევრები სათითაოდ თითო ადგილობრივ ახალგაზრდასთან ერთად დაიფანტენ სოფლათ, რომ გლეხთა კრებებისათვის განემარტათ ხელშეკრულების პროექტი და აერჩევნებიათ რწმუნებული. მე კი ს. მეტონიძის თანხლებით წავედი გორში იქაურ პარტიულ კომიტეტთან მოსალაპარაკებლათ. გორ-

ში შემთხვევით იმ დღეს კრება ყოფილიყო კომიტეტის და რიგს გარეშე მოისმინეს ჩემი მოხსენება. კრების უმრავლესობა უნდობლათ შეხვდა შავრაზმელებთან მშვიდობიანათ საქმის გათავების შესაძლებლობას. მათაც ეს კითხვა დღის წესრიგში ქონოდათ და გიორგი მაჩაბელი ცხინვალში ნასულიყო რაზმის შესავსებათ ავლევის განიარაღების მიზნით. მაგრამ ს. კეცხოველის სიტყვამ, რომელიც სავსებით ჩემ აზრს დაადგა, გავლენა მოახდინა და დაადგინეს თანხმობა, მხოლოდ ჩვენ არ ჩამოვერევით, თქვენ გაათავეთო.

დავბრუნდით ატოცში. სოფლის კრებები უკვე მოთავებულიყო და რნმუნებულებიც აერჩიათ. ამიტომ დავნიშნეთ კრების დღე და რაზმი კი საჩხერეში გაუშვი, რადგან უკვე თოვა დაიწყო და მოსალოდნელი იყო მთაზე გზის შეკვრა. ჩემთან დარჩა ს. მეტონიძე და გრ. ნერეთელი. ჩვენ მოწინავე გლეხებთან ერთად ავლევში წავედით, რომ კრების დღემდე საბოლოოთ შეგვემუშავებია ხელშეკრულება. შეთანხმებას საფუძვლათ დაედო გაზაფხულზე გლეხთა მიერ წარდგენილი აგრარიული მოთხოვნილებები. პირობის ერთი მუხლი ითვალისწინებდა უკან დაბრუნებას თავადების მიერ, ვინც ამა თუ იმ გლეხისგან მეტი ჭირნახული წაიღო, ხოლო იმ გლეხების მიერ, ვისაც ჯერ არაფერი არ მიეცა, პირობის თანახმათ ანაზღაურებას. კრება შედგა კ. ამირეჯიბის* მამულში, მის ევროპიულათ მოწყობილ უზარმაზარ თავლაში. მოხსენებისა და ბევრი აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ მიიღო ხელშეკრულება და ხელი მოაწერეს ორივე მხრიდან.

ხელშეკრულების თანახმად გლეხთა ახალგაზრდობას ეკრძალებოდა იარაღით სიარული (ვინც წითელ რაზმში იყო, იარაღი რაზმის სანყობში უნდა მიეტანა), ხოლო თავადაზნაურობას იარაღი უნდა ჩაებარებია გორისა და ცხინვალის რაზმის უფროსის გიორგი მაჩაბელისთვის. ხელშეკრულება სამ ეგზემპლიარათ დაიწერა, რომელთაგანც ერთი გ. გომარელმა ჩაიბარა გორის კომიტეტისათვის. ამის შემდეგ მე პირადი სიტყვით მივმართე ორივე მხარეს, ვუსურვე, რომ ამიერიდან წოდებათა ეკონომიური ბრძოლა კულტურულ კალაპოტში დარჩენილიყო და მშვიდობიანი დამოკიდებულება არ დარღვეულიყო, რომ ორივე მხარეს მტკიცეთ შეეგნო მთავარ მტერთან –

* იგულისხმება ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე (კოსტა) ამირეჯიბი (რედ.).

რუსეთის თვითმპყრობელობასთან ბრძოლის უპირატესობა და თავის მთავარი ენერგია აქეთ მიემართა. ახალგაზრდა თავადებმა იქვე გააცხადეს სურვილი წითელ რაზმში ჩანერისა და საომრათ წასვლისა, რაზედაც მადლობით ვუპასუხე და ვურჩიე, რომ ამაზე გ. მაჩაბელს მოლაპარაკებოდენ, როცა ის ამ ცოტა ხანში აქ ჩამოვა-მეთქი.

ორივე მხარე კმაყოფილი დაიშალა. ყველაზე უფრო გახარებული იყვენ მემამულეთა ქალები, რომლებსაც არაერთი უბედური დღეღამე გაუტარებიათ ამ ზაფხულს.

ასე გათავდა ატოცის რაიონის გლეხთა და მემამულეთა ომი და მათი წითელი და შავი რაზმის არსებობა. მოლაპარაკების პროცესში ახლოს გავეცანი მემამულეთა ახალგაზდობას და გაკვირვებული დავრჩი: ნუ თუ ამ ოქროს ახალგაზდობას შეეძლო იმ შავი საქმეების კეთება, რაც მათმა რაზმმა ჩაიდინა-მეთქი!? განსაკუთრებით გამაკვირვა მათმა თავის მომყრელმა ვასკა ფალავანდიშვილმა. ის ნამდვილი ქართველი ძმა-ბიჭი, მოსწრებული და მახვილი სიტყვა-პასუხით და მეგობრობისათვის თავდადებული ვაჟკაცი იყო. ძალიან სწყინდა, რომ ჩვენ რაზმში ლავ. გძელიშვილი არ იყო. ას მანეთს დავხარჯავ, როცა იმას გამაცნობ, უნდა დაუძმობილდე, ასეთი მონინააღმდეგე ჯერ არ შემხვედრიაო. შემდეგში, რეაქციის დასაწყისში, ის თბილისში მხვდებოდა. გამიყრიდა მკვლავს მკვლავში და მიმათრევდა პროსპექტზე. კაცო, მომცილდი, მეც შავრაზმელი ვეგონები ვისმეს-თქო, ვეტყოდი. სწორეთ ამიტომო, მეტყოდა ის, ყველა „ოხრანიკებს" შენ შავრაზმელი ეგონები და ხმას არ გაგცემენ უბატონოთ, ხოლო ყველა ტერორისტებს მეც სოც.-დემოკრატი ვეგონები და აღარ მესვრიანო. იქ კიდევ ჩამცივებოდა ლ. გძელიშვილი გამაცანიო. ვაი რომ აღარ დაცალდათ. ლავრენტი მაშინ ქუთაისის საგუბერნიო ციხეში იჯდა, საიდანაც 1907 წ. ხვრელიდან გაიპარა და ბაქოში მოკვდა ბრონხიტით, ხოლო ვასკა კიდევ უფრო ადრე ვიღაც თავადთან ჩხუბის დროს (ქეიფში) თოფით მოეკლა იმ თავადის მცველ ლეკს თუ ჩეჩენს.

ზაქარია გურული.

1934 წელი.

ტამბოვი.

ჩემი მოგონება.

დავიბადე სოფ. სკინდორში (ჭიათურის რაიონი) 1878 წ. ჩემი მშობლები, თითონ უსწავლელნი, წინააღმდეგი არ იყვენ ჩემი სურვილის ასრულების სწავლის შესახებ, მაგრამ სიღარიბის გამო სკოლაში მიბარებას ვერ ბედავდენ. სოფ. პერევისაში ფართლის მოვაჭრე გ. გაჩეჩილაძეს მიმცეს 6 წლით იმ პირობით, რომ ვაჭრობასთან ერთათ ნერა-კითხვაც ესწავლებია. ჩქარა გამოირკვა, რომ ეს ვაჭარი მე ნერა-კითხვას ვერ მასწავლიდა, რადგან თვითონაც ძალიან ცოტა იცოდა, თავის ნაწერს თვითონვე ვეღარ არჩევდა. ამიტომ მე ჩემი სურვილით დავტოვე ვაჭარი და პერევისის ერთ კლასიან სამინისტრო სკოლაში შევედი. ორ ზამთარს ვსწავლობდი იქ, მეტი ვეღარ შესძლეს მშობლებმა. ამის შემდეგ ისევ იმ ვაჭართან დავბრუნდი, რომელმაც ახლა ორი წლით მიმიღო, უკვე „ნასწავლი კაცი ვიყავი". მასთან სულ 12 წელი დავყავი, ორი წელი შეგირდათ და ათი წელი ნოქრათ. იქიდან გამოსულმა 1900 წელს მეტი საშოვრობის მიზნით (მაშინდელი ნოქარის ჯამაგირი იმდენათ მცირე იყო, რამდენათ დიდი იყო მუშაობა) შავი ქვის „მოიჯარადრეობა" დავიწყე. ვიშოვნე იჯარით ერთი ძველი მაღარო, ვიყიდე რამდენიმე თუმნის იარაღები და ნაცნობ მუშების შემწეობით შეუდექი საქმეს. გამომუშავებულ ქვას, როგორც ყველა ჩემფერები, ფუთობით ვაბარებდი ჭიათურაში დიდ მრენველთ.

პარტიულ მოძღვრებას და მუშათა მოძრაობის მიზნებს გავეცანი ამავე 1900 წლიდგან გიორგი წერეთლის საშვალებით. გიორგი ჩვენში ერთი იმ ახალგაზრდათაგანი იყო, რომელთაც გვაინტერესებდა ჟურნალ-გაზეთების და წიგნების კითხვა, ყველანი გატაცებული ვიყავით ეროვნულ ლიტერატურით და შეხვედრის დროს ერთმანეთს უზიარებდით შთაბეჭდილებას. და აი გამოირკვა, რომ გიორგის სხვა ხალხთან და სხვა ლიტერატურასთანაც ქონდა კავშირი. ერთხელ ის

ნაფარსევის მაღაროებში მოვიდა ჩემთან და ლასო ხარაიძესთან და ლაპარაკში მოაყოლა ეს ამბები. ჩვენ დავინტერესდით და ბევრი ვილაპარაკეთ მუშის და გლეხის მდგომარეობაზე, ფეოდალურ, ბურჟუაზიულ და კაპიტალისტურ წეს-ნყობილებაზე, შემდეგ რევოლიუციებზე, საიდანაც თვით სოციალიზმის კარებიც შევაღეთ. ლაპარაკის გათავების შემდეგ ამოიღო ჯიბიდგან ფურცლები და გადმოგვცა, როგორც ჩვენთვის ნასაკითხავათ, ისე მუშებში ნასაკითხ-გასავრცელებლათ. ამის შემდეგ მქონდა მუდმივი კავშირი გიორგი ნერეთელთან.

1903 წელს ფორმალურათაც შევედი პარტიაში. მაშინვე ამირჩიეს იაჩეიკის მოლარეთ, ხან კომიტეტშიაც შევდიოდი.

1905 წელს მე თუმცა ქალაქის ორგანიზაციაში შევდიოდი, მაგრამ პარტიულ მუშაობას უმთავრესათ სოფლათ ვეწეოდი (ნესტორ ჩხიკვაძის ხელმძღვანელობით), რაიც უმთავრესათ გამოიხატებოდა სახელდახელო მიტინგების და კრებების მონყობაში, პროპაგანდისტების ნაყვან-წამოყვანაში და აგრეთვე სოფლათ წრეების დაარსებაში. ჩემი სოფლათ მუშაობის ამბავი დაგვიანებით, რეაქციის დადგომის შემდეგ გაიგო ხელისუფლებამ და დამინყო დევნა, რის გამოც ერთხანს ვიმალებოდი, მხოლოდ მალე გავლეგალურდი ბოქაულის თანაშემწე ილია ნერეთლის შემწეობით. ეს ილია ნერეთელი, პროგრესიულ ოჯახიდან, თვითონ ჩვენი კაცი იყო და 1905 ნელს ორგანიზაციის დირექტივებით მუშაობდა. სხვათა შორის, თავმჯდომარეობდა რაიონულ დემოკრატიულ ორგანიზაციის აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც არჩევდა სხვადასხვა საქმეებს, ასამართლებდა ქურდ-ბაცაც ყაჩაღებს.

ზემოდ დასახელებულ მუშაობის გარდა მე კიდევ ერთი დავალებაც მქონდა ორგანიზაციიდგან – არალეგალურ და დევნილ ამხანაგთა ბინებით უზრუნველყოფა, რისთვისაც აღრიცხვაზე მქონდა მთელი რიგი ბინები, მაგალითათ, ალ. ხაბულიანის, გედევან და ვასილ ფხალაძეების, ბესარიონ კაპანაძის და სხვების. ხოლო უმთავრესი, ასე ვსთქვათ, ფარული შტაბ-კვარტირა მაინც ჩემი სახლი იყო, რაშიდაც ხელს მიწყობდა ის, რომ ჩემს გვერდზე ამავე სახლში ცხოვრობდა დიდი ხნის დამსახურებული აქციზის მოხელე დიმიტრი წერეთელი. ამ სახლში ცხოვრება სახლს საიმედო ბინათ ხდიდა მთავრობის თვალში, ნამდვილათ კი ჩვენთვის საიმედო იყო. გარდა იმისა, რომ

ჩემთან თითქმის მუდმივათ ცხოვრობდა ზ. გურული, აგრეთვე არალეგალურათ მომუშავე შემდეგი ამხანაგებიც უმთავრესათ ჩემსას აფარებდენ თავს: ნიკოდიმ ბრეგვაძე, გ. ნერეთელი, შ. აბდუშელიშვილი, პ. ჯაჯანიძე, აკაკი და სარდიონ ტყემალაძეები, იულო ბერძენიშვილი, ვალიკო ბაქრაძე (ჟელეზა), ვალიკო მერკვილაძე, აკ. დალაქიშვილი და სხვები.

ერთ თვეს ჩემსას აფარებდა თავს აფრასიონ მერკვილაძე, რამდენიმე თავის რაზმელით 1906 წლის შემოდგომაზე. ამავე დროს ჩემთან იმალებოდენ ხოლმე თბილისიდგან ჭიათურაში გადმოხვეწილი ტერორისტები: პლატონ გიორგაძე (პუშკინი), გ. ლომთათიძე, ვ. ომიაძე და ბურჭულაძე.

რეაქციის დროს ჩვენ რაიონში ბნელმა ძალებმა ნამოყვეს თავი, რომლების დასაშინებლათაც შავი სია გამოუშვეს, სადაც რამდენიმე ათეული კაცი იყო ჩამოთვლილი. მათში სასიკვდილო იყო მხოლოთ ზაქარია ბარათაშვილი. ამ აქტის შესრულება გიორგაძემ მიიღო თავის თავზე. შავ სიაში შეცდომით იყო შეტანილი ერთი მდიდარი, მაგრამ პატიოსანი გლეხი ნიკო ხვედელიძე, რომელზედაც კითხვა იდგა სიიდგან ამოშლის შესახებ. გიორგაძის მხლებელმა შეცდომით ბარათაშვილის მაგივრათ ხვედელიძე აჩვენა და ასე ის შეიქნა გაუგებრობის მსხვერპლი. ამ ტერორისტთა მეორე აქტი: შორაპნისაკენ მიმავალ მატარებელში სალიეთ-რკვიას შუა, გიორგაძემ და ლომთათიძემ მოკლეს უსაშინელესი ხულიგანი რუსი ებრაელი, შორაპნის სადგურში შავი ქვის ვაგონების გადამტვირთავი პოდრიაჩიკი, რომელიც ამავე დროს საიდუმლო აგენტიც იყო და არა ერთი მუშა სოც.-დემოკრატი გაუგზავნია ციხეში.

ტერორისტთა მეორე ჯგუფმა ბურჭულაძის მეთაურობით დასჭრა ქუთაისელი ბოქაული ლორთქიფანიძე და მოკლა მისი მარჯვენა ხელი სტრაჟნიკი ჯაფარიძე ზ. გურულის დაპატიმრებისათვის. საქმე ასე იყო: 1907 წელს ქუთაისში მრეწველთა ყრილობაზე ორგანიზაციამ გაგზავნა მუშათა დელეგაცია თავის მოთხოვნილების დასაცავათ. დელეგაციას თან გაყვა ზ. გურული, რომ გარედგან გაეწია ხელმძღვანელობა. ეს გაიგო ჭიათურის ბოქაულმა კედიამ და წავიდა მის დასაჭერათ. მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, რადგან კედიას „სტრაჟნიკმა“ ასლან გოცირიძემ თვითონ გააფრთხილა ზაქარია. კედიას წასვლა და მიზანი შეიტყო კომიტეტმა და დაავალა ბურჭულაძეს ნა-

სულიყო ქუთაისში და მოეკლა კედია. მაგრამ კედია გადარჩა იმის გამო, რომ ეტლში მასთან იჯდა უცნობი მანდილოსანი და ბურჭულაძემ ბომბი ვეღარ ისროლა. რამდენიმე დღის შემდეგ ზ. გურული მაინც დაატუსაღა ბოქაულმა ლორთქიფანიძემ და ჯაფარიძემ და აი ბურჭულაძეც მათ დაესხა თავს.

ჩემი ბინით კომიტეტი სარგებლობდა კრებებისთვისაც რეაქციის ხანაში. პატარა კონსპირატიულ კრებებს გარდა აქ ხანდახან იმართებოდა დიდი კრებებიც. სხვათა შორის ერთ ასეთ კრებაზე ასეთი ინციდენტი მოხდა: მოხსენებას აკეთებდა თბილისიდგან ჩამოსული მიშა არსენიძე, მეზობლათ ერთი საეჭვო ცოლქმარი ცხოვრობდა. მათ სადარაჯოთ ჩემი ოჯახობა გავგზავნეთ, რომ მათთან ემუსაიფნა და ისინი არსად გაპარულიყვენ კრების დასასმენათ. მახლობელ გზებზე კი ჩვენი პატრულები გვეყენა, რომლებსაც, თუ საფრთხე რაიმე იქნებოდა, სტვენის ნიშნით უნდა ეცნობებინათ. კრების დროს სტვენა მოისმა, ყველამ ყურები აცქვიტეს, თვალები დაჭყიტეს. მე დავამშვიდე და ამბის გასაგებათ ახლო მდგომ პატრულ კოსტა ბრეგვაძესთან მივირბინე. გამოირკვა, რომ მეისრე მემანქანეს ანიშნებდა, მაგრამ სახლში შესვლის დროს ოთახი ცარიელი დამხვდა. მეორე ღამეს კი კრება სხვაგან მოვაწყეთ და მშვიდობიანათ ჩატარდა.

1907 წელს მე ერთგვარი მონაწილეობა მივიღე ზ. გურულის მიერ მოწყობილ ქუთაისის ციხის ხვრელის საქმეში. მან მე ნინა საჯაია გამომიგზავნა, რომ მასთან ჩავსულიყავი ქუთაისში. იქ ჩასვლისას ზაქარიამ მე ყოველივე გამაცნო და დამავალა ნაცნობ-თანამგრძნობ მრეწველთა შორის ამ საქმის საჭიროებისათვის მომეგროვებინა ფული. პირველათ მოვაგროვე და ჩაუტანე 500 მანეთი. ამავე დროს წავიყვანე ორი მუშა ხვრელზე სამუშაოთ, ერთი მოწაფე სარდიონ ტყემალაძე და მეორე შავი ქვის მაღაროს მუშა მიხაკო ჯორბენაძე. შემდეგ ზაქარიამ გამომიგზავნა ცაცა დარახველიძე, რომ კიდევ შეგროვებინა ფული; შეუგროვე და გადაუგზავნე 200 მანეთი. ხვრელის დამზადების შემდეგ პატიმრების გამოსვლის წინ-ღამით ზაქარია წავიყვანე თბილისში.

ჩემი ლეგალური და არა საეჭვო გარეგნობით (ჩოხა-ახალოხი, ნაბადი და მრეწველის მოწმობა) ორგანიზაცია სარგებლობდა ხოლმე არალეგალურ ლიტერატურის გადატან-გადმოტანის საქმეში რეაქციის ხანაში. მახსენდება ერთი ასეთი შემთხვევა: 1910 წელს პირველ

მაისობისათვის ფურცლები თბილისიდგან ქუთაისისთვისაც მოგვივიდა. ფურცლების გადატანა მე მომანდვეს. ქუთაისში ღამის 12 საათზე ჩავედი. უნდა მიმეტანა ადვოკატის ქუჩაზე ამხ. მელიტონ ბერიშვილთან. მეეტლემ ერთი საათის განმავლობაში ამაოთ მატარა აქეთ-იქით, ქუჩა ვერ მონახა. ამდენი სიარულის შემდეგ პოლიციის ქუჩაზე პოლიცმეისტერ კარაპეტას და მის რაზმს გადავეყარე (ისინი მთელი ღამე ქუჩაში დადიოდენ, რომ სამაისო ფურცლები არავის გაევრცელებინა). როცა გაჩერება მიბრძანეს, ეტლიდგან გადავხტი და ჩემი დაკარგული ქუჩა ვკითხე. ამხედ-დამხედეს, ზერელეთ გამჩხრიკეს კიდეც, აგრეთვე ზერელეთ დაათვალიერეს ეტლიც და, როცა მეტი ეჭვი ვერაფერში აიღეს, სიმთვრალე დამაბრალეს, უდროვო დროს ეტლით სეირნობისათვის სამმართველოში გამაგზავნეს. ფურცლები კი ამ დროს ეტლის გადმოსახურავში მქონდა გადადებული, რომელიც ფეხსაცმელების კოლოფით სამი წუთის წინეთ ნაბდის შიგნით ქამარზე მქონდა ჩამოკიდებული. მეეტლე ფულის მიუღებლობის გამო არ მცილდებოდა, სამმართველოდგან მეეტლის გასასტუმრებლათ გამოვედი, ქუდი და ნაბადი შიგნით დავტოვე იმ მიზნით, რომ იქნებ გარეთ აღარავინ გამომყოლოდა და მეეტლისათვის მეთქვა, კოლოფი სასტუმროში მიეტანა. მაგრამ ჩემს საწინდარს არ ენდვენ და სტრაჟნიკები გარეთ გამომყვენ. მეეტლესთან განძრახ ხმამაღალი ლაპარაკი ავსტეხე, თუ რატომ ვერ მიაგნო ქუჩა. ამ ყვირილზე ახლოს მყოფი კარაპეტა მობრუნდა და მკითხა ყვირილის მიზეზი. მიზეზათ ბრალდების გამო (სიმთვრალე) ნერვიულობა მოვიმიზეზე, რის შემდეგაც ტკბილათ მკითხა ვინაობა. მეც ორი დღის წინ ქუთაისიდგან მიღებული დეპეშა ვაჩვენე (იმ დროს მრეწველთა სიეზდი იყო და არჩევნებში მონაწილეობის მისაღებათ მიბარებდენ) და უთხარი, რომ ეკითხა გ. ზდანოვიჩისათვის და კ. აბაშიძისათვის, თუ ვინ ვიყავი. ამის შემდეგ მოატანინა მხლებელს ჩემი ქუდი და ნაბადი, გამაყოლა კიდეც ქუჩის სასწავლებლათ და ამნაირად გადავრჩი. იმ ღამეს მელიტონის ბინაზე მისვლა აღარ შეიძლებოდა (მით უმეტეს პოლიციის ქუჩასთან ახლოს აღმოჩნდა ეს ქუჩა) და ფურცლებიც ჩემი ქვისლის, ვ. ნოზაძის ბინაზე ნავიღე. დილას კი გათენებისას მიუკაკუნე მელიტონის ბინის კარებს. ფურცლები იმავე საათში სრულიათ შეუმჩნევლათ გავრცელდა ქალაქში, როცა ღამე ყიალით მიქანცულ კარაპეტას და პოლიციელებს უკვე ეძინათ. ადვილი ნარმოსად-

გენია, როგორი იყო მათი განცვიფრება-აღშფოთება და მელიტონის და ჩემი სიცილ-სიხარული ბულვარში.

მე მავალებდა აგრეთვე ორგანიზაცია დატყვევებულ ამხანაგებ-ის საქმის მონყობას (ნაცნობი მოხელეების საშუალებით მათი საქმის გაგებას, მათთან კავშირს და საჭიროებისდა მიხედვით მოწმეების შოვნას და სხვა). ერთი ასეთი მაცადინეობის შედეგი იყო სხვათა შორის ზ. გურულის განთავისუფლება 1910 ნელს, როცა ის ბაქოში დაატყვევეს, ჩამოიყვანეს ქუთაისის ციხეში და ნაუყენეს ბრალდებათ მთელი რიგი საქმეებისა: ჭიათურის წითელი რაზმის მოწყობა, პოლიციის განიარაღება, ტენგინის პოლკის ორი როტის განიარაღება და სხვა. იმის გამო, რომ მასთან საჩქაროთ გავაბი კავშირი და შესაძლებელი შეიქნა მისი და მოწმეების ჩვენების შეთანხმება, პროკურორი იძულებული შეიქნა საქმე მოესპო. ამ საქმეში გვეხმარებოდა ზაქარიასთან ნერილობით თუ სიტყვიერად ცნობების მიტანმოტანაში ციხის მღვდელი ლავრენტი დევიძე. მოწმეებათ იყვნენ: საჩხერის მომრიგებელ-შუამავალი თ. ანაპოდისტე მაჩაბელი, მაზრის დეპუტატი იასონ ქადაგიძე და ჩვენი ამხანაგები – ნატაშა სიხარულიძე, ს. ფაღავა, ალ. ხაბულიანი და სხვები. უმთავრესათ აღსანიშნავია მოქმედება თვით გამომძიებელ როტმისტრ რუდენკოსი, რომელიც ძალიან პროგრესიული კაცი გამოდგა, რის გამო მასთან ადვილათ შევძელით მოლაპარაკების გამართვა ჯაფარიძის ქალის საშვალებით.

აგრეთვე უნდა აღვნიშნო თარჯიმან კირიევის (ტომით ბათომელი ბერძენი) თანამგრძნობი მოქმედება: ზოგიერთ მოწმეების უნებლიეთ წამოცდენილ საქმისათვის საზარალო ჩვენებებს თვითონ ასწორებდა. გამოძიების დროს ჭიათურაში ბოქაულის თანაშემწე ვალოდია კუხალეიშვილმა კითხა რუდენკოს, თუ რა მოელოდა გურულს. რუდენკომ უპასუხა, ორ კვირაში აქ იხილავთო. რუდენკომ არამც თუ მარტო ზაქარია გაანთავისუფლა, არამედ ამავე ბრალდებებით არალეგალურ მდგომარეობაში მყოფი ტერ. წერეთლის და ნესტორ ჩხიკვაძის საქმეებიც მოსპო და ისინიც გაალეგალურა.

ბოლოს უნდა აღინიშნოს ჩემი მონანილეობა სახელმწიფო დუმის არჩევნებში. პირველ, მეორე და მესამე დუმის არჩევნების დროს მე ამრჩევლათ არ ვყოფილვარ, რადგან მამა ცოცხალი მყავდა და ამის უფლება არ მქონდა, მხოლოთ საზოგადოებიდგან სამაზრო რწმუნებ-

ულათ კი ვიყავი და ამასთანავე ყველა არჩევნებში ვასრულებდი პარტიის დავალებას: სოფლებში არჩევნების ორგანიზაციის მონყობა ჩვენი რწმუნებულ ამრჩევლების გასაყვანათ. მეოთხე დუმის არჩევნებში კი პირადათაც ვიყავი ამრჩევლათ. ეს არჩევნები განსაკუთრებით სამახსოვრო დარჩა იმ მხრივ, რომ ერთის მხრივ მთავრობამ არაჩვეულებრივ და უხეშ ზომებს მიმართა ჩვენი პარტიის დასამარცხებლათ და მეორეს მხრივ ჩვენს წინააღმდეგ შეერთდენ ყველა პარტიები თავიანთი წრიდგან დეპუტატის გასაყვანათ. სხვანაირათ არ შეიძლებოდა: მთავრობაც და პარტიებიც მიხვდენ, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის დამარცხება შეუძლებელი იყო, მით უმეტეს, რომ დეპუტატ გეგეჭკორსაც ამ დროს უკვე დიდი სახელი ქონდა. ამის დასამტკიცებლათ საკმარისია მოვიყვანოთ შემდეგი მაგალითი: ერთ თავადის ოჯახში შეკრებილთ ლაპარაკი ქონდათ არჩევნებზე. ამ შეკრებულებაში იყო გენერალ ჩოლოყაშვილის ქვრივი ნინო, აბლოხან დაბრუნებული პეტროგრადიდგან, რომელმაც მოსაუბრეთ ასე მიმართა: როცა მე მესამე სათათბირო დუმის დეპუტატათ გეგეჭკორის არჩევა გავიგე, რამდენიმე კვირის განმავლობაში თვალზე ცრემლი არ შემშრობია, ვფიქრობდი, ნუ თუ ისე დაკნინდა ქართველი ერი, რომ მეტი კაცი არა ყავს და ვიღაც საზოგადოებისათვის უცნობი ახალგაზრდა სტუდენტი მეგრელი აირჩიეს მეთქი. მაგრამ როდესაც პეტროგრადში პირველათ სახ. სათათბიროში მე მისი ლაპარაკი მოვისმინე, და ისიც ვცანი, თუ რა გავლენა მოუპოვებია მას პეტროგრადის არისტოკრატიულ წრეებში, მაშინ ვსთქვი, რა უჭირს იმ ერს, რომელსაც საზოგადოებისათვის ჯერ სრულიათ უცნობი ასეთი ახალი ძალები გამოყავს საზოგადო ასპარეზზე მეთქი. კიტა ჩვენია, ამიტომ დაგეთანხმებით მხოლოთ კიტას გაყვანაში, მაგრამ მე მწამს, რომ კიტას ვერ გავიყვანთ და ჩემი თხოვნა იქნება, ნუ მივცემთ ჩვენს თავს იმის ნებას, რომ პარტიულ ჟინიანობისთვის გეგეჭკორის ადგილზე ვინმე სხვა გაუშვათ ჩვენი წრიდგანო. რა თქმა უნდა ეს რჩევა-დარიგება დარჩა მხოლოთ ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა და მათ თავიანთი ძალები მაინც აამოძრავეს ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ კიტა რწმუნებულათაც ვერ გაიყვანეს.

წინა არჩევნების დროს თ. დავით ლეონიძე სარგებლობდა მემამულეების ნდობით, ირჩევდენ ამრჩევლათ და ის ყოველთვის ჩვენ გვაძლევდა ხმას. მაგრამ ეს გაუგეს და მერე ნდობა დაკარგა.

ახალ არჩევნების დროს მემამულეების და სოციალისტ-ფედერალისტების წინააღმდეგ, ჩვენი პარტიის სასარგებლოთ აშკარათ გამოვიდა მხცოვანი მგოსანი აკაკი ნერეთელი, რომელიც დაეპირდაპირა კიტას კანდიდატურას, მაგრამ ხალხმა ორივე გააშავა. წინა არჩევნების დროს გლეხთა რწმუნებულების არჩევნებში სხვა პარტიებს თავიანთი კანდიდატი არ წამოუყენებიათ; მეოთხე დუმის არჩევნების დროს კი ესერებმა განსვენებულ ალ. გაფრინდაშვილს დაუდგეს ყუთი, მაგრამ ხალხმა ის გააშავა და მე ამირჩია. შორაპნის მაზრიდან მთელი გლეხობა ორ ამრჩეველს გზავნიდა მხოლოთ, ერთი მუჭა მემამულენი კი ოთხ ამრჩეველს. გლეხებიდგან აგვარჩიეს მე და განსვენებული არჩილ არაბიძე, მემამულეებიდან თ. პეტია ნერეთელი, ილიკო და ალუა (ალექსანდრე) აბაშიძეები და იოსებ გუნცაძე. თუმცა დ. ლეონიძე და ა. ნერეთელი არ აირჩიეს მემამულეებმა, მაგრამ ეხლაც ორი მათი კანდიდატი – პ. ნერეთელი და ალ. აბაშიძე – ჩვენი მომხრე აღმოჩდნენ.

როდესაც მთავრობა დარწმუნდა, რომ ვერც ეს დამახინჯებული საარჩევნო კანონი იხსნიდა მათ ჩვენი ხელიდგან, ეხლა სხვა ზომებს მიმართეს ჩვენი პარტიის დასამარცხებლათ. მთავარი ზომა იყო არჩეულ ამრჩევლების ხმის გაუქმება. მაზრებში ამ მხრივ ვერაფერი დაგვაკლეს, მაგრამ გააუქმეს ქუთაისის პირველი არჩევნები და ასე საშუალება მოგვისპეს ევ. გეგეჭკორის კანდიდატურის დეპუტატათ წამოყენების. მეორე არჩევნებზე ქუთაისიდგან გავიყვანეთ განსვენებული ლეო ნათაძე და გვიხაროდა, რომ ისეთ ძალას ვაგზავნიდით, რომელიც ისეთსავე სახელს დაიმსახურებდა საზოგადოებაში, როგორც სხვა მისი წინა მოადგილე ჩვენი დეპუტატები. გაასაჩივრეს ლეოს არჩევნებიც. საქმის გარჩევა განზრახ გააჭიანურეს, რომ მესამე არჩევნები ველარ მოგვესწრო.

დაინიშნა დეპუტატთა არჩევნები. ჩავედით ქუთაისში, ლეოს საქმე კიდევ არ იყო გათავებული. არჩევნების წინა ღამეს პირველ საათზე გამოიტანეს განაჩენი, რითაც გააუქმეს ლეოს ხმაც. დაიმედებული იმით, რომ ქუთაისიდგან გვეყოლებოდა სადეპუტატო კაცი, მაზრებში აღარ შევცდილვართ ასეთის გამონახვა-არჩევისათვის, თორემ შეიძლებოდა გამონახვა და გაყვანაც, მიუხედავათ ქუთაისის სამი ამრჩევლის ხმის გაუქმებისა. როგორც მახსოვს სულ 33 ამრჩეველი იყო ქუთაისის გუბერნიიდგან: 17 მემამულეებიდგან, 12 გლეხე-

ბიდგან, 3 ქალაქ ქუთაისიდგან და 1 ქალაქ ოზურგეთიდგან. ჩვენ სულ უნდა გვყოლოდა 16 კაცი პარტიული (რომელსაც რამდენიმე კაცი მემამულეებიდგანაც გვემატებოდა, თუ სადეპუტატო კაცი გვეყოლებოდა), მაგრამ ერთი ხმა მოგვაკლდა გამყიდველ ფრუიძის სახით (ლეჩხუმის მაზრის გლეხობამ აირჩია ძველი სოც.-დემოკრატი გლეხი ფრუიძე სრული იმედით, რომ ის ჩვენ მოგვცემდა ხმას, მაგრამ ესფერ-ესერებმა შესძლეს მისი გადაბირება). ამის შემდეგ გლეხებმა ერთი აურზაური ასტეხეს, მაგრამ აღარაფერი არ გაუვიდათ. ჩვენ მხოლოდ ისღა დაგვრჩა, რომ საარჩევნო ყუთთან მივსულიყავით, პროტესტი გაგვეცხადებინა და დემონსტრატიულად დაგვეტოვებინა საარჩევნო დარბაზი.

საარჩევნო დარბაზში შესვლამდის ამრჩეველმა თ. დავით ნიჟარაძემ გვითხრა: 9 კაცი მე დამასახელებს და დავიდგამ ყუთს, თქვენც მიიღეთ მონაწილეობა არჩევნებში, რასაკვირველია, თქვენ მეც და გელოვანსაც შავს მოგვცემთ, ამით ხმები გაიყოფა და მეც და გელოვანიც გავშავდებით, არჩევნები მეორეთ დაინიშნება, მანობამდის იქნებ ქუთაისმაც აღიდგინოს ხმა და მომავალ არჩევნებისთვის თქვენც გეყოლებათ სადეპუტატო კაციო. ამის საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი გვქონდა, შევედით დარბაზში ასეთი გადაწყვეტილებით. იმართება გაცხოველებული კამათი ჯგუფ-ჯგუფათ. ფრუიძე ჩვენს ახლოს ვერ მოდის, მან ისარგებლა ჩემი მიახლოვებით და გამომელაპარაკა, მაგრამ ჩემგან საკადრისი პასუხი მიიღო. მის დამცველათ ი. აბაშიძე გამოვიდა. ჩვენს შორის ლაპარაკი გამწვავდა და საქმეში პ. ნერეთელი ჩამოერია, მომაცილა მას, მიმიყვანა ალ. აბაშიძესთან და მითხრა: ხომ არ გამოინახება თქვენში ისეთი კაცი, რომ შეეძლებოდეს ყუთის დადგმა და ამით მაგათი სიხარული ნაადრევი გაეხადოთო. არა-თქო უპასუხე და უსიამოვნოთ ჩაიქნია ხელი და სთქვა: ბედი მაგენისო.

გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალი მიქელაძე ხსნის კრებას და ინყება სადეპუტატო კანდიდატების დასახელება (საჭირო იყო 3 კაცისაგან დასახელება, რომ ყუთის დადგმის უფლება გქონოდა). დ. ნიჟარაძეს ორი კაცი ასახელებს, გელოვანს 16 (ჩვენ ცარიელი ქაღალდები დავაბრუნეთ). ამნაირათ დ. ნიჟარაძეს არ მიეცა საშუალება ყუთის დადგმის. მივედი მასთან და ვკითხე, თუ რაში იყო საქმე და სად იყო ეხლა მისი 9 კაცი. ერთი-მეორის ყურებით მოტყუვდენ

და მე კი ყველა მათგანო. ამის შემდეგ მივედი ამხანაგებთან და უთხარი, გაგვეცხადებინა პროტესტი და გავსულიყავით გარეთ, მაგრამ ვერცერთი ვერ დავითანხმე, პარტიამ ასეთი დირექტივა მოგვცაო. რა შუაშია აქ დირექტივა, როცა საქმემ ფაქტის წინ დაგვაყენა, გავიდეთ და პასუხს მე ვაგებ მეთქი. მაგრამ ამაოთ, ვერც ერთი ვერ დავითანხმე და მივიღეთ მონანილეობა შავის მიცემით. რადგან სხვას ყუთი არ ედგა, გელოვანმა მიიღო 17 თეთრი და 12 შავი. გარეთ გამოსვლისას ევგენი და გ. წერეთელი მეუბნებიან: ჩვენ სულ უყურებდით შენ მოქმედებას, შენ მართალი იყავი, თუმცა ამხანაგები ვერ დაითანხმე. შენ მეტის გაკეთება არ შეგეძლო და ჩვენ შენი ძალიან მადლიერი ვართო. ამის შემდეგ პროტესტი გაზეთებით განვაცხადეთ.

ასე მიმდინარეობდა ჩემი პარტიაში მუშაობის საქმე 1914 წლამდი. დაჭერილი არცერთჯერ არ ვყოფილვარ, საქმე ყოველთვის მხოლოთ ჩხრეკით თავდებოდა. სამაგიეროთ ამ ნელს ციხეშიც ამოვყავი თავი. ეს ამბავი მოხდა ბაქოს დიდი გაფიცვის დროს. როგორც სხვა ქალაქებში, ჭიათურაშიდაც მუშებში და თანამგრძნობ მოქალაქეებში ფულს ვაგროვებდით გაფიცულთათვის. ორგანიზაციიდგან დავალებული მქონდა, როგორც ფულის მოგროვებაში დახმარება, ისე მოგროვილი ფულის ჩემი სახელით გადაგზავნა. ფულს ოფიციალურათ ვაგზავნიდი ფოსტის საშუალებით სახ. დუმის დეპუტატ სკობელევის სახელზე, რაც მთავრობას არ გამოეპარა და 14 ივლისს ღამის 11 საათზე მესტუმრა ქუთაისიდგან ამ საქმისათვის მოსული ჟანდარმი ადგილობრივ ბოქაულ მესხის თანხლებით. ჩხრეკამ ორი საათი გასტანა და ყველა ქართული წერილები და წიგნები წაიღეს. მე და ჩემი საბუთები გაგვისტუმრეს ადგილობრივ პოლიციის სამმართველოში რამდენიმე სტრაჟნიკით და თვითონ სხვებთან წავიდენ ასეთსავე საქმეზე. ჩხრეკის დროს ისეთი საბუთებიც ნახეს, რომ 6 წლის კატორღა უდაო იყო. მაგრამ ეს მარტო მე ვიცოდი, რადგან ჯერ მათ ის არ წაუკითხავთ. ამ დროს სტრაჟნიქებათ მსახურობდენ ძმები ბესა და სამსონი მეგრელები (გვარი მგონი როდინაიები იყვენ), რომლებიც კარგი ბიჭები იყვენ და ჩვენთან ქონდათ კავშირი. სამმართველოში მიყვანამდის გზაში ვიფიქრე, თუ ბესა არ მომეხმარა (უმფროსი სტრაჟნიკი იყო), საქმე ნაგებულიათქო. ბესა გვიანამდის ვერ ვნახე, რის გამოც ერთ მეგობრულათ განწყობილ აჭარელ მაჰმადიანს გაუტყდი. მან ვერ გაბედა და მირჩია ბესას ნახვა. ბესა მან

მომიყვანა, უთხარი თუ რა მანუხებდა და მოიტანა ჩემი საბუთები, გადააძრო დალუქული თოკი და მითხრა, ამოარჩიე საჩქაროთო. ამოვიღე 6 ცალი ასეთი საეჭვო ქაღალდი და სია უბრალო ნახევი ქაღალდებით შეავსო და შეკრა, როგორც იყო. ამ დროს ჟანდარმი და ბოქაულიც მოვიდენ და მოიყვანეს კოლ. ჯაფარიძე და ბიქ. ბაქრაძე, ისენიც ამავე ბრალდების, გაფიცულთათვის ფულების შეგროვება-გადაგზავნისათვის.

გამოგვიცხადეს, რომ პირდაპირ ქუთაისში გვაგზავნიან. ჩვენი თხოვნის თანახმად სადგურში ადრე გაგვიყვანეს, რომ იქ გვესადილებინა. სადგური ჩვენი ნახვის მსურველებით გაიჭედა, რის გამოც ჟანდარმებმა ვაგონში ჩაგვკეტეს. მატარებლის დაძვრის დროს ხალხმა ქუდების და ცხვირსახოცების ქნევით გაგვაცილეს, მიუხედავათ იმისა, რომ პირადათ ჩვენს საქმეს ეს ვნებდა. ჩვენ ნასიამოვნები დავრჩით, რადგან ამას პოლიტიკური სუნი უდიოდა. ღამის 11 საათზე ქუთაისის საგუბერნიო ციხის ერთ ნესტიან საკანში შეგვიყვანეს, სადაც ნინაღამით მოყვანილი 8 ამხ. დაგვხვდა: გ. ფალავა, ტ. გვარამია, კოლია რამიშვილი (ახალგაზრდა მარქსისტი), დ. ჩხეიძე, გ. ქუჩიშვილი, კ. ჩიქოვანი და სხვები.

მეორე დღეს საკნის გამოცვლა მოვითხოვეთ, რისთვისაც ერთი აურზაური ავსტეხეთ და გამოგვიცვალეს კიდეც. ამ სკანდალმა გუბერნატორის ყურამდისაც მიაღწია, რის გამოც მეორე თუ მესამე დღეს მოვიდა ვიღაც დიდი მოხელე და გვითხრა: თუ ციხის ადმინისტრაციამ რაიმე გაწყენინოთ, პირდაპირ ტელეფონით გამოგვიძახეთო. ჩემგან და ჯაფარიძისაგან ფულის გადაგზავნის საბუთები ხელთ ქონდათ, მხოლოთ ბაქრაძე ეჭვით იყო დაპატიმრებული. ჩემ საბუთებში ორი საეჭვო ქაღალდი კიდევ აღმოჩნდა: ერთი 1907 წელში ბაქოს მუშათა გაფიცვის ანგარიში და მოთხოვნილება რუსულათ დაბეჭდილი, რაც ამტკიცებდა იმ გაფიცვასთან ჩემს კავშირს და მეორე – მარტო მისამართი თბილისელი ერთი მუშა რამიშვილისა, რაზედაც რამდენჯერმე დამკითხეს, თუ ვინ იყო ეს რამიშვილი (გვარი რამიშვილის გაგონება თავზარს ცემდა ჟანდარმერიას). მე ყოველ წამოყენებულ ბრალდების დაკითხვის დროს პროფესიას ვიშველიებდი (ამ დროს ჩემს ბიძაშვილ იასონ ფხალაძის საამხანაგოთ მქონდა ფართლის პატარა სავაჭრო გახსნილი): რა საერთო უნდა მქონდეს ვაჭარს რევოლიუციასთან და მის ხელმძღვანელებთან-მეთქი. ასეთმა ხერხმა

მართლა შემიწყო ხელი და ერთი თვის პატიმრობის შემდეგ გამანთავისუფლეს. ასევე გაანთავისუფლეს ბაქრაძეც, მხოლოთ ჯაფარიძე თბილისის გუბერნიაში გადაასახლეს.

მსოფლიო ომის გამოცხადების გამო ჭიათურის წარმოება დაიხურა და აქედგან წავიდენ არა მარტო გარეშე ადგილებიდგან მოსული მუშები, არამედ ადგილობრივებიც, მაგალითათ, თბილისში ნავიდენ: ბიქ. კაპანაძე, ვ. ჩუბინიძე, ან. რამიშვილი, მ. ნივნივაძე, კ. ბრეგვაძე და სხვები. ამის გამო ძველი კომიტეტი დაიშალა და ახალ კომიტეტში მეც შევედი (ხშირათ ვთავმჯდომარეობდი კიდეც) და მუდმივათ ვმუშაობდი: ჯერ 1917 ნლის რევოლიუციამდის (ამ ხნის განმავლობაში ჩემი სავაჭრო დუქანი იყო თითქმის მუდმივი ბინა კომიტეტის სხდომებისათვის, სადაც დღის 2-3 საათზე ვანყობდი კრებას, რადგან ამ დროს პოლიცია სადილობდა. ღამე კი შეუძლებელი ხდებოდა კრების მონყობა, რადგან მიყუჩებულ ქალაქში ჩვენი მიმოსვლა შეუმჩნეველი არ რჩებოდა) და მერე კი 1922 ნლამდე.

ჩემი პარტიული მუშაობა რაიონის ფარგლებს – ყოველ შემთხვევაში მაზრას – არ გასცილებია (გარდა იმისა, რომ ხანდახან საოლქო კომიტეტში მხვდებოდა მისვლა ლიტერატურის გადატან-გადმოტანისათვის), რის გამოც ჩვენს ლიდერებს ვერ ვიცნობდი, გარდა მათისა, ვინც ჭიათურაში დადიოდენ არალეგალურ მუშაობა-მოხსენებებისათვის. ასეთები იყვნენ: სილიბ. ჯიბლაძე, ნოე ხომერიკი, ნოე რამიშვილი, გრ. ლორთქიფანიძე და მიშა არსენიძე. პირადათ არ ვიცნობდი და ძალიან მაინტერესებდა ჩვენი ძვირფასი მოძღვრის ნოე ჟორდანიას ნახვა. 1915 ნ. კომიტეტის თავმჯდომარეთ ვიყავი და მგოსან აკაკი წერეთლის დასაფლავების პროცესიას ვხელმძღვანელობდი ჭიათურიდგან, რის გამოც სადგურში თბილისიდგან მომავალ ამხანგებს შევხვდი, სადაც სხვებთან ერთათ ევგენი გეგეჭკორი და ნოე ჟორდანიაც მოვიდენ. ევგენი მომიახლოვდა, ნოესთან მიმიყვანა და გამაცნო. შემდეგ მკითხეს, თუ ვინ ამბობს ჭიათურის მუშების სახელით სიტყვასო. ერთი ასეთი გვყავდა ვ. მერკვილაძე და გუშინ დააპატიმრეს, ეხლა მუშა აკაკი მიქელაძე გვყავს მეთქი. ამის შემდეგ ევგენიმ მითხრა: თუ პროკოფი მესხია აქ ისევ ბოქაულათ, გამოუძახე ტელეფონზე, მინდა მასთან დალაპარაკებაო. მივედი ტელეფონთან, გამოუძახე, რომ პროკოფს სთხოვს ევ. გეგეჭკორი ტელეფონთან მეთქი. თურმე თვითონ პროკოფი მელაპარაკებოდა და მითხრა:

გრიგოლ, შენი ჭირიმე, მოახსენე ევგენს, რომ მე თვითონ ვეახლები ამ წუთში მანდო. და, მართლადაც, მალე მოირბინა გვარიანი შორის მანძილიდგან. სალამის მიცემის შემდეგ ჰკითხა, თუ რათ დაგიკავებია მერკვილაძე და შეიძლება გაუშვა, თუ არაო. ეხლავე გავანთავისუფლებ ბატონოვო. მხოლოთ მე მომიბრუნდა და მთხოვა, რომ ჭიათურაში არ ეთქვა სიტყვა მერკვილაძეს. მართლაც, მერკვილაძემ სიტყვა აკაკი წერეთელს თბილისში უთხრა, ჭიათურაში კი მიქელაძემ. მიქელაძის სიტყვა არამც თუ მარტო ჭიათურლებს მოგვეწონა, არამედ ძალიან მოეწონათ თვით ლიდერებსაც. შემდეგ ნოემ მითხრა: ეგ მუშა უსათუოთ თბილისში გამოგვიგზავნეთო. იმავე მატარებლით გავაგზავნეთ ამხ. მიქელაძე თბილისში. შემდეგ ის ჭიათურლებს აღარ დაგვიბრუნეს. მაგრამ, სამწუხაროთ, დიდი ხნის მუშაობა არც თბილისელ ამხანაგებში დასცალებია და ის იმავე წლის ზაფხულზე იქ ხოლერით გარდაიცვალა.

ამნაირათ მივატანე თავი 1917 წლის გადატრიალებამდის. ეხლა განვაახლეთ კომიტეტი, აირჩა მუშათა საბჭო და შეუდექით აღმასრულებელ კომიტეტების არჩევას. რაიონის უმეტეს საზოგადოებებში პარტიული კომიტეტის დავალებით მე და გ. წერეთელი ერთათ დავდიოდით და ვინვევდით საზოგადოების კრებებს, ვაკეთებდით მოხსენებებს, ვირჩევდით სოფლის ოცისთავებს, საზოგადოების აღმ. კომიტეტებს და სარაიონო აღმ. კომიტეტის ასარჩევათ წარმომადგენლებს.

მე თვითონ ვმუშაობდი შემდეგ დაწესებულებებში:

1) სოფლის ოცისთავი, პრეზიდიუმის თავმჯდომარე, 2) საზოგადოების აღმ. კომიტეტში, 3) სარაიონო აღმ. კომიტეტში (მოლარეთაც), 4) ქალაქის აღმ. კომიტეტში, 5) სარაიონო და ქალაქის სასურსათო კომიტეტში (თავმჯდომარის ამხანაგი), 6) სარაიონო სამხედრო კომიტეტის თავმჯდომარეთ (კერენსკის დროს დეზერტირობამ იჩინა თავი, რის საწინააღმდეგოთაც დაარსდა რაიონებში კომიტეტები), 7) რაიონის საადგილ-მამულო კომიტეტის თავმჯდომარეთ, 8) სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტში, 9) მუშათა საბჭოში (კოოპტაციით მიმიწვიეს სხვა ამხანაგებთან ერთათ), 10) პარტიულ კომიტეტში, 11) პარტიულ სამაზრო კომიტეტში. ამ ორ უკანასკნელს 1921 წლამდე შევრჩი.

ყველა ზემო აღნიშნულ ჩემ მუშაობას უნდა დაემატოს ისიც, რომ 1908 წლიდგან მე მუდმივი კორესპოდენტი ვიყავი ჩვენი პარტიულ გაზეთებისა. ვაწვდიდი რედაქციას მუშათა ცხოვრებიდგან პატარ-პატარა წერილებს და ახალ ამბებს, ჯერ მიხოშვილის და შემდეგ ზემო-იმერელის ფსევდონიმებით. ამავე დროს მონაწილეობას ვიღებ-დი გაზეთის გავრცელების საქმეში და აგრეთვე გაზეთისათვის დახ-მარების ორგანიზაციაში.

გრიგოლ ფხალაძე.
1930 წ. ნოემბერი.
ტამბოვი.

ზაქარია გურულის მოგონების გამოქვეყნების გამო.

1907 წელს ჯერ კიდევ მწვავედ მძვინვარებდა 1905-1906 წ. რეაქციის სუსხი. აქა-იქ კიდევ იყო შემთხვევები, სხვადასხვა მოტივებით, დაჭერილი რევოლიუციონერების ციხეში მიყვანამდე მკვლელობის. ქუთაისის ციხე სავსე იყო პოლიტიკურებით: ბენ. ჩხიკვიშვილი, ივ. გომართელი, კ. ქარცივაძე, დ. შარაშიძე, ლეო შენგელია* (ქიაჩელი), დ. სულიაშვილი, ა. გოგიაშვილი, თომა ჩუბინიძე და სხვები. მე ვასახელებ მათ, ვისი სახელებიც შემრჩა, მას აქეთ 44 წელიწადია. დასახელებული პირებიდან შეიძლება ორი ან სამი თუ არის კიდევ დარჩენილი, დანარჩენები, ამა თუ იმ სახით, შეეწირენ მსხვერპლად ეროვნულ თუ საკაცობრიო იდეებს.

პოლიტიკურებში საგრძნობი რიცხვი, ეგრედ წოდებული, ადმინისტრატიულები იყვენ, მათ ციხეში დიდხანს არ აჩერებდენ. ოთხი თუ ხუთი თვის შემდეგ ციხეში გაჩერებისა, ადმინისტრაცია ან ანთავისუფლებდა მათ, ანდა რუსეთის შორეულ ადგილებში გზავნიდა. ცუდი მდგომარეობა იყო იმ პოლიტიკურებისა, რომელთაც პროცესები შეუქმნეს, მათ ბრალს დებდენ თანახმად არსებული კანონისა სახელმწიფო სისტემისა და რეჟიმის დასამხობად აქტიურ ბრძოლის წარმოებაში. ამ ხალხის მდგომარეობა საშიში იყო, დიდი ხნის ციხის შემდეგ კატორღა და სამუდამო ციმბირი, თუ დახვრეტას გადაურჩებოდენ.

თავისუფლებას მოკლებული მუდამ იმაზე ფიქრობ, თუ როგორ მოიპოვო ის. ჩვენც – რა თქმა უნდა – ვცადეთ ერთხელ აბანოდან (ციხის) ხვრელის გაყვანა. სამი დღის მუშაობის შემდეგ ხვრელი აღმოაჩინეს და მომუშავენიც დაიჭირეს. რამდენიმე კვირის შემდეგ სხვაგან შეუდექით მუშაობას. მუშაობის დაწყების მეორე დღესვე ხვრელი აღმოჩენილ იქნა. გადავწყვიტეთ ხვრელის გაყვანაზე ხელი აგვეღო და თავისუფლების მოსაპოებლად სხვა გზა აგვერჩია.

---

* უნდა იყოს „შენგელაია" (რედ.)

რამდენათაც მახსოვს, თითქოს ახალი გზა აღმოვაჩინეთ და უნდა შევდგომოდით გეგმის განხორციელებას. სწორედ ამ დროს მოიყვანეს ციხეში ზაქარია გურული. გარედან შეგვატყობინეს იმ დღესვე შემდეგი: ზ. გურულს მოელის საველე სასამართლოს წინაშე ნარსდგომა, მიიღეთ ყოველგვარი ზომები, რომ რამდენიმე დღეში ციხიდან გააქციოთო. ჩვენი გაქცევის ამბავი შევაჩერეთ და შეუდექით ზაქარიას განთავისუფლების საკითხს. ხვრელზე ლაპარაკიც არ გვინდოდა: ჩვენ ის ვცადეთ, დამთავრდა მეტად ცუდი შედეგებით, სხვა გზა უნდა გამოგვენახა. ეს არც ასე ადვილი საქმე იყო, თუ ციხის ადმინისტრაციიდან არ გვეყოლებოდა ორი თუ სამი პირი ჩვენი, ასეთ ვთქვათ, ურეზერვოდ დამხმარე.

ამ ძებნაში რომ ვართ, ზაქარია აღელვებული და გახარებული შემოდის ჩემს საკანში (ზაქარია იყო ქვედა სართულის კლიტულში). „რა ამბავი, ზაქარია, რამ გაგახარა ასე?" ვეკითხები მას." „იცი თუ არა შენ, რომ ივანე (უფროსი ზედამხედველი) მე მეხმარება ციხიდან გაქცევაში, ერთი სიტყვით მას (ნადზირატელს) აინტერესებს იცოდეს, რომ შენ ამ საქმეში ურევიხარ. ივანეს გამოგიგზავნი, უთხარი მადლობა და მიეცი ეს 15 თუმანიო". ხუთი წამის შემდეგ ივანე შემოვიდა ჩემ ოთახში: „ვი იზვოლილი მენია ზვატ, გოსპადინ ასატიანი, მეკითხება ის", და „ოჩენ რად ვას ვიდეტ, დარაგოი ივან, ა ვოტ პაჩემუ ია ვას პროსილ პრიდტი კო მნე" – „ია სლუშაიუ ვას" – „ვი სეიჩას ვ როლი ჟანდარმა, ნო ი ვ ეტოი როლი ვი მოუეტე ოკაზატ ბოლშუიუ უსლუგუ, ეტუ უსლუგუ ნე ზაბუდემ, ი ბუდეტ ვრემია, კოგდა ვამ ეტო ოჩენ პრიგადიტსია" – იმავე დროს გადაუშალე 15 თუმანი. „ფულზე სცადა უარის თქმა, მაგრამ ფორმისათვის უფრო; მე თითონ ჩაუდეევი ჯიბაში". „ვი უვიდიტე ნა ჩტო ია სპოსობენ, გოსპადინ ასატიანი" – სთქვა მან. იმან უკვე იცოდა, როგორც ზემოთ ვთქვი, თუ რაში გამოიხატებოდა მისი დახმარება. ორი ზედამხედველი ივანე უკვე ჩვენს განკარგულებაში იყო, საჭირო იყო ამის აწყობა დროისა და ტექნიკურად განხორციელების მხრით.

რად აინტერესებდა ივანეს ჩემი მონაწილეობა ზაქარიას გაქცევის საქმეში? იძულებული ვარ ორი სიტყვით განვმარტო, ვინაიდან ამ შემთხვევამ ითამაშა საკმაო როლი დასახელებული მიზნის განსახორციელებლად. ექიმმა გამომიწერა აბანო, რაც უნდა მიმეღო დილ-დილაობით თხუთმეტი დღის განმავლობაში. ერთ დილას გადა-

მელობა ციხის კორიდორში უფროსი ზედამხედველი გვარად კამიშევი. ის ათავებდა თავის რიგს და ცხრა საათზე მეორეს უნდა მიელო სამსახური. – „კუდა ასატიანი?" მეკითხება კომიშევი – „ვ ბანიუ" – უპასუხებ. „ნელზია" – მიყვირის, „დოკტორ პროპისალ", – ვეუბნები, „ნაპლევატ" – გაიძახის. ერთი სიტყვით სასტიკათ შევეტაკეთ ერთიმეორეს. რამოდენიმე წუთის შემდეგ ჩემთან შეტაკებისა, მან დასტოვა ციხე. სულ ცოტა ხანში მოვიდა ამბავი კამიშევის მოკვლის შესახებ. ციხის ადმინისტრაცია, დანყებული ციხის უფროსიდან უკანასკნელ ზედამხედველამდე, მოჯადოებული დარჩენ, არ იცოდენ რა ეფიქრათ, ყველანი ერთადერთი საშინელი კითხვით იყვენ მოცულნი – „როგორ ავხსნათ", ამბობდენ ისინი, რომ ასათიანს წაეკიდა უფროსი ზედამხედველი და ნახევარ საათში ის მოკლულ „იქნა"? დასკვნა თავისთავად მოდიოდა – ეს ამტკიცებს პარტიის სიძლიერეს, მის კავშირებს, მის დისციპლინას და სხვა. მე შეტაკების ამბავი, თითქოს, გადავეცი უმალვე და მოვითხოვე უფროსი ზედამხედველის დასჯა, რაც ნახევარ საათში შესრულებული იყო. აქედან მეორე დასკვნა – ჩემდამი დიდი ყურადღებისა და პატივისცემის გამოჩენა. მართლაც, როგორც კი დამინახავდა ციხის უფროსი, ღიმილით და სასოებით მომიხდიდა ქუდს და მომესალმებოდა. დანარჩენები ხომ ფეხქვეშ მეგებოდენ. ამრიგად ციხეში უჩემოდ არაფერი არ კეთდებოდა, საკმარისი იყო ეთქვა რომელიმე ტუსაღს, თუ ზედამხედველი ავიწროებდა, ასათიანს ვეტყვიო, იმ წამსვე ბოდიშს მოიხდიდა. ჩემდამი ასეთ დაუმსახურებელ პატივს გამოყენება უნდოდა და აი, სწორედ ზაქარიას გაქცევის საქმეში ეს დიდათ გამოვიყენე.

კამიშევის მკვლელობის ამბავში არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და არც არავითარი კავშირი არ მქონდა მის მკვლელობასთან. უბრალო შემთხვევის ამბავი იყო.

დავნიშნეთ გაქცევის დღე. მახსოვს პარასკევი იყო, აგვისტო, 1907 წელი. ქუთაისის საგუბერნიო ციხის შენობაში რომ შედიხარ, მარცხნით ბიუროა ადმინისტრაციის, მარჯვნით დიდი ოთახი, მნახველების მისაღები. ეს ოთახი გაყოფილია შვაზე გრძელი ვიწრო ოთხკუთხედი ფიცრებით, დაშორებული ერთი-მეორეს რამდენიმე სანტიმეტრით, რომ მნახველმა დაინახოს მეორე მხარეზე მყოფი ტუსაღი. მნახველების მხრით მარცხნით გამოჭრილია ფანჯარასავით, რომლის საშვალებით მნახველების მიერ მოტანილ ამანათებს

ღებულობენ ტუსაღები. ამ ფანჯარასავით გამოჭრილის ორთავე მხარეზე დგანან ზედამხვედველები, ორივემ იცის, თუ დღეს რა უნდა მოხდეს. ზაქარია, თითქოს კბილის ტკივილის გამო, ყბაახვეული უკვე ამ სარკმელთან დგას ზედამხედველის გვერდით და უცდის ნიშანს. მნახველებით უკვე სავსეა ოთახი. ვინც ვიცით, თუ რა უნდა მოხდეს ამ რამდენიმე წამში, ვნერვიულობთ. ზაქარიასაც ეტყობ ძალზე დაფიქრება. განა სახუმრო საქმე იყო საჯაროდ ყველას ნინ ასეთი აქტის მოხდენა ისე, რომ საბედისწერო შედეგი არ მოყოლოდა! ყველაფერი პროგრამის მიხედვით მიმდინარეობს ჯერ-ჯერობით. როდესაც დადგა დრო ამ პიესის უკანასკნელი და უმთავრესი აქტის შესრულებისა, სწორედ ამ დროს ციხეს ეწვია ქუთაისის პოლიციის უფროსი ზუბოვი თავის ამალით. ყველამ მოიყარა თვი მნახველების ოთახში. ჩვენ სასოწარკვეთილებას საზღვარი არ ქონდა. ყველაფერი დაღუპულად მოგვეჩვენა. ნამდვილად კი ისე გამოვიდა, რომ პოლიციის უფროსის მოსვლამ დიდათ შეგვინყო ხელი, ვინაიდან ყველა ციხის მოსამსახურენი, სამი ზედამხედველის გარდა, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ ზაქარიას გაქცევის საქმეში, წაიყვანეს ბიუროში.

მნახველების ოთახში გაისმის საშინელი ყვირილი. ასეთი ყვირილით ხდებოდა მუსაიფი მნახველისა და ტუსაღის. უკვე რამოდენიმე წამი დარჩა. „სვიდანიე“ უნდა დამთავრდეს, უფროსმა ზედამხედველმა მანიშნა.ზაქარიამ მოკიდა ხელი სარკმელის ფიცრებს და აიწია გადასახტომად. მის გვერდში მდგომმა ზედამხვედველმა მიატანა ხელი და, როგორც ბურთი, ისე გადააგდო მეორე მხარეზე, ესე იგი, მნახველებში. ეს ყველამ დაინახა.ზოგს შიშით, ზოგს გაკვირვებით ენა ჩაუვარდა და დიდი სიწყნარე ჩამოვარდა. ამ მოულოდნელმა სიწყნარემ ცოტა არევ-დარევა შემოიტანა ჩვენს წრეში. ზაქარიამ, რომელიც გაფითრებული იდგა, ამოიღო რაღაც წერილი და დაიწყო კითხვა. ციხეში უბრალო წერილიც კი რომ დაგინახოს მოხელემ, მარტო ამისათვის გტაცებენ ხელს. „წერილი გადააგდე, ზაქარია“ – მივაძახეთ, რაც იმ წამსვე აასრულა. იქვე მდგომ ჩვენს ამხანაგ პელაგია ლორიას ქალს ჩავაბარეთ. მან გაუყარა ხელი მკლავში და გაკვირვებულ-გაოცებულ მნახველებთან ერთად წავიდენ ალაყაფის კარებისაკენ.

მე ამ დროს ციხის კოოპერატივში ვიჯექი და ვითვლიდი ნუთებს. თითოეული წამი თვედ მეჩვენებოდა, მაინტერესებდა უკანასკნელი

ნაბიჯი, რომლითაც ზაქარია ციხის კარებს დასტოვებდა. ამ ნაბიჯზე იყო დამოკიდებული მისი ხსნა თუ დაღუპვა და ჩვენც ეს გვაღელვებდა. ციხის კარებიდან ცოტა მოშორებით მას უცდიდენ ეტლით. მის გაქცევის შესახებ ბევრ რამეს სნერდენ: ოფიცრის ტანსაცმელში, მღვდლის ანაფორაში, ქალის ტანისამოსში და ვინ მოთვლის კიდევ, თუ რა სხვა ფანტასტიური საშვალებით გაიქცაო.

ციხიდან გაქცევამდე მან შეადგინა გეგმა, თუ როგორ და საიდან იყო შესაძლებელი ხვრელის გაკეთება. ციხიდან გაქცევის სამი კვირის შემდეგ, როგორც დაპირებული იყო, შეუდგა ხვრელის გაყვანის პროგრამის შესრულებას, რაც იმან საუცხოვოდ ჩაატარა. რევოლიუციონურ ისტორიაში ძვირად მოიძებნება ასეთი თამამი და მეტად რთული აქტი შესრულების მხრივ.

ზაქარია გურული ეკუთვნის იმ ეპოქას, რომელიც მდიდარი იყო ხალხის ეკონომიურ და პოლიტიკურ კეთილდღეობისათვის თავდადებულ მებრძოლთა რიგებით. ის ერთი საუკეთესოთაგანი იყო, გულით კეთილი, სულით წმინდა, მედგარი რევოლიუციონერი და ნამდვილი სოციალისტი.

ჭ. ასათიანი.

სამი მეგობრის ხსოვნას

(ზაქ. გურული, გრიგ. ფხალაძე და გიორ. გაფრინდაშვილი)

ამ ნახევარი საუკუნის წინ ჩვენი კუთხის გლეხობა (ზემო-იმერეთი, ჭიათურა-საჩხერის რაიონი) იმყოფებოდა მეტათ უმწეო მდგომარეობაში.

მიწის სივიწროვის გამო მისი დიდი უმრავლესობა იძულებული იყო დაემუშავებია სხვისი (მემამულეების) მიწები, რაშიდაც ის აძლევდა მოსავლის ნახევარს. მუშაობა წარმოებდა ძველი პრიმიტიული იარაღებით (სახნისით და თოხით), მიწების დანოყიერებაზეო ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. საკმარისი იყო ერთი გვალვიანი წელი, რომ გლეხი მშიერი დარჩენილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონყმობა დიდი ხნის გადავარდნილი იყო, მისი ნაშთები ჯერ კიდევ არსებობდენ ჩვენში. იყვენ ისეთი გლეხები (ეგრედ წოდებული დროებით ვალდებული), რომლებსაც ჯერ კიდევ არ ქონდათ დახსნილი თავი თავიანთი ბატონებიდან და იხდიდენ თავის შემოსავლის მესამედს თუ მეოთხედს. ამასთან ის დატვირთული იყო სხვადასხვა გადასახადებით, როგორც საერო ისე საეკლესიოთი.

მართალია გლეხის მოთხოვნილება დიდი არ იყო (ლობიო და ჭადი, რომლითაც ის ნლიდან ნლობამდის იკვებებოდა), მაგრამ ხშირათ მას ამის საშვალებაც არ ქონდა.

ის იძულებული იყო ბაზარზე გასულიყო და თავის შრომა გაეყიდა. ასეთ ბაზარი კი ჩვენში ერთადერთი ჭიათურა და მისი შავი ქვის მაღაროები იყო.

აქეთკენ მიეშურებოდა გლეხი თავისი ურმით, თავისი ცხენით და ეზიდებოდა შავ ქვას. მუშაობა წარმოებდა მეტათ ცუდ და აუტანელ ჰიგიენურ პირობებში. ნახევრად მშიერი კაცი და პირუტყვები ეყარენ შავ მტვერში. ფასები იყო მეტათ მცირე, მნონელები მათ პარავდენ

ნონაში, მოანგარიშენი ანგარიშში. მაგრამ, შედარებით, მაშინდელ პირობებში ეს კატეგორია იყო პრივილეგიური.

ბევრათ უფრო ცუდ პირობებში უხდებოდათ მუშაობა მათ, ვისაც არც ხარი ყავდა, არც ცხენი და იძულებული იყო გაეყიდა საკუთარი სამუშაო ძალა.

ასეთები მიდიოდენ მაღაროებში და მუშაობდენ იქ, როგორც დღიური მუშები (კირკაზე, ცხრილზე, ვაგონეტკებზე, თუ კაჩკებზე), მიხედვით მათი ფიზიკური ძალის და გამძლეობისა.

ვისაც არ უნახავს მაშინდელი ჭიათურის მაღაროები, ის ვერ ნარმოიდგენს იმ საშინელ პირობებს, რომელშიდაც წარმოებდა მუშაობა.

აქა-იქ ჩამონგრეული მაღაროები, ძალიან იშვიათათ ბოძები, ძირს წუმპე, ზევიდან მომდინარე წყალი, ცვივა მიწა, ქვა. არ იცი, თუ რა დროს რა დაგეცემა თავში. შორს, შორს პირველ ხაზზე დგანან ნახევრად წელში მოხრილი და თავი მარჯვნით გადახრილი გოლიათები მძიმე კირკით ხელში (ეს მუშაობა არის მძიმე და მოითხოვს დიდ ფიზიკურ ღონეს) და ებრძვიან კლდეს. თქვენ ახლოს მარცხნით ბუუტავს ნავთის ჭრაქი, რომელიც უნათებს მეკირკეს და ავსებს მის ცხვირსა და ფილტვებს ჭვარტლით. ასეთ ატმოსფერაში მუშაობს ის 15-16 საათი წელში გაუსწორებლათ. სადილობის დროს ის გამოდის იქვე მაღაროს პირთან, აიღებს ჩანთიდან ცივ ჭადს, რომელიც მან ორშაბათს სახლიდან ნამოიღო და მას შეექცევა. იშვიათად ის მას შეატანს ყველს, ან რამეს შინიდან წამოღებულს. საღამოს ის მიწვება იქვე მაღაროს პირში, სადაც მას რამოდენიმე ღერი ჩალა აქვს მომარაგებული და მხოლოდ კვირას ბრუნდება შინ, რომ სახლს მიხედოს, პირი ან ტანი დაიბანოს, შინაური საქმეები მოაგვაროს, ეცადოს საგძალი წამოიღოს და ხელახლა განაგრძოს ისევ თავისი ფიზიკური შრომა.

მუშაობა წარმოებს ხშირათ თვეობით; მუშა დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტი გააკეთოს და ამიტომ სამუშაოს აკლავს თავს და არ უნევს ანგარიშს არც თავის ძალას და არც იმ შედეგებს, რაც შეიძლება მოყვეს ასეთ მუშაობას. შედეგი: გაცივება, ანთება, ჭლექი, დასახიჩრება, ბევრი სხვა უბედური შემთხვევები, დაბოლოს სიკვდილი.

ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ჩვენ კუთხეში ასეთი გამოძახილი პოვა ახალმა მოძრაობამ, რომელიც მიზნათ ისახავდა

სოციალურ უთანასწორობის მოსპობას და მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ადვილი გასაგებია, რომ ახალი იდეები მოედვა ჭიათურის მაღაროებს და გამოიწვია არაჩვეულებრივი ენტუზიაზმი.

თვით ხალხის დაბალ ფენებიდან გამოვიდენ ენერგიული და ნიჭიერი პირები, რომლებიც გახდენ ახალი იდეების საუკეთესო მქადაგებელნი. მათი ენა ბევრად უფრო გასაგები იყო მდაბიო ხალხისათვის, ვიდრე ბროშიურის ენით მოლაპარაკე ინტელიგენტ-პროპაგანდისტებისა. საკმარისია ზოგიერთ მათგანის გვარის ხსენება, რომ დარწმუნდეთ, თუ ვინ იყვენ ეს ხალხი: გურულები, ჩხიკვაძეები, ფხალაძეები, გაფრინდაშვილები, ქამუშაძეები, გძელიშვილები, შარვაძეები, ლომიძეები, აბრამიშვილები, მეტონიძეები და სხვები. ზოგმა მათგანმა თვით მოძრაობის პროცესში შეისწავლეს წერა-კითხვა, ზოგმაც ციხეებში.

მათ შორის უდაოთ პირველი ადგილი ეჭირათ ზაქარია გურულს და ნესტორ ჩხიკვაძეს. ეს ორი პიროვნება იყვენ ნამდვილი ხელმძღვანელები და სულის ჩამდგმელნი ჩვენი კუთხის რევოლიუციონური მოძრაობისა. თუ ჩვენში ადგილი არ ქონია არავითარ ექსესებს და უკიდურესობას, ეს უნდა მიეწეროს მათ გამჭრიახობას, წინდახედულებას და არაჩვეულებრივ პასუხისმგებლობის გრძნობას. ამ ორ ადამიანში იყო რაღაც სიბრძნე, რაც ახასიათებს ჩვენ მდაბიო ხალხის ბუნებას. ისინი იყვენ მოხერხებული ორგანიზატორები და დაუფასებელი პროპაგანდისტები, დაჯილდოებულნი ბუნებრივი ნიჭით და იშვიათი ენამეტყველობით.

ზაქარიამ კარგად იცოდა როგორც გლეხის, ისე მუშის ფსიქოლოგია, რადგან გამოცადა მოჯამაგირეობა, მეურმეობა, ჩალვადრობა და მაღაროში მუშაობა. ის, გლეხი და ღარიბი გლეხის ოჯახში დაბადებული და გაზდილი, ბუნებრივი ჭკუით და არაჩვეულებრივი ორგანიზატორული ნიჭით იყო დაჯილდოებული.

1905 წლის ზამთარში, სამი თვის ციხეში ყოფნის შემდეგ, მე გაბმათავისუფლეს და გამისტუმრეს ადმინისტრატიულათ სოფელში. სნორეთ ამ დროს ინყებოდა ჭიათურაში რევოლიუციონური მუშაობა. ვღებულობდით ფურცლებს, ბროშიურებს. ჩემთან მოდიოდენ მეზობლები, იმართებოდა ბაასი, იყო დაუსრულებელი კამათი. მეზობელი აზნაურები არ იზიარებდენ თანასწორობის იდეას, აკრიტიკებდენ

ახალ იდეებს; გლეხები და მუშები, წინააღმდეგ, აღტაცებაში მოდიოდენ ახალი იდეებით.

ჭიათურიდან მოძრაობა სოფლად გადმოვიდა. გავრცელდა ხმა, რომ წითელ პარასკეობის დღეს დაბა საჩხერეში მოვლენ ერთობის ხალხი და გამოაცხადებენ მინების და გადასახადების საქმესო.

საჩხერეში წითელ პარასკეობას ქონდა ერთგვარი იარმუკის ხასიათი. ამ დღეს სოფლელებს მიქონდათ ყველაფერი, რის გაყიდვაც კი შეეძლებოდა და, ნაცვლად, ყიდულობდენ საჭირო ნივთებს აღდგომისათვის.

ამ დღეს საჩხერეს მიაწყდა მის ირგვლივ მდებარე სოფლები და იყო რაღაც არაჩვეულებრივი სურათი: ხალხი ღელავდა, მოელოდა რაღაცას, ვაჭრობა თითქმის ყველას დაავიწყდა და ყველა ხიდის გარშემო იყო თავმოყრილი. თვალები ყველას სადგურისაკენ ქონდა მიპყრობილი, ჭიათურიდან მოელოდენ ერთობის ხალხს.

ხალხში ერჩეოდა ერთი ცხენოსანი, ადგილიდან ადგილზე გადადიოდა, ხალხს მინის საკითხზე ემუსაიფებოდა. ეს ცხენოსანი იყო სოფ. სავანეს მცხოვრები ილიკო აბაშიძე, რომელიც შემდეგ სოც. რევ. პარტიაში ჩაენერა.

მოსულთა შორის იყვენ ბევრი მოწაფეებიც. ჩვენ მოვიყარეთ თავი, შევეცადეთ რევოლიუციონური სიმღერების მღერას. ხალხი აღფრთოვანებით შეგვხვდა, მოითხოვეს რევოლიუციონური ლექსები. მე შემსვეს ხიდის თავზე და მათქმევინეს ლექსები. ასე შევიყოლიეთ თავი კარგა ხანს.

ამასობაში ორთქლმავალმაც იყვირა. მოვიდენ ჭიათურელები მთელი მატარებლის შემადგენლობით. ნინ მორბოდა ხელების შლით მაღალი ჩოხიანი ახალგაზრდა; როგორც შემდეგ გამოირკვა ეს იყო გიორგი გაფრინდაშვილი. იმან აგვიხსნა მიზეზი დაგვიანებისა. ჭიათურაში ადგილი ქონია პოლიციასთან შეიარაღებულ შეტაკებას, რევოლიუციონერებს აუღიათ პოლიციის პოსტი, ყოფილა მსხვერპლი ორივე მხრივ.

ჯგუფი გაეშურა დანგრეული ბუდკისაკენ. ერთი ნაბდიანი კაცი გავიდა კედელზე და დაინყო ლაპარაკი. მას პირზე ყაბალახი ქონდა ჩამოკიდებული, მაგრამ სახე მაინც კარგად იხედებოდა. მან ახსნა მოძრაობის პრინციპები, გააკრიტიკა მთავრობა, მემამულეები და მოუნოდა გლეხობას ერთობისა და სოლიდარობისაკენ.

კრება დაიხურა და აღელვებული ხალხი დაიშალა. ეს იყო პირველი მიტინგი და ზაქარია გურული პირველი ორატორი, რომელიც მე ვნახე და მოვისმინე. მან ჩემზე მოახდინა უბრალო, მაგრამ კარგი შთაბეჭდილება.

მეორე დღეს მე დავესწარი სოფელ შუქრუთში ერთი რევოლიუციონერის დამარხვას, რომელიც პოლიციის პოსტის აღების დროს იქნა მოკლული. პროცესიას თან მოყობოდა შეიარაღებული დამცველები, რომლებსაც თოფები ნაბადში ქონდათ დამალული და რომელთაც ხალხმა ხუნხუზები დაარქვა. აი, ეს დამცველები იყო პირველი ჩანასახი ნითელი რაზმისა.

პროცესიის დროს მე ვნახე ძველი, შკოლის ნაცნობი ნიკოდიმოს ბრეგვაძე, რომელიც ჭიათურაში პროპაგანდისტის როლს ასრულებდა და მისი წინადადებით მეც ავყევი ფეხის ხმას, ჩავები მოძრაობაში, ჯერ როგორც შეგირდი და შემდეგ როგორც პროპაგანდისტი.

ინყება ახალი ხანა. აღარ არის ადმინისტრაცია, მოისპო სასამართლო.

ხალხი თვითონ ეწევა სამართალს, ყავს თავისი ადმინისტრაცია. მხოლოდ რთულ პირობებში მომართავენ ჩვენ კომიტეტს, სადაც ნესტორა ჩხიკვაძე და ზაქარია გურული ასრულებენ სასამართლოს უმაღლეს ინსტანციის როლს.

ატყდა დავა ბოლშევიკ-მენშევიკებს შორის, თითქმის ყველა პროპაგანდისტები მიემხრენ ბოლშევიკებს.

ზაქარია და ნესტორა სულ ორი თუ სამი პროპაგანდისტის დახმარებით შეებრძოლენ მათ. საჭირო შეიქნა თბილისიდგან და ბათომიდან პროპაგანდისტებისა და მუშების გამოძახება.

სხვა კუთხეებში დამარცხებულმა ბოლშევიკებმა მოაშურეს ჭიათურას. მათ მეთაურობდა ჯერ საშა წულუკიძე და შემდეგ კი თვით სოსო.

ეს მობილიზაცია გათავდა ბოლშევიკების დამარცხებით, ისინი განდევნილი იქნენ ყველა პოზიციებიდან.

დეკემბრის აჯანყების დროს საჩხერე-ჭიათურის რაზმი შორაპანში ჩავიდა, ადგილობრივ რაზმებს შეუერთდა. იქ მდგომი ჯარები განაიარაღა, წიფის ტუნელი ააფეთქა, თბილისიდან მომავალ ჯარის სანინააღმდეგოთ მოემზადა. აქ იყო თავმოყრილი ქუთაისის, სამტრედიის, ჩხარის, სამეგრელოს და ნაწილი გურიის რაზმისა.

დამსწრეთა შორის იყვენ ისეთი ვაჟკაცები, როგორც აფრასიონ მერკვილაძე, კოლია ლორთქიფანიძე, კონია ჩაჩანიძე, კონია ჩაჩუა და ბევრი კიდევ სხვა. გაერთიანებულმა რაზმმა ერთხმათ ზაქარია ამოირჩია ხელმძღვანელათ. ზაქარიამ მადლობა გადაუხადა კრებას და სთხოვა მის ადგილზე აერჩიათ არსენა ქასრაძე.

აჯანყება დამარცხდა, რაზმმა უკან დაიხია, სოფლებში დაიფანტა, იარაღები მიმალ-მომალა.

ერთ დღეს ჩემთან მოიყარეს თავი ჩვენი კუთხის ხელმძღვანელებმა. იქ იყო ზაქ. გურული, ნიკ. ბრეგვაძე და სხვები.

ვზივართ ბუხრის ნინ და ვმსჯელობთ, თუ სად წავიდეთ, თავი სად შევაფაროთ. ამ დროს გარედან რაღაც ხმაურობა ისმის, ოთახში შემოდის ჩემი მოხუცი ბიძა, უკიდურესი რეაქციონერი, ახალი მოძრაობის დიდი მოწინააღმდეგე. საბედნიეროთ ის პირადათ ვერავის იცნობს. ამ მდგომარეობით სარგებლობს ბრეგვაძე და შესჩივის ჩემ ბიძას ზაქარია გურულზე. „ბატონო, ჩვენ ყველანი იმან გაგვაბრიყვა, თან აგვიყოლია, შეგვაცდინა, თორემ, რა გვქონდა საბუნტებელი მე და შენ ძმის შვილს, ყველაფერი ეს ზაქარია გურულის ბრალია, ის დასახვრეტია". ბიძაჩემს ეს ძალიან ესიამოვნა, ბევრი იცინა და მიაშურა სახლისკენ. გადავრჩით ხიფათს.

ერთი კვირის განმავლობაში ვიმალებოდით ტყეში შეიარაღებული ხუთი კაცი (ზაქარია გურული, სანდრო მეტონიძე, აბრამიშვილი, მეოთხეს გვარი აღარ მახსოვს და მე).

უკვე სამი დღეა რაც აღარაფერი გვიჭამია, წყურვილს ვიკლავთ თოვლით.

მესამე დილას გამოგვეღვიძა ნახევარ არშინიან თოვლის ქვეშ. ვხედავთ, ზაქარია გურული ზის და რაღაცაზეა ჩაფიქრებული.

– „ამხანაგებს დავავიწყდით, შიმშილით დავიხოცებით, უკეთესია წავიდეთ და ბრძოლაში დავიხოცოთ" (ეტყობა ზაქარია ნერვიულის სასოწარკვეთილებაში ვარდება. ეს იყო სულ ერთი წუთის ამბავი).

მალე ჩვენ კავშირს ვაბამთ, საზრდოს ვშოულობთ, ახალ თავშესაფარს ვპოულობთ და სამშვიდობოზე გადავდივართ.

ამის შემდეგ კი ზაქარია და მე ვშორდებით ერთმანეთს. მე მას თითქმის ველარ ვხედავ, თვით საქართველოს დამოუკიდებლობის

დროსაც ჩვენ-ჩვენ საქმეზე ვართ და იშვიათათ თუ ვხვდებით ერთმანეთს და ისიც მხოლოდ საჯარო კრებებზე*.

როდესაც ბოლშევიკებმა ქუთაისში ტერორისტული აქტის ინსინუაცია მოაწყვეს თავისი ბინძური განზრახვების გასამართლებლათ, მათ პირველ ყოვლისა დაიჭირეს თბილისში სილიბისტრო ჯიბლაძე და ქუთაისში ზაქარია გურული. მათ კარგად იცოდენ, თუ რა საფრთხეს წარმოადგენდა მათთვის ეს ორი პიროვნება.

ამის შემდეგ ზაქარია გურულს დიდხანს თავისუფალი ჰაერით აღარ უსუნთქავს.

როდესაც ოკუპანტების ჩეკამ ეროვნული მოძრაობის თავის მოკვეთა და მისი დეზორგანიზაცია მოინდომა ჩვენი გამოძევებით და დანარჩენთა შორეულ ციმბირში გადაყრით, გრიშა ლორთქიფანიძე, ალექსანდრე ლომთათიძე, ზაქარია გურული, ალექსანდრე დგებუაძე და ვლადიმერ ჯიბლაძე ჩეკამ მძევლებათ დაიტოვა.

თვით იმ ისტორიულ ღამეს – 9 ოქტომბერს, 1922 წელს, როდესაც ჩვენ მეტეხის ციხეში მუხანათურად დაგვესხენ თავს და შიშველტიტველი ჩაგვყარეს კამიონებში (?), ზაქარია აწარმოებდა მოლაპარაკებას ჩვენსა და შეიარაღებულ ჩეკისტებს შორის. იმ დროს, როდესაც ჩვენ მოფარებული ბარიკადებთან ვაწარმოებდით ბრძოლას, არ ვაპირებდით დათმობას, სანამ შეიარაღებულ ჯარს არ გაიყვანდენ, გრიშა ლორთქიფანიძის დავალებით, ზაქარია გურული ამოვიდა იმ ხეზე, რომელიც იყო ჩვენი კარების პირდაპირ, გამომიძახა მე და გადმომცა, რომ თქვენი მოთხოვნილება შესრულებულია, ჯარი ციხიდან გასულია და თქვენ წინააღმდეგობას აღარ აქვს მნიშვნელობაო.

ასეთ დრამატიულ პირობებში მოხდა ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა. მე გამილიმა ბედმა და გადაურჩი ამ უბედურებას, მან კი განაგრძო ციხეებში და ციმბირში ტანჯვა.

გრიგოლ ფხალაძის და გიორგი გაფრინდაშვილის სახელი მჭიდროთაა დაკავშირებული ზაქარია გურულის სახელთან. ისინი იყვენ ზაქარიას ნამდვილი მარჯვენა ხელი.

---

* ამ დროს ზაქარია არის დამფუძნებელი კრების ნევრი. სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის ნევრი, მუშაობს საქარ. სოც.-დემოკ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ასრულებს მთავრობის დავალებებს და სხვა.)

გრიგოლ ფხალაძის ოჯახი იყო ღია ყველა მისი ამხანაგებისათვის. იქ იყო ჩვენი საიდუმლო ბინა, სადაც ჩვენ ვაფარებდით თავს, ვსაზრდოობდით ოთხი-ხუთი კაცი და ხანდახან მეტიც. ხშირათ, როცა გრიგოლი ბრუნდებოდა შინ, მისთვის ადგილიც აღარ იყო დასაჯდომი. ზაქარია ხომ სულ ნიადაგ მათთან იყო. მიუხედავათ ამ შეწუხებისა და აუარებელი ხარჯისა, მე არასოდეს არ შემიმჩნევია უკმაყოფილება არც მისი და არც მისი მეუღლისა.

თვით მოძრაობაშიდაც გრიგოლი ღებულობს თვალსაჩინო მონაწილეობას. მას მოანდომა მან დიდი ნაწილი თავისი ქონებისა.

თუ ჩვენ ხალხს როდისმე თავისუფლება ეღირსა, ის არ დაივიწყებს მათ სახელებს, ვისაც მისთვის ღვაწლი მიუძღვის.

შ. აბდუშელიშვილი.

დანართი

გრიგოლ ლორთქიფანიძის ქაღალდებში აღმოჩნდა ერთი მეტად საყურადღებო, კონსპირაციაგამოვლილი საბუთის ასლი იგი იმითაა საყურადღებო, რომ ასეთები, როგორც ჩანს, თავის დროზე დაიგზავნა ქართველ პოლიტმატიმართა შორის იმ მიზნით, რომ ვინც რეპრესიებს გადაურჩებოდა, მას უნდა ემცნო თანამემამულეთათვის წარსულში გამჟღავნებული საიდუმლო. ასლი მიეწოდა გრ. ლორთქიფანიძესაც.

ზ. გურული 1925 წლისათვის საპატიმროშია, რუსეთში. იგი იტყობინება, რომ გაიგო ვ. ცაბაძის სიკვდილის ამბავი (მოკლეს 1924 წ. თბილისში). იგი იუწყება, რომ ვ. ცაბაძე ოსიკო მაჭავარიანთან (იგი იურისტი იყო გორში) ერთხანს ხანგრძლივად აწარმოებდა გამოძიებას ილიას მკვლელობაზე და იმ აზრის ყოფილა, რომ მკვლელობა მოწყობილი იყო „ოხრანკის" მიერ, რომელმაც საამისოდ დ. ჯაში გამოიყენა*.

ასლი

საქართველოს კომპარტიის ცეკასთან არსებულ საისტორიო კომისიას. პატივცემულო მოქალაქენო!

რამდენიმე თვის წინათ სამშობლოდან სხვა სამწუხარო ამბავთა შორის ისიც გავიგე, რომ ამხ. ვ. ცაბაძე ცოცხალთა შორის აღარ ირიცხება. ამ დღიდან, გარდა იმ ბუნებრივი გრძნობებისა, რაც თავისთავად გასაგებია, ჩემში დაიბადა შიში და მოუსვენრობა ერთ უაღრესად მნიშვნელოვან საქმის შესახებ, რომლის გამოსარკვევათ ვასო მრავალი წელი იღვწოდა და რომლის შესახებაც მეტად საინტერესო მასალა ჰქონდა მას დაგროვილი. და აი ვშიშობ: ვასოსთან ერთად ეს მასალებიც ხომ არ დაეკარგა ქართველ ხალხს და ისტორიას? მე მოგახსენებთ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საიდუმლოების შესახებ.

---

* შოთა ბადრიძე. ნინამურის ტრაგედიის გამოცანები. თბილისი, 1991, გვ. 12.

თქვენ ალბათ ყველას მოგეხსენებათ, თუ რა მითქმა-მოთქმა გამოინვია მაშინ ამ უბედურებამ და როგორი დამწუხრებული იყო ყოველი ქართველი მოქალაქე იმის გამო, რომ ამ საქმის იდეური სულის ჩამდგმელი ვერ მონახა. იქნებ თქვენ შორის ვინმემ ისიც იცოდეს, რომ ამ საქმის გამორკვევით დაინტერესებული პარტიები, ს. დემოკრატები და ს. ფედერალისტები, შეეცადნენ მაშინ ფარდა აეხადათ ბნელეთისათვის. ჩვენი მხრით ამ საქმეს ხელი მოკიდა სნორედ ვ. ცაბაძემ.

ვასომ მაშინ ბევრი იმუშავა ამ საქმეზე, და როგორც მისგანვე ვიცოდი, ბევრი მასალებიც დააგროვა, ზოგი დამოუკიდებლათ და ზოგიც კიდევ ფედერალისტების რნმუნებულთან. მაჭავარიანთან ერთად. სამწუხაროდ, ის იძულებული იყო ერთხანს სულ შეენყვიტა ეს მუშაობა სამშობლოდან რუსეთში 5 წლით გადასახლების გამო (როგორი ბედიც ენია ს. მაჭავარიანსაც), მაგრამ მას მაშინაც უკვე ბევრი მასალა ქონდა. სავსებით საკმაო მასალები იყო. მაგ, ამ საქმის ტექნიკური მხარის შესახებ; გამორკვეული იყო ყველა მონაწილენი, რომელთაგან ზოგი უკვე დასჯილი იყო, გამორკვეული იყო ასრულების ზოგი დეტალებიც კი. ვასოს ცნობით, ამ საქმის უშუალო სულის ჩამდგმელი იყო ილიასავე მოურავი და ჯაში. გამოურკვეველი იყო მხოლოდ ერთი და უმთავრესი, ეს ისაა, თუ ვინ იდგა ჯაშის უკან.

სასჯელის გათავებისა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ვასომ ისევ განაახლა თავის ძიება, ხოლო მას შემდეგ, როცა საბოლოოდ გამოირკვა, რომ ქართველი ერის მახინჯი შვილი დ. ჯაში ოხრანკის აგენტიც ყოფილიყო, ძიებამ მიიღო ახალი მიმართულება. რომ ჯაში ილიასთან „ოხრანკამ“ გააწესა, ვასო და მასთან ერთად ს. ჯიბლაძეც, რომელსაც ვასო ატყობინებდა ხოლმე საქმის მსვლელობას, იმ დასკვნისაკენ მიდიოდნენ, რომ ეს საქმე მოწყობილი იყო „ოხრანკისა“ და რუსი შავრაზმელებისაგან, იმათი ძმებისაგან, ვინც მოკლა იოლოსი, გერცენშტეინი, კარავაევი და სხვები; იმ ძალებისაგან, რომლებმაც კიდევ უფრო ადრე მოკლეს დ. ყიფიანი. ვასო განაგრძობდა ამ გეზით ძიებას. ტაქტიკური მოსაზრებით ის საჭიროთ სცნობდა ჯაში დროებით არ დაეკითხათ ამ საქმეზე. მე ხშირად მქონია ვასოსთან ბაასი ამ საქმეზე (როსტოვში ერთად ყოფნის დროიდან, როცა ზოგი რამ ცნობები მეც მივაწოდე მას. ერთგვარი დაინტერესებული ვიყავი ამ ძიების მსვლელობით) და ყოველთვის მესმოდა, რომ ამ საქმეს თანდათან ნათელი ეფინება და მისი ძაფები აუცილებლად

„ოხრანკაში“ მიდისო. უკანასკნელად ამ საგანზე ლაპარაკი მქონდა სილიბისტროსთან, როცა ის 21 წლის ზაფხულში მეტეხში მოიყვანეს, მისგან გავიგე, რომ ვასოს თითქმის ყველაფერი მზათა აქვს, ჩქარა შეგვეძლო გამოგვექვეყნებინა, მხოლოდ კითხვა იმაშია, თუ რამდენათ ხელსაყრელი მომენტია ეხლა ამისთვისო; მისი აზრით, კი უდროვო იყო (ეს აზრი მაშინ საერთო იყო, თვით ვასოც თურმე ასე ფიქრობდა. რატომ? ეს ადვილი გასაგებია). არსებითად კი, გამოძიებიდან თითქო სავსებით გამოირკვა, რომ ილიას ირგვლივ და მის წინააღმდეგ წარმოებული პოლიტიკური ბრძოლა (ს. დემოკრატია, ნ. ჟორდანია, ფ. მახარაძე) და აგრეთვე ბანკობიას ამბავი, გამოყენებულ იქნა როგორც ჩინებული საფარი „ოხრანკისა“ და შავრაზმელების მიერ. (თუ მეხსიერება არ მღალატობს, გოროდცევის გვართან ერთად თითქო ნახსენები იყო შავროვიც)*. მიზანი კი თითქოს ის იყო, რომ მოეცილებინათ ცნობილი ქართველი „სეპარატისტი“, სახელმწიფო საბჭოს პროგრესული წევრი (თუმცა ილია საქართველოს მთავრობის ფონზე მეტად ზომიერი მოღვაწე იყო, მაგრამ რუსეთის საზომით (სახ. საბჭოში ის მემარცხენეთა მცირე ჯგუფში იყო მ. კოვალევსკისთან ერთად) და, რაც უმთავრესი იყო, ეს – პროვოკაცია: რათა მაქსიმალური გახრწნა შეეტანათ ხალხში. პარტიათა ბრძოლა პოლიტიკურ კალაპოტიდან ამოეგდოთ და ერთი მეორეზე უბრალო სისხლიანი შესევის ნიადაგზე გადაეტანათ? თვით აზნაურულ წრეებშიაც (ბანკის საქმეები, ივ. მაჩაბლის ტრაგედია, ბანკის ჯგუფების ბრძოლა და ამგვარათ მკვლელობის ეჭვის მიტანა აზნაურულ ბანკურ წრეებზე) პროვოკაციულად სისხლიანი თიში** გაეძლიერებინათ. და თუ მართლა ასე იყო, მაშინ, როგორც ეს ალბათ ზოგ თქვენგანსაც ახსოვს, ამ მიზანს რამდენიმედ კიდეც მიაღწიეს: როცა გრაფი დაშკოვი*** გვირგვინით ამკობდა ილიას კუბოს (და შემდეგ ილიას ფიზიკურ მკვლელებს, მიუხედავად მისი მეუღლისა და ქართველი, თვით მაღალი საზოგადოების თხოვნისა, მაინც სიკვდილით სჯიდა), ვიღაც ბეცი პატრიოტი თავისდაუნებურად და შეუმჩნევლათ, ხანჯალს ლესავდა, „მკვლელების“ მოსაკლავად (თითქოს პირველად ყოვლისა ფ. მახ-

* ცნობილი შავრაზმელები (რედ.).

** გათიშვა, გათიშულობა (რედ.).

***ი. ვორონცოვ-დაშკოვი (რედ.).

არაძისა, ამის შესახებაც უნდა იყვეს ამ მასალებში ცნობები) და „მა-ბულისათვის სირცხვილის მოსაწმენდათ". ერთი სიტყვით, ბევრ თვენგანს უნდა ახსოვდეს, თუ როგორ საშინლად დაამძიმა, დაამახინჯა და دااავადმყოფა ამ ამბავმა საქართველოს პოლიტიკური ატმოსფერო.

მეტეხის შემდეგ ამ საქმის შესახებ არაფერი ვიცოდი; ვიცი მხოლოდ, რომ სილიბისტროს დიდხანს აღარ უცხოვრია, ხოლო ახლა აღარც ვასო გვყოლია. აქედან გასაგებია ჩემი შიში: რა დაემართა ვასოს მიერ მოგროვილ მასალას? როცა ვასომ თქვენ „მატიანეში"* თავის მოგონებების ბეჭდვა დაიწყო, მე ვფიქრობდი, რომ შეიძლება მან თავისი აზრი მომენტის შესახებ შეიცვალა და იქნებ იქ აქვეყნებს-მეთქი, მაგრამ ჯერჯერობით არ ისმის რა, იქნებ თქვენთანაც არის სხვა მის ამბებთან ერთად რიგზე დასაბეჭდათ, მაგრამ, საფიქრებელია ისიც, რომ სადმე უყურადღებოდ გდია და საშიშია სულ დაიღუპოს. საჭიროა ზომების მიღება ამ ფრიად საინტერესო მასალების მოსანახავად. მით უმეტეს, რომ, თუმცა არ ვიცით რამდენათ მართალია, მაგრამ გავიგე, თითქოს ჯაშიც უკვე მკვდარიაო.

მე არა მგონია, რომ ვასოს ნაშრომი დაღუპული იყოს, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის გაუწყებთ, რომ როგორც ზემოთაც ვახსენე, დროგამოშვებით ვასოსთან ერთად ამ საქმეზე მუშაობდა და ბევრი რამ უნდა იცოდეს სოსო მაჭავარიანმა. ის წინათ ფედერალისტი იყო, ხოლო 21 წელში, მათი პარტიის გათიშვის დროიდან რომელ ნანილში მოხვდა, არაფერი არ ვიცი. არ ვიცი არც მისი ბინადრობა, მაგრამ მისი ვინაობის გაგება ადვილია თუნდ თ. ღლონტის** საშუალებით.

რასაკვირველია, ჩვენ წრეებში მარტო სილიბისტრომ არ იცოდა ვასოს მუშაობის შესახებ, მაგრამ ზოგი ცოცხალი აღარაა და ზოგსაც დღეს ხელი არ მიუწვდება მაგ საქმეზე; ყველაფერი მოსალოდნელია... საქმე კი შეიძლება დაყოვნებას არ ითმენდეს. და აი ამიტომ იძულებული ვარ თქვენ მოგწეროთ ამის შესახებ, რადგან ვფიქრობ, რომ ამას თქვენც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოთ, როგორც

---

* იგულისხმება ჟურნალი „რევოლუციის მატიანე" (რედ.).

** ნაგულისხმევია რენეგატი სოციალისტ-ფედერალისტი თედო ღლონტი (რედ.).

ქართველმა მოქალაქეებმა, ერთის მხრით, და როგორც პოლიტიკურ-მა საისტორიო დაწესებულებამ. და ვიმედოვნებ, რომ ვასოს მრავალი წლის ნაშრომ-ნაძიებს მაინც (ამ უაღრესად მნიშვნელოვან საქმეს) არ დაღუპავთ"*.

ზაქარია გურული

სუზდალი.
სახ. პოლ. სამმართველოს ციხე.
1925 წ. 25 თიბათვე.

* ტექსტი მოტანილია დასახ. წიგნის მიხედვით, იხ. გვ. 13-16.

სარჩევი

	რედაქტორისაგან	7-8
	გამომცემლის წინასიტყვაობა	9-10
I.	სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის დაარსება ჭიათურაში. 1903 წლის დემონსტრაცია. 1905 წელი ჭიათურის რაიონში. ნითელი რაზმის შექმნა	11-16
II.	ტენგინსკის პოლკის განიარაღება. გენ. ალიხანოვი. საოლქო კომიტეტის მიწოდება. რაზმების დაშლა. არალეგალური მუშაობა.	16-20
III.	კონფლიქტი ჭიაფთურის მრეწველებსა და მუშებს შორის. ჩემი დატუსაღება. ქუთაისის ციხიდან ხვრელით ტუსაღების განთავისუფლება.	20-26
IV.	ბაქოში მუშაობა. როსტოვში გადასახლება. სამშობლოში დაბრუნება.	27-30
V.	1914 წლის ომი. ნოვოჩერკასკში გადასახლება. უკან გამოქცევა. ციმბირში გადასახლება.	31-33
VI.	სახალხო გვარდია.	33-36
VII.	ბიქტორ კაპანაძე.	36-40
VIII.	აფრასიონ მერკვილაძე.	40-56
IX.	ქართლის შავი და ნითელი რაზმები.	56-73
	ჩემი მოგონება. გრიგოლ ფხალაძე	74-87
	ზაქარია გურულის მოგონების გამოქვეყნების გამო	88-92
	სამი მეგობრის ხსოვნას (ზაქ. გურული, გრიგ. ფხალაძე და გიორ. გაფრინდაშვილი) შ. აბდუშელიშვილი	93-100
	დანართი. ზაქარია გურულის ნერილი საქართველოს კომპარტიის ცეკასთან არსებულ საისტორიო კომისიას.	101-105

ARTANUJI SOURCES
[Historical Sources about Georgia]
4

Zakaria Guruli

REMINSCENCES

Edited by **Guram Koranashvili**

Tbilisi 2005
ARTANUJI Publishers

რედაქტორი

გურამ ყორანაშვილი

საგამომცემლო ჯგუფი

ვიოლა ტულუში
მართა წიკლაური
შორენა წიქარიშვილი
ილია ხელაია

გამომცემლობა არტანუჯი

თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 17ᵃ. 25-05-22, 91-22-83, 8(93) 25-05-22.
artanuji@telenet.ge

„არტანუჯის“ წყაროების გამოცემები:

1. თეიმურაზ ჟორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. I. თბ. 2004. [ფოტოტიპიური გამოცემა].

2. ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ (XIX საუკუნის პირველი მესამედი). გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. თბ. 2005.

3. ალექსანდრე აბდალაძე. სომხურ ხელნაწერთა X-XIII საუკუნეების ანდერძ-მინაწერების ცნობები საქართველოს შესახებ. თბ. 2005.

4. ზაქარია გურული. მოგონება. რედაქტორი – გურამ ყორანაშვილი. თბ. 2005.

გამოსაცემად მზადდება:

- ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. ფოტოტიპიური გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით.
- თეიმურაზ ჟორდანია. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა. II. [ფოტოტიპიური გამოცემა, თანდართული ავტორისეული სნორებებითა და კომენტარებით].
- კათალიკოსი კალისტრატე (ცინცაძე). რაც გამახსენდა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვაობა და საძიებელი დაურთო მიხეილ ქავთარიამ.
- აბუბეკრ ბინ აბდულაჰი. გამარჯვებათა ნიგნი. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა მარინე ილურიძემ.
- იოანე ხოჯაშვილი, სტეფანე აბინაშვილი, სტეფანე ნაპროზაშვილი. ახალციხური ქრონიკები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს აკად. ნიკო ბერძენიშვილმა და მიხეილ ქავთარიამ. გამოკვლევა და საძიებლები დაურთო მიხეილ ქავთარიამ.